



ილორი

www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru



№273 (332) 17-24 იანვარი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო 30 თეთრი

ის კი არაა სირსხვილი, რომ ვიხილოთ საუბრობან, არამედ ის, რომ დანარჩენი ქართველებს არ გვინდის ვიხილოთ — აკაკი შანიძე

ერთი წიბნი რომ დაწერო, ორი მაინც უნდა ბქონდეს წაკითხული...

არსებობს ჟურნალისტური ეთიკის ნორმები, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ ფაქტებისა და მოვლენების ლამაზად და შინაარსიანად გადმოცემის უმადლეს ხელოვნებას, არამედ პროფესიულ კეთილსინდისიერებას, მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, წესიერებას, ქვეყნისა და საზოგადოებისადმი უმწიკვლოდ მსახურებას.

ეს არ გახლავთ ლიტონი სიტყვები — ასეთები ვიყავით ჩვენი თაობის ჟურნალისტები და ასეთი პედაგოგები გვყავდა ჩვენ. თუნდაც ჩემი უფროსი კოლეგა და მეგობარი, ცნობილი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე ალექსი შენგელია დაამოწმებს ჩემი სიტყვების სისწორეს!

ჩვენ პრინციპულად და სუფთა ხელისუფლების პატრონები ვიყავით მაშინ, როცა მცირე მოცულობის კრიტიკული წერილის გამო შეიძლება კაცი თანამდებობიდან მოეხსნათ და ისინი ყველაფერზე მიდიოდნენ იმისათვის, რომ მათი მამხილებელი კრიტიკული შინაარსის წერილი არ გამოქვეყნებულიყო — დაწვეული ქრთამის შემოთავაზებით და დამთავრებული მუქარით. ჩვენთან რომ ვერაფერს ახერხებდნენ, ქრთამი “ზევით” მიჰქონდათ და ხშირად ცდილობდნენ ჩვენი წერილების დაბლოკვას ცეკას თუ მინისტრთა საბჭოს მადლ-ჩინოსნებში, მაგრამ ჩვენ მაინც არ ვთმობდით პოზიციებს, რაც ხშირად სამსახურის დაკარგვის ფასად გვიჯდებოდა. არადა, ყველაზე მეტად ჟურნალისტებს გვიჭირდა ეკონომიკურად — გვქონდა მიზეზური ხეფასები, მცირე პონორარს ვიღებდით...

მაგრამ ჩვენ მაინც არ ვთმობდით პოზიციებს, რადგან ასე ვგზავნიდნენ ოჯახსა თუ ინსტიტუტში, ასეთ ჟურნალისტურ დვრიტას გვინერგავდნენ მასწავლებლები!

ისიც ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირის დროს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ტოტალურად აკონტროლებდა კომუნისტური პარტია, მაგრამ ჩვენ არავინ გვაიძულებდა, რომ პრესის ფურცლებიდან და ტელეარხებიდან ხობტა შეგვეხსნა ცეკას მდივნების, მინისტრების, რაიკომის მდივნებისა თუ სხვა პარტიული და სამეურნეო მადლჩინოსნებისათვის. ძირითადად ვაშუქებდით მოწინავე მუშების, გლეხების, მეცნიერების, პედაგოგების და სახალხო მეურნეობათა სხვა დარგების უბრალო მშრომელთა მიერ ქმნილ კეთილ საქმეებს, უბრალო ადამიანების ცხოვრების წესს, მათ სამომავლო გეგმებს...

ახლა კი რა ხდება ჟურნალისტიკაში? მაგალითისათვის თუნდაც ტელეარხი “რუსთავი-2” ავიღოთ, რომელზეც სააკაშვილმა აღიარა, რომ ჩემი პირადი საკუთრებააო. პოდა, ეს ტელეარხიც დღედაღამ უკმევს იმ ნაციონალურებსაც კი, რომლებზეც, სხვადასხვა სახის დანაშაულებისათვის სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული და მალე ციხის კედლების ხეხვა მოუწევთ. მიუხედავად ამისა, მლიქვნელის მონღოლმებით იტკობენ პირს “ჯამბაზად” სახელდებულ ვიღაც უჯიშო ვინო ჯავახიშვილი და ასევე ვიღაც უჯიშო ოთარ ქირია (სამწუხაროა, როცა ამგვარ ნეხვში მეგრული წარმოშობის ადამიანი ჩაეფლობა ხოლმე, მაგრამ, როგორც ამბობენ, “ოჯახიც კი არ არსებობს მახინჯის გარეშე”) და სხვა “მოქურნალისტი” ანგაიერებული არსებები, როცა ნაციონალი არაკაცების

“საგმირო საქმეებზე” მოგვიტორობენ. აბა, რომელ ჟურნალისტურ ეთიკაზე შეიძლება ესაუბროთ ამ გადაგვარებულებს?!

მაგრამ ზოგჯერ მათ შორისაც არის იშვიათი გამონათება (თუმცა ისიც ფაქტია, რომ ერთი მერცხლის ჭიკჭიკს გაზაფხული ვერ მოჰყავს). მაგალითად, ნათია ლაზაშვილმა, რომელიც წლების განმავლობაში ტელეკომპანია “რუსთავი-2”-ზე არხის მთავარი საინფორმაციო გამომგების, 9 საათიანი “კურიერის” წამყვანი იყო, სამსახურის დატოვების შემდეგ “შეშინებულ” საკუთარ გვერდზე შემდეგი შინაარსის განცხადება გამოაქვეყნა თავისი ყოფილი თანამშრომლების მიმართ: “ერთხელ მაინც გაგინდეთ პროტესტის გრძობა, ბოდიშის მოხდის სურვილი... ერთხელ მაინც თქვით, რომ აღარ გინდათ ამ საქმეებში მონაწილეობა...”

ეს განცხადება გაკეთდა მას შემდეგ, რაც “რუსთავი-2”-ში უკანონოდ დამონტაჟებული სათვალთვალ კამერები აღმოაჩინეს, რაც ფაქტურად კვლავ ამ ტელეარხის თანამშრომლებს დაბრალდა, რადგან ყველასათვის ნათელია, რომ ეს ტელეარხი გახლავთ არა თავისუფალი მასმედიის ერთ-ერთი განშტოება, არამედ ავადსახსენებელი “ნაციონალური მოძრაობის” ერთ-ერთი “საიდუმლო” სამსახური, რომელსაც არავითარი კავშირი არ გააჩნია თავისუფალ პრესასთან და ბინძური პროპაგანდის საყვოს წარმოდგენს!

თითქმის იგივე შინაარსის განცხადება გააკეთა ტელეკომპანია “რუსთავი-2”-ის გენერალური დირექტორის მოადგილემ ნინო შუბლაძემ, როცა სატანის ბუდედ ქცეული ეს ტელეკომპანია დატოვა. შესაბამისი განცხადება მან “ფეისბუქის” საკუთარ გვერდზე გააკეთა. “მივიღე გადაწყვეტილება დროებით შევანერო ჩემი საქმიანობა მედია სივრცეში. ამ გადაწყვეტილებას არაანაირი პოლიტიკური საჩივრი არ აქვს და ძალიან ვისოვ ყველას, არ აქციონ ეს პოლიტიკური სექსუალაციების თემად. ჩემი გადაწყვეტილების ერთადერთი მოტივაცია პირადი და ოჯახური მდგომარეობითაა ნაკარნახევი. დიდი მადლობა მინდა გადაუხადო ყველა ჩემს თანამშრომელს, მის გენერალურ დირექტორს და “რუსთავი-2”-ს მთელ გუნდს ამდენი წლის განმავლობაში წარმატებული მუშაობისთვის. ვრჩები ამ არხის ყველაზე დიდ გულშემატკივრად და მჯერა, რომ პროფესიონალების დიდი გუნდი, რომელიც ამ ტელევიზიაში მუშაობს, შეინარჩუნებს პირველობას ქართულ მედია სივრცეში. დიდი მადლობა ჩემს ერთგულ მაყურებელს, რომელიც მთავარი სტიმული იყო ჩემს პროფესიულ საქმიანობაში”, — წერს ნინო შუბლაძე.

ამ გადაწყვეტილების მიზეზიც აღნიშნულ ტელეარხზე აღმოჩენილი ფარული მიყურადების აპარატურა იქნა. ბუნებრივია, ნებისმიერ წესიერ ადამიანს გაუჩნდებოდა კითხვა, ვინ დგას ფარული თვალთვალის უკან, — ამის შესახებ “რუსთავი 2”-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ნინო შუბლაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სადაც ტელევიზიის შენობაში ფარული აუდიო-ვიდეო თვალთვალის შესახებ განცხადება გააკეთდა.

“ფაქტია, საქართველოს მთავრობა ხალხზე ორიენტირებულია თუ საკუთარ

ჯიბებზე, ბუნებრივია, იყო ძალიან შოკისმომგვრელი. ყველას გაგვიჩნდა კითხვა, ვინ დგას ამ ფარული თვალთვალის და აუდიო-ვიდეო მიყურადების უკან. ჩვენ ველოთ ამ კითხვაზე პასუხს და დიდი იმედი მაქვს, რომ შესაბამისი უწყებები დროულად დაინტერესდებიან ამ ფაქტით და მოხდება საკმაოდ მოკლე დროში ამ ყველაფრის გამოძიება და იმ კითხვებზე პასუხის გაცემა, რომელიც აქ მდგომ ყველა ჟურნალისტს აქვს და გაგარკვევთ, ვინ ახორციელებდა ამ ყველაფერს ტელევიზიაში”, — განაცხადა შუბლაძემ.

ჩვენ სრულიად არ გავგვირგვინებია ქალბატონ ნინო შუბლაძის ეს გადაწყვეტილება, რომელიც დელიკატურად გაერიდა ამ ტელეარხში დატრიალებულ სიბინძურებს. უბრალოდ, ის გვიკვირდა, თუ რა უნდოდა ავადსახსენებელი ნაცების უკეთურ რეჟორად ქცეულ “რუსთავი 2”-ში ნორმალურ ოჯახში აღზრდილ, შესანიშნავ მეოჯახეს და ჩინებულ ქართველ ქალს.

კარგად იცის ყველამ, რომ მალე ტელეარხი “რუსთავი 2”-ს მკაცრად მოუწევს პასუხისგება კანონის წინაშე, რადგან მან ჩაიდინა დანაშაული, როცა ნაცების მიერ შეთხზული ბინძური ჭორი ააგორა, ვითომდა ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით, რაც, ეჭვსაგარეშეა, ნაცებისათვის ჩვეული ბინძური პოლიტიკური ინტრიგის შემადგენელი ნაწილია.

ამიტომაც მივესალმებით ქალბატონ ნინოს გადაწყვეტილებას!

როგორც იტყვიან, “სჯობს გვიან, ვინემ არასდროს”!

რაც შეეხება ტელეარხ “რუსთავი-2”-ს და მასავით ანგაიერებულ “ტე3”-ს, რომელიც რუსეთიდან სამარცხვინოდ გამოქვეყნული ვაი-ჟურნალისტის ოლეგ პანფილოვის (მისი ფსევდონიმია — ЖОП) საყვოს წარმოდგენის და რომელიც პირწავარდნილი ნაცის გიგა ბოკერიაშვილის ბინძური პოლიტიკურ დაკვეთებს აუღებებს, მათი კიდევ ერთი უბედურება ის არის, რომ 2012 წელს პოლიტიკურ გვამად ქცეული “ნაციონალური მოძრაობის” რეანიმირებას ცდილობენ და გამაკეთებლად მოხილებულ ეპითეტებს არ იშურებენ გუშინდელი ნაციონალი მკვლელებისა და სულის ამომხდელი არაადამიანების მიმართ!

რომელ ჟურნალისტურ ეთიკაზე შეიძლება საუბარი ამ გამოქურნალისტებულ ბროსოსთან?

როგორც ჟურნალისტს, საერთოდ არ მახარებს ჩემი თუნდაც უდრისი კოლეგების წარუმატებლობა, მაგრამ ფაქტია, რომ სიცრუის ტირაჟირებისა და ტენდენციურობის მიზეზით “რუსთავი-2” თანდათან ჰკარგავს რეიტინგს და, შესაბამისად, მაყურებელსაც, რაც უარყოფითად ისახება რეკლამების განთავსების ოდენობაზე. ეს კი ფინანსური შემოსავლების დაკარგვას ნიშნავს, ხოლო სააკაშვილს უკვე აღარ შეუძლია ბიუჯეტიდან მილიონების გადარიცხვა ამ ტელეარხში, რაც მისი უპჭველი გაკონტრების წინაპირობა გახლავთ. ასე რომ, მალე “რუსთავი-2”-ს იმაზე ბევრად უფრო ნაკლები მაყურებელი ეყოლება, ვიდრე ნაცების “ტრუბადურ” “ტე3”-ს ჰყავს!

ღვთის მადლით, დროულად გავაგებინეთ ხელიდან ნაციონალურ ბანდას საზო-

გადობრივი მაუწყებელი, რომელიც ჩვენი გადასახადების ხარჯზე არსებობდა, მაგრამ იგი პამპერსივით ჰქონდათ ამოღებული ნაცებს ლაჯებში და ათასგვარი სისაძაგლითა და სიმყრალით აღინათავდნენ!

სსრკ-ს პერიოდში იყო ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც: შეიძლება დაგემთავრებინა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, გამხდარიყავი ამა თუ იმ ჟურნალისა და გახეთის, თუ ტელევიზიის წარმატებული თანამშრომელი, მაგრამ წლები უნდა გასულიყო და პუბლიკაციათა საკმაოდ დიდი რაოდენობა უნდა დაგვეგროვებინა, რომ ჟურნალისტთა კავშირის წევრი გამხდარიყავი. მხოლოდ ამის შემდეგ გქონდა იმის მორალური უფლება, რომ პუბლიკაციაში საკუთარი გვარის გვერდით მიგეწერა ტიტული — “ჟურნალისტი”.

დღეს კი რა ხდება ამ მხრივ? ისეთი ადამიანები იბრალდებენ ჟურნალისტობას, რომელთაც არამც თუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტი არა აქვთ დამთავრებული, არამედ წერა-კითხვაც კი არ იციან წესიერად. მასმედიის საშუალებათა ტექნიკური მუშაკები და დამლაგებლებიც კი ურცხვად ითვისებენ ჟურნალისტის სახელს და მათ ამ თადლითობისათვის პასუხს არავენ სთხოვენ.

და ეს ხარვეზი მძიმე დაღს ასვამს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს, ტელევიზიას, სხვა ბუკვით პროდუქციას!

ჩემი მეგობარმა, ცნობილმა ქართველმა მწერალმა კარლო კობერიძემ ერთხელ, როცა რომელიღაც უნიჭო მწერლის წიგნი წაკითხა, გულისტკივლით მითხრა: “ერთი წიგნი რომ დაწერო, ორი მაინც უნდა გქონდეს წაკითხული...”

ვაგლას, რომ ასეა, თანამედროვე “მწერლები თუ ჟურნალისტები” კვსიტაძეები, გვარამიები, დვისაძეები, ბურჭულაძეები, გოგიბერიშვილები, ლადარიები და დანი და ძმანი მათნი დროს არ ჰკარგავენ წიგნების კითხვაში, თორემ მათ რომ ერთი ნორმალური, თუნდაც შინაარსობრივად საშუალო დონის საბავშვო წიგნი მაინც ჰქონდეთ წაკითხული, იმ საზიზღრობებს ნამდვილად არ დაწერდნენ, რითაც ასე ცდილობენ ჩვენი მკითხველის სულის დაბინძურებას!

ამბობენ, რომ ჟურნალისტიკას მსოფლიო პროფესიების ისტორიაში მცირე ადგილი უკავია, პირველ ადგილზე კი პრინციპულია არის!

პროსტიტუცია გარდა სხვა რა შეიძლება ეწოდოს, 2009 წელს, ჯერ კიდევ ნაციონალთა გამგებლობაში მყოფი ტელეარხი “იმედი”-ს საქციელს, რომელმაც “მოდელირებული ქრომიკის” ეთერში გაშვებით გადააბიჯა ყოველგვარ ეთიკურ ზღვარს და შოკში ჩააგდო ქვეყნის ისედაც გაწამებული მოსახლეობა. სწორედ ამ უმსგავსოებას ეძღვნება ამ გახეთის ნომრის მეხუთე გვერდზე გამოქვეყნებული მასალა.

თუ ამ პარამეტრებით ვიმსჯელებთ, ზემოდანსახსენები მასმედიის საშუალებები ნამდვილად იმსახურებენ პირველ სარეიტინგო ადგილს, რადგან მათი დღევანდელი საქმიანობა პროსტიტუციას უფრო წააგავს, ვიდრე ჭეშმარიტ, მიუკერძოებელ, კეთილსინდისიერ, ეთიკურ და ნიჭიერ ჟურნალისტიკას!

როლანდ ჯალაღანიძე, “ვახისი”-ს და “აია”-ს აკადემიების წევრი

პენსიანებით პუბლიკასიას – კოპირსია თუ პოლიტიკა?

ამ დღეებში გავეცანი საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ორგანო – გაზეთ “ვეტერანი” 2014 წლის იანვრის თვეში №1 (4) ნომერში გამოქვეყნებულ პუბლიკაციას სათაურით “კომერცია თუ პოლიტიკა” (ავტორი ბატონი გურამ გვეტაძე), რომელიც მიძღვნილია სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის გენერალ-ლეიტენანტ ჯემალ გახოსიძის წიგნის “ბეჭდის ხიდზე” პრეზენტაციისადმი. ავტორის მიერ კვლევის შედეგად წიგნში გამახვილებულია ყურადღება “გაყინული კონფლიქტების დასარეგულირებლად მხარეთა შორის ბიზნესურთიერთობებსა და მის შემდგომ განვითარებაზე”. ავტორი აღნიშნავს, რომ “თავისთავად” კონფლიქტი და კომერცია თითქმის ერთმანეთს გამორიცხავენ, მაგრამ იქვე მიუთითებს, რომ, როგორც მსოფლიო ისტორია და ცალკეული პრევენციული მოწოდებები, რომ ისინი არამც თუ გამორიცხავენ, არამედ მათ ერთმანეთთან აკავშირებენ მთელი რიგი პირობებისა.

სრულიად ვიზიარებ ავტორის ამ მოსაზრებას, რომ კონფლიქტური სიტუაციების მოგვარების საქმეში ეკონომიკური ბერკეტების და სახალხო დიპლომატიის გამოყენება დღესაც აქტუალურად მიაჩნიათ ისეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და კომპეტენტურ სპეციალისტებს, როგორებიც არიან აფხაზეთთან ნდობის აღდგენისა და შერიგების კავშირის თავმჯდომარე ბატონი ოლეგ ჯოლია და ამ კავშირთან არსებული უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე ბატონი კოტე მარშავა. ისინი საჭიროდ მიიჩნევენ, რომ დღევანდელი გადასახედებიდან საჭიროა შეიქმნას თავისუფალი ვაჭრობის ზონა მდინარე ენგურის ხიდთან, როგორც ეს იყო მეოცე საუკუნის დამდეგს. ეს დიდად შეუწყობს ხელს ენგურს გაღმა-გამოღმა მცხოვრებთა შორის ურთიერთობების აღდგენას, რომლის გარეშეც გამოირიცხებოდა კონფლიქტის აღმოფხვრა და ურთიერთზე მიყენებული წყნის დაიწყება.

როგორც ცნობილი გახდა, ამ სამი წლის წინათ ჩამოყალიბებულა აფხაზეთთან ნდობის აღდგენისა და შერიგების კავშირი, რაც ფრიად მნიშვნელოვანი და მოსაწონია.

როგორც ირკვევა, მათ ბევრი რამ გაუკეთებიათ, მაგრამ ავტორი მიუთითებს “ეს მხოლოდ ზღვაში წვეთიაო” და მოგვიწოდებს, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. ჯერჯერობით ქმედითი და პრაქტიკულად ვეჭვებურ ნაბიჯები არ გადადგმულა, რაც, ჩემი აზრით და საზოგადოებაში არსებული სიტუაციის შესაბამისად, საქართველოს წინანდელი და დღევანდელი ხელისუფლების სუსტი და გაუაზრებელი პოლიტიკის შედეგი გახლავთ, რომლებიც კატეგორიულად გამორიცხავენ სახალხო დიპლომატიის და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებას. ამ საქმეში კი დიდი როლის თამაში შეუძლია ქართველებსა და აფხაზებს შორის პირადი და ნათესაური ურთიერთობების განმტკიცებას, რაც დღევანდელი პოსტკონფლიქტური სიტუაციის ფონზე საერთოდ უგულვებელყოფილი და გაყინულია. ამის დასწრად მოვიყვან სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ორგანოს, გაზეთ “ილორის” №258-ში (№317) დაბეჭდილი მთავარი რედაქტორის ბატონ როლანდ ჯალაღანისა წერილს სათაურით: “ღმერთს მიენდო, მაგრამ ჭკუასაც მოუხმე”, სადაც ნათქვამია: “სამწუხაროა, მაგრამ სიმართლეს თვალის დასწრად ვაძვაროთ და ვადიაროთ, რომ დღეს ქართველებსა და აფხაზებს შორის ყოველგვარი სულიერი კავშირები განადგურებულია და მათ ლაპარაკიც კი არ სურთ ჩვენთან. ფაქტია ისიც, რომ აფხაზეთთან დამაკავშირებელი ოდნავ მფეთქავი ნერვი მხოლოდ სამეგრელოა და სწორედ ამ საზღვისპირა კუთხეში მიმდინარე მოვლენებს აკვირდებიან აფხაზები. ამიტომაცაა აუცილებელი სამეგრელოს ეკონომიკური აღორძინებისა და შემდგომი განვითარების კომპლექსური გეგმის შექმნა, რათა ამ კუთხეში სასწრაფოდ მოზიდული იქნას ინვესტი-

ციები და შეიქმნას იმგვარი ყოფითი გარემო, რასაც ნდობით მოკვიდებიან აფხაზები.”

აქ ყველაფერია ნათქვამი, თუ რა გზით უნდა ვიაროთ და როგორ დავარეგულიროთ ქართველ-აფხაზთა ურთიერთობები, ვიდრე მოვა ის თაობა, რომელსაც არაფერი ეცოდინება ჩვენი წარსულის ურთიერთობათა შესახებ და იოლად შეეღვევიან ერთმანეთს დასათმობად.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ, დღესდღეობით, ერთადერთი ქართული ბეჭდვითი ორგანოა გაზეთი “ილორი”, რომლის მთავარი რედაქტორი ბატონი როლანდ ჯალაღანია და მისი შრომითი კოლექტივი გაზეთის ყოველი ნომრის მეორე გვერდს უძღვნიან აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს, სისტემატურად აშუქებენ კულტურულ, საგანმანათლებლო და სამეურნეო პროცესებს, ასაჯაროებენ აფხაზეთის ინფრასტრუქტურულ პროექტებს და მათი ხორცშესხმის მიმდინარეობას, ცდილობენ ერთმანეთს დაახლოვონ გახლეჩილი აფხაზური და ქართული საზოგადოება, სისტემატურად აქვეყნებენ აფხაზეთის ღირსეულ, სახელოვან შეილთა ბიოგრაფიებს და სხვა. სწორედ ეს გახლავთ სახალხო დიპლომატიის ის სვეტენტი, რომელიც ფასდაუდებელ დახმარებას უწევს აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთნდობის აღდგენის საქმეს.

ეს მართლაც რომ უტყუარი “სამშვიდობო იარაღი” გახლავთ, რომლის წინაშე ყველაზე ურწმუნო სეპეტიკოსიც კი ჩამოშვების ხელს და ფრიალს სამწუხაროა, რომ ხელისუფლება რატომღაც თავს არიდებს ამ “იარაღის” ეფექტურად გამოყენებას!

თავის ქებად ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ აღნიშნული გაზეთის ფურცლებზე მეც მაქვს გამოქვეყნებული თხუთმეტამდე საგაზეთო წერილი, აქტუალურ საკითხებზე, სათაურებით – “ნუ დავივიწყებთ სახალხო დიპლომატიას”, “ავამოქმედოთ ჩვენი მამა-პაპური ტრადიციები”, “ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ფესვები – გულთა კავშირი”, “სამურზაყანოს გამორჩენილი შეილები”, “ერთი უნიკალური სურათი”, “წარსულის დაივიწყება არ ვგების” და სხვა. ჩამოთვლილი წერილები ძირითადად ეძღვნებოდა აფხაზებსა და ქართველებს შორის ნათესაური და მეგობრული კავშირების აღდგენის აუცილებლობას.

მახსენდება, აფხაზი ეროვნების მაღალი თანამდებობის პირებთან საუბრისას ერთ-ერთმა მათგანმა (გვარს არ ვაკონკრეტებ გარკვეულ მიზეზთა გამო) მითხრა: “თუნდაც ერთი რამე ისეთი გაგაკეთებინათ ქართველებს, რაც აფხაზებს გულს მოუშუშებდაო”. მართალიც გახლდათ, და ამიტომ ვესაუბრე ამის თაობაზე საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნებს და ვთხოვე, რომ რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მეშვეობით გალის ცენტრში ავეთ არქიტექტურულად სრულყოფილი სამოთხსართულიანი შენობა, სადაც განთავსდებოდა საჯარო და საყოფაცხოვრებო ობიექტები და სხვადასხვა მომსახურების სფეროს წარმომადგენლები. გარდა იმისა, რომ ეს ვიზუალურად დაამშვენებდა ქალაქ გალს, შეიქმნებოდა დამატებითი სამუშაო ადგილები, დასაქმდებოდა ასამდე ადამიანი, შემოსული

თანხები კი შეავსებდნენ აფხაზეთის სახელმწიფო ბიუჯეტს.

როგორ ფიქრობთ, ამგვარი პროექტის განხორციელება არ შეუწყობდა ხელს ქართველსა და აფხაზებს შორის ნდობის აღდგენის საქმეს?

დაპირებით კი დამპირდნენ აღნიშნული პროგრამის ამოქმედებაში დახმარებას. მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე სიტყვის იქით არ წასულა!

გასულ წლებში (2011-2012 წ.წ.) ქალაქ ქუთაისში, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ბატონ ოთარ მარშავას ინიციატივით შეიქმნა სამედიცინო ცენტრი, რომელიც უფასოდ მოემსახურებოდა აფხაზ პაციენტებს. ცენტრი დაკომპლექტდა მაღალი დონის სპეციალისტებითა და კეთილშობილი მომსახურე პერსონალით. შემუშავებული იქნა მოქმედების რეგლამენტი და პაციენტთა მომსახურების პირობები – უფასო მკურნალობა, კვება, ბინა, მოგზაურობა და ა.შ. ამ სამედიცინო ცენტრის გახსნის მთავარი მიზანი გახლდათ აფხაზეთის რეგიონის მოსახლეობისათვის უფასო სამედიცინო მოსახურების გაწევა. ამ დაწესებულების კოლექტივმა მოკლე ხანში გაითქვა სახელი. აფხაზეთიდან დაიბრა მოსახლეობა სამედიცინო ცენტრისაკენ. ქუთაისში ჩამოვიდა ჩვენი რაიონის მკვიდრი ნუგზარ გერგელავაც, რომელმაც იმპურნალა 12 დღე და დაბრუნების შემდეგ ყველასთან მაღლობის სიტყვებით მოიხსენიებდა ქუთაისის სამედიცინო ცენტრის კოლექტივს.

ქუთაისის სამედიცინო ცენტრის თანამშრომელთა სასახელოდ უნდა აღინიშნოს ის გულისხმიერება, რაც მათ გამოიჩინეს ეროვნებით აფხაზი გაღული გული ჭოლარის მკურნალობისას. სულ მცირე დროის მონაკვეთში ქუთაისის სამედიცინო ცენტრში მკურნალობის კურსი გაიარა 700-ზე მეტმა აფხაზეთის მოქალაქემ. ამ ცენტრმა იძლეოდა გაითქვა სახელი აფხაზეთში, რომ ფაქტიურად დაიწყო კიდევ ყინულის ღხეობა აფხაზებსა და ქართველებს შორის. ადამიანებს შორის აღდგა ნორმალური ურთიერთობები. მაგრამ ახალმა, მართლაც უნათო ხელისუფლებამ ქუთაისის სამედიცინო ცენტრი დახურა და მუშაობის სხვა რეჟიმზე გადაიყვანა.

ასე მოელო ბოლო ამ სამედიცინო პრობლემის გადაჭრის პროცესებს და დღემდე ვერ გაგვივია, ვის აძლევდა ხელს აღნიშნული ცენტრის დახურვა! და ეს მაშინ, როცა ამ სამედიცინო ცენტრის მიხანი სწორედაც რომ აფხაზეთის მოსახლეობისათვის უფასო სამედიცინო მომსახურების გაწევა გახლდათ.

მოგვიანებით გული ჭოლარია ჩემთან სინანულით ამბობდა: “ერთი თვეც რომ დავრჩენილიყავი ქუთაისის სამედიცინო ცენტრში, იქიდან სრულიად გაახალგაზრდავებული დაგებრუნდებოდიო”. ამ ადამიანს კი დიდი ავტორიტეტი აქვს აფხაზებს შორის და მისი მაღლიერების სიტყვები დადებითად განაწყობდა აფხაზებს ქართველების მიმართ.

განა შეიძლებოდა ასეთი ქმედითი ხაზის დაკარგვა?

ქართულ-აფხაზური კონფლიქტისადმი ამგვარი ავადგობი მიდგომა ხომ წმინდა წყლის დანაშაულია?!

1994-1995 წლებში, რაიონულ თათბირზე მისვლა დამაგვიანდა. შესვლისას გალის

რაიონის ადმინისტრაციის უფროსი ბატონი რუსლან ქიშმარია მეკითხება: “10-15 ცალი “სოლდატსკი” უნაგირი მჭირდება და სად შეიძლება შევიძინო”.

გუპასუხებ რომ ეს მთლად ადვილი საქმე არ არის და ზუგდიდში უნდა მოვიკითხო მეოქი.

– ეს რა კარგი რამე გამახსენეო! – დაიძახა და ტელეფონის ყურმილს დასწვდა. ქალაქ ზუგდიდის ხელმძღვანელობას დაურეკა აღნიშნული თხოვნით.

მეორე დღით, ზუგდიდელმა მართლაც ჩამოუტანეს 25 ცალი უნაგირი რუსლან ქიშმარიას. უნდა გენახათ, როგორ უხაროდა ბატონ რუსლანს, რომელიც ემოციებს ვერ მალავდა და ზუგდიდელს მაღლობის ნიშნად ეხვეოდა. აი, როგორი განწყობა ჰქონდათ ერთმანეთისადმი აფხაზებსა და ქართველებს, იმ მძიმე ომიდან სულ რამდენიმე წლის შემდეგაც კი, რაც, სამწუხაროდ, შემდეგ, ზოგი არაკეთილმოსურნის მავნებლური საქმიანობის შედეგად საერთოდ დაიკარგა.

აქ მოყვანილი მაგალითები შეიძლება წერილმანად მიიჩნიოს ვინმემ, რაშეც ვერ დავეთანხმები. სწორედ ამგვარ “წვრილმანებზეა” აგებული ადამიანთა და საზოგადოებათა ურთიერთობები. სწორედ ამგვარი წვრილმანებით იწყება სასურველ მოვლენათა განვითარება და ერთმანეთს მტრად გადაკიდებული ადამიანების დაახლოება. დღეს კი მთლიანად მივიწყებულია სახალხო დიპლომატია და ადამიანები კვლავ თოფის სამიზნიდან უცქერენ ერთმანეთს, რაც ძმათაშვილად ომზე დიდი დანაშაულია! ამიტომ, მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს, საჭიროდ მიმაჩნია აფხაზეთთან ნდობის აღდგენის და შერიგების კავშირის ვეგითი შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს სისტემატურ სამუშაო განრიგს და იმუშავებს კავშირის მეთვალყურეობით. ვთვლი, რომ ამ ჯგუფში შეყვანილი უნდა იქნენ გამოცდილი და წინდახედული პოლიტიკოსები, რომლებიც სისხლისმირად არიან დაინტერესებული ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მოწესრიგებით. ასეთებზე კი მიმაჩნია ქართველ უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მამანტი ჯოლია, ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი, პროფესორი, აფხაზი მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენით გამორჩეული პიროვნება, აფხაზეთის განათლების მინისტრის მოადგილე ქალბატონი მერი გვეგუკური. ამ ადამიანებს აფხაზეთში ნათესავებიც უხვად ჰყავდ მებობრებიც. ასევე უნდა შევიდნენ ამ სტრუქტურაში ოთარ აქიშბაია, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა მაღალ თანამდებობებზე, ასევე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ მარშავა, რომელსაც დიდი ავტორიტეტი გააჩნია აფხაზურ საზოგადოებაში. ეს მხოლოდ ჩემი პირადი თვალსაზრისია და არავინ უნდა მიწყინოს.

მიმდინარე წლის 14 აპრილს 92 წლის შეგვრული და კარგად მახსოვს აფხაზეთის სოფელ ზემო ბარდებში მცხოვრები ავტორიტეტული პიროვნებები ნესტორ შამუგია, გალა და ცივი ბოკუჩაევი. მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში სწორედ ისინი არგველდებოდნენ დროდღაც წარმოქმნილ სერიოზულ კონფლიქტებს ქართველებსა და აფხაზებს შორის. ჩვენ როგორ ვერ უნდა მოვახერხოთ XXI საუკუნეში ყინულის გალხეობა ქართველებსა და მოძმე აფხაზებს შორის, როცა მთელი სამყარო ესწრაფვის მშვიდობიანი გარემოს ჩამოყალიბებას.

უპირველესად მჭიდრო კონტაქტი უნდა დავამყაროთ აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარესთან ბატონ კონსტანტინე ოზგანთან და დიდი სამამულო ომის მონაწილე, აფხაზეთის რესპუბლიკის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე იაკობ გუნბასთან, რომლებიც დაგვეხმარებიან ქართულ-აფხაზური დიალოგის გამართვაში. მჯერა, რომ ამ ადამიანების დახმარებით მოვახერხებთ ნდობის აღდგენას ქართველებსა და აფხაზებს შორის.

ლავრენტი ბერაია,
გალის რაიონის უხუცესთა და დიდი სამამულო ომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე



დიდი

სამეგრელოს ღირსიანი შილახი ნიკო დადიანი — 170

ბორის ლავითია

“ყველაფრისაგან მაქვს არაფერი, ჩემი ნაპითხი, ჩემი ნაწილი, სულის და გულის ძვირფასი ბანძი, სიყრმის ბონების ჯუჯის ნაღვაწი”



ბრწყინვალე პროზაიკოსი, დრამატურგი და მსახიობი შალვა დადიანი ბედს უნდა უმაღლესად, რომ იგი იყო დიდი საზოგადო მოღვაწისა და მშვენიერი პოეტის ნიკო დადიანის შვილი.

შალვას სკოლაში არ უსწავლია. სამწუხაროდ, დედა ადრე გარდაეცვალა და რადგან მამას სხვა ქალი არ შეურთავს, თავად ნიკომ იღო თავზე შვილების აღზრდისა და სწავლის მძიმე ტვირთი. სილოვან ცაიშელი წერს: “ნიკო ტარელების ძე დადიანს ერთი თვალსაჩინო ადგილი მიეკუთვნება, როგორც პოეტს, ბელეტრისტს, ისტორიკოსს, ენათმეცნიერს, პუბლიცისტს და პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენტს, რომელსაც ქართველი მესამეციანელების ნამდვილი ხორცი ესხა და მათივე სული ედგა”.

ნ. დადიანი დაიბადა 1844 წელს სენაკის მაზრის სოფელ ბერთეშში. ეს არის ჯადოსნური ალაგი, სადაც ლებარდის მოეზობიდან მოწინააღმდეგე კამკამა ტეხურს ერთვის პატარა, მაგრამ კალმახების საბინადრო გურქემია. ნიკო ბავშვობიდანვე დაეწაფა სწავლას. “წიგნები, ჩაყვითლებული გრაგნილები, პაპირუსის ფურცლებიც კი, ან ყვანი ძველი, მრგვალი, შავი მურაქაფის მელნით, თვალში რომ გეცვიან” – წერს თავად.

ნიკომ ქუთაისის კეთილშობილთა სასწავლებელი დაამთავრა. ამ ქალაქში ყოფნისას გაიტყდა ფილოსოფიამ და ბუნებისმეტყველებამ, მედიცინამ და საქართველოს ისტორიამ, იგი ცხოვრობდა დოღობერიძეთა ოჯახში, სადაც თავს იყრიდნენ ნიჭიერი და გამორჩეული ადამიანები. ამან დადებითი როლი ითამაშა მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში.

თანამედროვეთა შორის ის ნამდვილად გამორჩეული ფიგურა იყო. როგორც საზოგადო მოღვაწე, დეპუტატი საკრებულოში. გარდა ამისა ძალიან ბევრს წერდა. ლიტერატურული საქმიანობა იყო მისი სულიერი საზრდო. მემატანე ბრძანებს: “ნ. დადიანის ორასამდე ლექსი შემოგვრჩა, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობაში შექმნილი ნაწარმოებების უმრავლესობა მამისეული სახლის დაწვასთან ერთად განადგურდა”. განადგურდა უნიკალური ბიბლიოთეკაც, რასაც დიდი ნიკო სიცოცხლის ბოლომდე მწარედ განიცდიდა.

“ყველაფრისაგან მაქვს არაფერი, ჩემი ნაკითხი, ჩემი ნაწილი, სულის და გულის ძვირფასი ბანძი, სიყრმის გონების ჯუჯის ნაღვაწი” – წერდა იგი.

განსაკუთრებულია ნ. დადიანის წვლილი საქართველოს სფეროში. იგი მონაწილეობდა “ვეფხისტყაოსნის” ტექსტის დამდგენი სარედაქციო კომისიის საქმიანობაში, ილიასა და აკაკისთან, გრ. ორბელიანსა და რაფიელ ერისთავთან, ი. მეუნარგიასა და დავით ერისთავთან ერ-

თად. მან გამოთქვა არაერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა და შემოიტანა სასარგებლო წინადადება. საგულისხმოა, რომ თბილისში არ ყოფნისას, მას წერილობით ატყობინებდნენ, შინ უზაინდნენ შეკითხვებს და მის საფუძვლიან პასუხს ითვალისწინებდნენ.

საქართველოს მოწინავე ინტელიგენციასთან საქმიანი ურთიერთობა ამდღევანდელი ნიკო ავტორიტეტს და აჩენდა მის შესაძლებლობებს.

ნ. დადიანის ნიჭიერებაზე ნათლად მეტყველებს, რომ იგი მოწინავე და გამოჩენილ ადამიანებს უძღვნიდა აკროსტიხებს, რომლებსაც გახ. “ივერიაში” ბუჭდავდა ანბანის რიგითობის მიხედვით, მაგალითად, იგი ილიას ასე მიმართავს:

“იმას ვერა ჰგავს ვერაინ, გრძნობის მცოცხლები მწერალი, ლომია ოდეს განრისხდეს, მუდამ ძმობისა მდერალი, იტყვის მართალსა გზიანსა, უპყვრია მართლის მწვერვალი, არის გულწრფელი, ზნე-ქველი, მხნე მსრბოლი, მოუფერალი”.

პოეტური ხედვისა და მოვლენათა ფილოსოფიური გააზრების ნიმუშია ლექსები: “მიყვარს წარსული”, “აწმყოს ვემდური”, “ამერ-იმერი”, “როს ჩემთან ხარ”, “დედების ძღვენი”, “პასუხი საზოგადოებას” და სხვა.

ნ. დადიანი, როგორც ბელეტრისტი, უფრო მოკრძალებულია, მაგრამ მისი მომცრო და მშვენიერი ნოველები გაწაფული ხელით არის გამოქნული, რომანებსა და მოთხრობებში საუბრობს გასაგები ენით. ის შეზავებულია ფაფუკი და დახვეწილი სტილით, შემკულია ნამდვილი პოეტური სამკაულით, სურათხატვანი სიტყვებითა და სახეებით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი სტილი, წერის მანერა, სიუჟეტის გამონასკვა და ფაბულის ქსოვა მისეული და სასიამოვნოა. თითქმის ყველგან ცდილობს ფილოსოფიური ახსნა მოუქმონოს მოვლენებს.

გამოქვეყნებული ლექსები და მოთხრობები შეესატყვისება გასული საუკუნის სამოციანელთა იდეურ-გამომსახველობით მოთხრობებებს. ამაზე ნიკოს არაერთი თანამედროვე აღნიშნავს. მათ შორის ენათმეც-

ნიერი, აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია: “დადიანთა გვარის ყველაზე შესანიშნავი კაცი მე-19 საუკუნეში მესამე ნიკო – ნიკო ფილოსოფოსი, ქართული ენის ცოდნაში თანამედროვეთაგან მას იშვიათად თუ ვინმე შეედრება, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ზმნაკიდურები... და მან პირველმა სცადა საქართველოს ისტორიის ფილოსოფიური ახსნა”.

დიახ, ნიკო დადიანი საოცარი შემართებით კითხულობს ლექსებს დიდ ქალაქებში, ახალგაზრდებს უნერგავს სიყვარულს საკუთარი სამშობლოსადმი. შერჩეული ჰქონდა თემები, რომელსაც წინასწარ გულდასმით ადგენდა. ესენია: “ქართველთა მოღვმის განვითარება და მათი ისტორიული სახე”, “ქართველთა სათვისტომოს სულიერი თავისებურებები” და სხვა.

“მიყვარს წარსული, აწმყოს ვემდური, და მომავალსაც ნუგეშით ველი” – წერს იგი. ნიკო ასევე ლექსებს კითხულობდა ლიტერატურის ისტორიაში: ვიორგი მთაწმინდელის, არსენ იყალთოელის, იოანე მინჩის შემოქმედება და სხვა. მას ხელთ ჰქონდა უნიკალური წიგნები, ხშირად იყენებდა არისტოტელეს, პლატოს, ექსილეს, მოსე წინასწარმეტყველის, სხვა ცნობილი ფილოსოფოსებისა და მეცნიერების შედეგებს.

დიდი ნიკო კარგი ორატორი იყო. სამეგრელოში არ შემდგარა არცერთი შეკრება თუ საზეიმო შეხვედრა ნიკო რომ არ მიუწვევიათ. მუდამ ბოლოს გამოდიოდა და დასკვნა საზრიანი გამოსდიოდა. იგი გარეგნულად მშვიდი და დინჯად მოუხარო ზოგჯერ საჭიროების შემთხვევაში ფუტკლებოდა და აზვირთებულ ზღვას ემსგავსებოდა – იგონებენ მისი თანამედროვენი. როცა სამეგრელოში ცარიზმმა მოიწადინა მეგრული დამწერლობის შექმნა, ვინმე აშორდიას მეშვეობით, ამ უკანასკნელს ზურგს უმაგრებდა ქუთაისის განათლების ხელმძღვანელი იანოვსკი, მაშინ ნიკო პირველი იყო რომელმაც ხმა აღიმალდა და აშორდიას “სახრე” გადაუჭირა. მას მხარი აუბა ქართველმა მოწინავე ინტელიგენციამ და ეს სამარცხვინო წადილი ჩაიშალა.

იგი ხმალომარჯვებული დარაჯობდა საკუთარი ქვეყნის სიწმინდესა და სულიერ ღირებულებებს. დასაფასებელია მისი ინიციატივა ძველი საგალობლების აღდგენისა და მათი შენახვა-მოვლის საქმეში. ნიკოს წერილი აღნიშნულ თემაზე “ჩვენი გალობის აღდგენისათვის” ილია ჭავჭავაძემ გახეთ “ივერიაში” გამოაქვეყნა 1891 წელს. ცხადია, ერის მამა თავის გახეთში უსაგნო თემებს ადგილს არ დაუთმობდა. შემდეგში მ. ჯანაშიელმა საყურადღებო ნარკვევი დაწერა საგალობლების თემაზე და ნიკოს შენიშვნები გაითვალისწინა.

ნიკო იყო არაერთი სხვა საკითხების ინიციატორი და ქველმოქმედი. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო გახეთ “დროების” დაარსებაში. ერთია განიცადო მოვლენა, და მეორე კი – საზოგადოებრივი მიიტანო საკუთარი ტიკვილი და სიხარული. დასანანია, რომ დღემდე ვერ მოხერხდა ნ. დადიანის შემოქმედებითი მემკვიდრეობის წიგნად გამოცემა. მკითხველთა ფართო ნაწილს ვერ მიეცა მისი ინტელექტისა და მხატვრული გარდასახვის უნარის შეფასების საშუალება

იგი ყველა ლექსში ავლენს მოქალაქობრივ მოვალეობას და გაბედულებას. მამხილებელი ტონი მუდამ სდევს მის სულის ნაქურს, რამეთუ ტიკვილიანი ცხოვრება ჰქონდა. დაეღუპა ორი შვილი, გარდაეცვალა ახალგაზრდა მეუღლე. დაეწვა სახლი და გაუნადგურდა ახალგაზრდობიდან ნალოლიაეები შემოქმედება. ერთმანეთის მიყოლებით თავს დამტყდარმა უბედურებამ მას სულიერი ტიკვილი მოუქმლავრა.

“ჩემში სდულს ცრემლი შენაგუბარი”, ამბობს იგი. ოჯახური ტრაგედიების შემდეგ იგი მთლიანად ჩაეფლო ლიტერატურულ მოღვაწეობასა და სადეპუტატო საქმიანობაში. იგი მონაწილეობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით ძველი სენაკში ახალი სკოლის გახსნაში, სადაც აკაკი წერეთელთან და დიმიტრი ყიფიანთან ერთად მიესალმა სამეგრელოში განათლების კერის ჩამოყალიბებას. იგი აქტიურად მხარს უჭერდა ფოთი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობას.

რუსული და დასავლური ენების ცოდნა მას საშუალებას აძლევდა თარგმანებზე ემუშავა. მან გადმოაქართულა შექსპირის კომედია “დიდი ამბავი ტყუილ-უბრალოდ”, “ჰამლეტი” კი ლექსად გართობა. ასევე თარგმნა ცნობილ ავტორთა მოთხრობები. კერძოდ: ჟუსტაც ფლობერის მოთხრობა და სხვა.

გარდა ლიტერატურული მოღვაწეობისა დიდ დროს უთმობდა ავადმყოფთა მკურნალობას. დედის წყალობით გაეცნო „კარაბადინს“, შემდეგ უფრო გაიდრმავე სამედიცინო ცოდნა და რეცეპტებსაც კი უწერდა ავადმყოფებს. დიდი ნიკოს ინიციატივებზე აი რას წერს ნ. ოზუჯელი გახ. „ივერიაში“: „ბატონმა ნ. დადიანმა თავისი ხარჯით გააკეთებინა ნავი და მენაგეები დაიჭირა, რათა ყველას შეეძლოს უსასყიდლოდ გასვლა მდინარე ტეხურზე. მას უსწავლია მედიცინა იმ ზომამდის, დიდს და ძალიან დიდს შემწეობას აძლევს ყველას იმათ, ვინც მას მიჰმართავს, ვინც უნდა იყოს და სადაური კაცი, და კიდევ, სამეგრელოს ყავს ერთი ფრად სასარგებლო კაცი, რომელიც თავის ცოდნით და მეცადინეობით დიდს შემწეობას აძლევს თავის სამშობლოს ხალხს, ამისთანა კაცი, მგონი, ბევრი არ მოიპოვება ჩვენს დალოცვილ მხარეში“.

ნიკოს ოფიციალური სამსახური არ ჰქონია, მხვეველობაში თუ არ მივიდებთ იმას, რომ იგი ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის ხელმძღვანელად აირჩიეს, მაგრამ მალე მიატოვა. ამის მიზეზი გახდა მისი პროექტის ჩაგარდნა, ებრაელებს კრებაზე მისცემოდათ ხმის გადაწყვეტი უფლება. ამ თემაზე პრესაში გაჩნდა ნ. ნიკოლაძისა და გ. წერეთლის კრიტიკული წერილები, რასაც ნიკომ გასცა დრმა შინაარსიანი პასუხები.

შალვა დადიანი მამაზე წერს: “მამა გარდა ლიტერატურული და საზოგადოებრივი საქმიანობისა დიდ ყურადღებას აქცევდა ჩვენი სავაჭრო-მრეწველობის აღორძინებას, ამბობდა აქ არის ხსნაო. მას დიდ ნიკოს ეძახდნენ, რადგან ხალხის წიადში ტრიალებდა და მის წიადში ეძებდა სიბრძნესა და საჭირო აზრებს, რომელსაც შემოქმედებით ქურაში გადაამუშავებდა და შემდეგ თავის ჭირ-ვარამ გამოვლილ ქვეყანას ახმარდა”.

ნ. დადიანმა 1896 წელს ყირიმში იმოგზაურა, რა დროსაც გაცივდა და გარდაიცვალა. არ დარჩენილა არცერთი მამინდელი გახეთი, რომ არ იუწყებოდა „დიდი ნიკოს“ გარდაცვალებას.

მისი საფლავი მის მშობლიურ სოფელ ბერთეშშია, რომლის მოვლის პატივი, ამ სოფლის მოსწავლეებთან ერთად, მეც მაქვს.

ბორის ლავითია, აკ. წერეთლის პრემიის ლაურეატი

პატივცემულ რედაქცია! თქვენი გახეთის ა.წ. 10-17 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ გიორგი სიჭინავას წერილში – „მეგრული ენის დღის აღნიშვნისადმი“, სამწუხაროდ, რედაქციისაგან დამოუკიდებლად, დაშვებულია უზუსტობა. ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა არა მამანტი ძაბამიამ, არამედ ზურაბ კვარაცხელიამ, ხოლო მიჰყავდა ღონისძიება ანა კვარაცხელიას. აღსანიშნავია ისიც, რომ საზეიმო შეკრება წარმართა მეგრულ ენაზე, რაც უდაოდ ისტორიული მნიშვნელობის ფაქტად უნდა მივიჩნიოთ. პატივისცემით, პაახაბერ ბერიძე

კოლემიკა ფრიად აქტუალურ საკითხებზე

ძვირფასო მკითხველო, ბატონ ელენე ილორის ნაშრომზე – “გეოგრაფიული თეორია” მიღწეული ზოგადკაცობრივ პარობლემებზე – მეტყველებისა და აზროვნების ჩასახვა, წარმოქმნა-განვითარება მიღებული აქვს რეცენზიები ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგია-ბიოლოგიის ინსტიტუტებიდან, რომელსაც ხელს აწერს ცხრა დოქტორი – მეცნიერების აღიარებული მოღვაწენი. ამ რეცენზიებზე საპასუხო წერილები დაიბეჭდა გაზეთ “ილორის” 261, 262, 263, 264, 265 ნომრებში, სადაც ავტორი მიუთითებს რეცენზიების ტენდენციურობაზე, ზოგიერთ ხარვეზებზე და არაობიექტურობაზე. ამავ საკითხს მიუძღვნა ავტორმა ახალი ნაშრომი “კოლემიკა”, რომელსაც მკითხველს დიდი სიამოვნებით ვთავაზობთ.

ისტორიკოსი – სრულიად განსხვავებული პროფესიიდან გამომდინარე, ჩემთვის, ასე ადვილი არაა ყველაფერი სწრაფად და მარტივად გაეგო, ამიტომ, ჯერ-ჯერობით ვერ დაგეთანხმებით: თუ ბგერას ფიზიკტი გამოყოფს ანუ ასოცირებულია ამ ფიზიკტი, მთლად ნათელი არაა, როგორ შეიძლება ამ ბგერამ პირობითი რეფლექსი გამოიწვიოს, თუკი უპირობო რეფლექსი ისედაც მიმდინარეობს.

ფიზიოლოგი – პავლოვის ცდებით დადგენილია: თუ საკვების მიღებას, მრავალჯერ, ნებისმიერ კონკრეტულ ბგერას შეუხამებთ, ამის შემდეგ, ამ ბგერის გაგონება ორგანიზმში გამოიწვევს იმ ცვლილებებს რასაც საკვების მიღება იწვევდა. ზემოთ, ჩვენს მიერ აღწერილ შემთხვევაში, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ბგერა ბუნებრივადაა ფიზიკტი შეუღლებული. პომინიდის ჯოჯის მშვიერ-მწუკრულ ინდივიდებში წოვა-ყლაპვის ხმანობების გაგონება ან დანახვა აღნიშნული პროცესისა, უეჭველია, სწორედ აქვე თქმულს იმავე, პირობითი რეფლექსიურობის გამოიწვევდა და ეს მოხდებოდა ინდივიდებში და თაობებში პომინიდისა უსასრულო ხშირად. მინდა დავიხილო და ხაზი გაუსვა იმას, რომ აქვე თქმული ფაქტობრივი მონაცემებია და არა საკუთარი მოსახრებები, როგორცაა ეს პატივცემულ ფსიქოლოგებს, მცდარად, წარმოუდგენიათ.

ანტროპოლოგი – საინტერესოა, როგორც წარსული, ეს მოვლენები როგორ უნდა ასახულიყო პომინიდის თავის ტვინში?

ფსიქოლოგი – ძუძუმწოვრებში, წოვა-ყლაპვისთან (ნივთიერებათა ცვლასთან ანუ საჭმლის მონელების პროცესთან და მასთან დაკავშირებულ სისტემასთან) ასო-

ცირებულ ისეთ მოვლენებთან როგორცაა: წყურვილის, შიმშილის, წყურვილის დაკმაყოფილების და გაძლიერის ორგანულ შეგარებებს თუ ემოციური რივის მოვლენებზე არ ჩავევლით (ნეობიოგეოლოგისტიები), ერთი მაინც ცხადია: მათ ინტენსივობაზე უშუალოდაა დამოკიდებული, მოთხოვნის დაკმაყოფილებით გამოწვეული, სიამოვნება-უსიამოვნების ინტენსივობა: ორგანული შეგარებები ერთიანნი არიან ემოციური გენეზისის ერთეულებთან.

ბიოლოგი – მათ ერთმანეთთან აახლოებთ “მედიკო კავშირი ინდივიდის ბიოლოგიურ ანუ ვიტალურ მოთხოვნილებებთან”, ეს უკანასკნელი კი, წარმოქმნებიან ორგანიზმის კომპლექსივით იმდაგვარი რევევისას, როცა სისხლში საკვებ ნივთიერებათა პროცენტული რაოდენობა კლებულობს. ფსიქოლოგი – უზნაძის განწყობის თეორიის თანახმად (განწყობის არსებობა აღმოაჩინა გერმანელმა ფსიქოლოგმა ლ. ლანგემ. 1888 წ.) მოთხოვნილება განაწილებს პომინიდს ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ხოლო შესაბამისი სიტუაციის არსებობის შემთხვევაში, (მშვიერ-მწუკრული პომინიდის არსებობა) განხორციელდებიან შესაბამისი ქმედებები ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ანუ წოვა-ყლაპვის შესასრულებლად.

გარდა ამისა, დასახელებულ წოვა-ყლაპვის ფიზიკტი თან ახლავს სხვა მოვლენობათა – შეხების, ტემპერატურის, მხედვლობის სმენის და ინტერმოდალური თვისებრიობის – გემოს და ყნოსვის შეგრძნებები.

ყველა ზემოთაღნიშნული შეგრძნებათა განცდები და შეგრძნება-ემოციათა საერთო განცდები ერთიანნი არიან, რადგან ერთ მოვლენაში – საკვების მიღების ფიზიკტი არიან შერწყმულნი.

ფიზიოლოგი – მასხადამე, ნებისმიერ მათაგანს შეუძლია პირობითი რეფლექსის გამოწვევა და, რაც მთავარია, ამას აკეთებს ხმანობაც (ბგერა). გადამწყვეტი და უმნიშვნელოვანესია, რომ ბგერა შეუღლებული ფიზიკტის უპირობო რეფლექსებით გამოიწვევს, ზემოთხსენებულ შეგრძნებებსა და ემოციებს.

ფსიქოლოგი – ბატონო ფიზიოლოგი, ფიზიკტის მსგელობისას ცენტრალურ ნერვულ სისტემაში მიღებულ, აღწერილ მოვლენების ინფორმაციებზე, ფიზიოლოგიურ ასპექტში, თქვენ სწორად მიუთითებთ, მაგრამ ფსიქოლოგიურ ასპექტში კი ისინი არა როგორც ბოქლომის გასაღები უცვლელად, არამედ ფუნქციონალურ მონაცემებად “ჩაიბეჭდებიან და ინახებიან. ამ უკანასკნელთ ფსიქოლოგიაში, გარდა ზემოთქმულისა (შეგრძნება, ემოცია), შესაბამისი ფუნქციები: “აღქმა”, “წარმო-

გენა”, “მეხსიერება”, “დავიწყება”, “ყურადღება” შეესაბამებათ, რომელნიც ხარისხობრივი მახეებლებით ხასიათდებიან. აღნიშნული ფუნქციები გახლავთ ავტორის უხშირესი გზავნილები, ამიტომ მასზე ბრალდებები (ფიზიოლოგიაში და ბიოლოგიაში ავტორის წარმოდგენების ბუნდოვნობის თაობაზე) ხომ არ უარგვეყო?

ფიზიოლოგი – გეთანხმებით, მაგრამ ლომონოსოვს ვწავთ რომ გამოწერო, ხელი მაგრად უნდა მოუჭირო.

ფსიქოლოგი – სწორია: უსაშველო ტვირთით დახუნძლულ ლურჯას შუბლზე ვინ კოცნის, მას, საცოდავს გვერდებს სახრით უხელენ.

ხა... ხა... ხა... (საერთო ხარხარი...)

ფიზიოლოგი – დაუბრუნდეთ საკითხს. კიდევ ერთხელ გაეუსვათ ხაზი იმას, რომ ზემოთქმულ თვალსაჩინოდ აღქმად სენსორულ თვისებათა შორის მოვლენისა ბგერაა თანამონაწილე. შერწყმულია მათში როგორც ნიშნობრივი თანახმად თვისება და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ამგვარი შერწყმა შეუღლების შედეგად პირობითი რეფლექსი გამოიწვევა.

ბიოლოგი – ბგერით ინსპირირებული პირობითი რეფლექსის გამოწვევა ხომ წყურვილ-შიმშილის შეგრძნებების და მათთან შერწყმულ უსიამოვნების, როგორც ემოციის ინტენსივობის გაძლიერებაა, რაც ასოციაციებით ბიოლოგიური მოთხოვნილების – იგივე უპირობო გაძლიერებაა (რძე, წყალი) წარმოდგენების აღხვევაში გადაიხრდება.

ენათმეცნიერი – ადამიანებში, გეთანხმებით, ეს ასეა, მაგრამ, ვინ იცის, ძალუდა კი წარმოდგენის ფსიქოაქტი პომინიდს?

ანტროპოლოგი – პომინიდს ყოველმხეს გარეშე, ძალუდა. ოღონდ პომინიდები განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებიან: ...”შირგანმა გამოყო სამონადირეო-სამეთევზეო და მიმოვისებულურ-შემგროვებლური მუშაობის სამი საფეხური: მისი უმდაბლესი საფეხური იწყება უძველესი ადამიანის წარმოქმნით, შუა – მონადირეობის წარმოქმნით და ცეცხლის აღმოჩენით, ხოლო უმაღლესი – მშვიდ-ისრის გამოგონებით...” დასახელებულია ...ორი ნახტომი (როგინსკი): პირველში ხდება პომინიდების ოჯახის ფორმირება. მეორეში – თანამეცნიერე ადამიანის ჩამოყალიბება...” (იხ. “პირველი საზოგადოების ისტორია” გვ. 7 და 31). გარდა ამისა: ...”სინანტროპის თავის ქალას დრუს საფეთქლის უკანა ნაწილში და საფეთქელ-თხემ-კეფის მიდამოში შემწეულია გამოზრცულობები რომელ მიდამოშიც თანამედროვე ადამიანის თავის ტვინში განლაგებულია სწორი მეტყველების სამმართველო ცენტრები

(რაც), შესაბამისად, მოასწავებს მაღალ დონეს მისი დანაწევრებული მეტყველებისა და აზროვნებისა...” (იქვე).

ავტორი – მაგალითი ავტორისეული პრაქტიკიდან: ჩვენთან შინაური ცხოველები პყავთ თავისუფალ ყოფით პირობებში, ამიტომ მათზე დაკვირვება ნებისმიერ შემთხვევაში. ძროხას, ჩვეულებრივ, საჭმელს ქვებითაც აძლევენ: საკვების თქველვისას მეტალის სახელურის ჩხარები შეუღლებულია კვების უპირობო რეფლექსებთან გაძლიერებას და ზუსტად იგივე მოვლენები ვითარდება, როგორც წოვისას პომინიდის შემთხვევაში: აქაც წოვისას წარმოქმნილ წ და გ ბგერათა სადარ ხმანობათა მზგავსად სახელურის ვლარუნ პირობითი რეფლექსის გამოწვევაა, რისი დასტურიც ამ ვლარუნზე რითაც გარეთ მყოფ ცხოველს პატრონი ეზოში მოუხმობს, ცხოველის რეაქციაა: იგი გამოიხრის ამ ხმათა მიმართულებით, თუმც რომ ქვას ვერ ამჩნევდეს. დამეთანხმებით, ცხოველი ასე არ მოიქცეოდა ამ ხმებს მასში, წინანდელი, ქვასში საკვების და კვების პროცესში ასოცირებული მოვლენათა თვალსაჩინოდ აღქმები არ გაეცოცხლებინა ანუ მისი წარმოდგენები არ აღხვევულიყვნენ.

თუ საკვები მუდამ მისთვის განკუთნილ, როგორც სახელურის ვლარუნით ასევე ფორმით ნაცნობ, ამიტომ პირობითი რეფლექსების ამღვირვებ, ქვასში კი არა, არამედ განსხვავებულ, მაგრამ ერთი მხედველობითი ველის სიშორეზე განთავსებულ – მეორეში, ცხოველი მაინც პირველთან მიიბრუნს და თავს შივ ქვასში ჩაყოფს.

მიუხედავად გვერდითი მხედველობის ველის არეში არსებობისა, ცხოველს გარკვეული დრო ჭირდება რათა ეს მეორე ქვაბი შეამჩნიოს და მასთან მივიდეს: ჯერ უნდა გაქრეს ფარული მეხსიერებიდან აღმოცენებული, ის აღქმითი ხატების წარმოდგენები, რომელთა ბადალიც ჩვენ, აქვე, ზემოთ, ბოლო კონტექსტებში, პომინიდის წოვა-ყლაპვისთან დაკავშირებით აღწერეთ და რომელთა პომინიდში განხორციელების უტყუარ მეტიცებულებას ავტორის ცხოველთა ფსიქოლოგიაზე დაკვირვების ეს მაგალითი წარმოადგენს.

ფსიქოლოგი – აი, ის, ენის ბუნებრივად წარმოქმნილი აუცილებელი “უშუალო თვალსაჩინობა”, რომელიც ვ. კუნდლის შეხედულებით, შეუძლებელია არსებულყოფი. იგი ხომ მეტყველების წარმოქმნის საკითხში, ენსტ-მიმიკას აძლედა უპირატესობას, ჩვენს შემთხვევაში კი მთავარია: ბგერა ახორციელებს პირობით რეფლექსებს და ცხოველშიც კი იძლევა წარმოდგენას.

(გაგრძელება იქნება)

ენბურში ჩაპარბულები – ტრაგედიიდან ხუთი თვის შემდეგ ენბურში ორი ბავში იკოვს

ბახსენება



“ტყუპის მეორე ბაბუამ იმ ადგილას შემაჩერებინა მანქანა, სადაც შვიდი თვის წინ ტრაგედია მოხდა, უცებ დამიძახა, ჩამეხუტა და... გული გაუჩერდა...”

მაღე ერთი წელიწადი შესრულდება იმ ავბეგითი დღიდან, როცა ტყუპებისა და მესტიის გასაყართან, საგერგილის ხიდზე საშინელი ტრაგედია დატრიალდა. სენაკიდან მომავალი “სუბარუს” მარკის ავტომანქანა მოულოდნელად გზიდან გადავარდა და ოთხი ადამიანი მდინარე ენბურის ტალღებში შთანთქა. გაუჩინარე-

ბულები – გონა მიქავას, ირმა კვანჭიანისა და მისი ტყუპის – თათია და ნათია სახოკიების ცხედრებს იმ დღიდან ეძებენ. სამაშველო სამსახური სამი თვე ეძებდა, თუმცა ამაოდ. გარდაცვლილების ახლობლებს იმედი მაინც არ დაუკარგავთ და საკუთარი ძალებით განაგრძეს ძებნა. 10 თებერვალს ზურაბ კვანჭიანმა ნათესავებთან ერთად თავისი დის – ირმას ნონხად ქველვი გვამი იპოვა. ოთხი დღით ადრე კი ირმას დის ქმრის – გონას გვამს მიაგნეს. 23 წლის ტყუპი დის ძებნა ისევე გრძელდება...

ირმა კვანჭიანი და მისი შვილები მოსკოვში ცხოვრობდნენ. გოგონებს სამედიცინო ინსტიტუტი ახალი დამთავრებული პქონდათ და ორდინატურის კურსს გადიოდნენ. მამამთილს სიკვდილის წინ ირმასთვის უთქვამს, ჩემი უკანასკნელი თხოვნაა, სამშობლოში წამასვენეთ და იქ დამამარხეთო. ნათია და თათია ბოლოს 6 წლის წინ იყვნენ საქართველოში. სამშობლომონატრებულები დედას გამოჰყენენ და ბაბუა სენაკში დაკრძალეს. თურმე დაკრძალვის დღესვე უნდოდათ გოგონებს სამეგრელოდან ტყუბერში ასვლა, ძალიან პყვარებითა დედას ეთხოვებოდა, მაგრამ უფროსების თხოვნას დაჰყენენ – კვირამდე, საბედისწერო 16 ივლისამდე, სენაკში დარჩენილიყვნენ.

ზურაბ კვანჭიანი, ირმას ძმა: ბაბუას დაკრძალვის დღეს ჩემი დის შვილები გვეხვეწებოდნენ, ტყუბერში გამოგვევლითო. ნეტავ იმ დღეს წავაგვეყვანა, თქვენ ეს ვიდევარება არ დაგეტყდომოდა, იქნებ გონამ (ჩემი მეორე დის ქმარმა) მანქანა ითხოვა და სვანეთისკენ წამოსულან. არ

ვიცი, რა გახდა უბედური შემთხვევის მიზეზი. მოწმე პყვებოდა, მძღოლის თვლებს რა დამავიწყებს, მანქანა რომ გადავარდა, მინის ჩატეხას ღამობდა, მაგრამ ვერაფერს გახდა, ავტომანქანის ქვეზე დაცემისას კი საბარგულის კარი აიხადა, იქიდან რაღაცები გადმოცვივდა და მანქანაც ნელ-ნელა შევიდა მდინარეში.

ორი კვირის წინ ჩემი დის – ირმას გვამი ვიპოვეთ, მანამდე, ხუთი დღით ადრე კი წალენჯიხელებმა გონას გვამს მიაგნეს. ორივეს ცხედარი შემთხვევის ადგილიდან დაახლოებით ერთ კილომეტრში ვნახეთ, იქ, სადაც ენბურის იტბორება. იმ ადგილს თითანი პქვია. გვამები ქვიშაში, მდინარის მარცხენა ნაპირზე გამოჩნდა. გონას გვამი დახიანებული იყო, მაგრამ, ასე თუ ისე – შენახული.

გვამს ქვიშაშიდან გამოჩენისთანავე თუ ვერ მიუსწარი, შესაძლოა, ნადირმა წაიღოს. ირმას ცხედარი კი ნადირს დაუხიანებია და თითქმის ჩონჩხად იყო ქცეული. ჩემი და თმის სიგრძითა და ქამრით ამოვიკვანით, ტყუბერის მიწას მივაბარეთ. მონაკვეთი, სადაც ტრაგედია დატრიალდა, ძალიან სახიფათოა – ხიდადვე სწორი გზა მიდის და შემდეგ თითქმის 90-გრადუსიანი მოსახვევია. გონა პროფესიონალი მძღოლი იყო და ეს გზა ზეპირად იცოდა. რატომ და როგორ მოხდა ეს შემთხვევა, ვერ აგვისინია. თანაც მათ “სუბარუს” საჭე მარჯვენა მხარეს პქონდა და წესით, მარჯვნივ არ უნდა გადავარდნილიყო. წინა მთავრობის დროს ეს გზა ვარემონტდა, ბორბლები გააკეთეს, მაგრამ ვიდრე ეს შემთხვევა არ მოხდა, ხიდის თავში ტროსები არ გაკეთდა.

ენბური ივლისში განსაკუთრებით გა-

იყებით მოდის, თან იქ იმხელა ქვები ყრია, გადარჩენის შანსი არც ექნებოდათ. მაშველებს იმ დღესვე რომ დაეწყოთ ძებნა, მაინც ვერაფერს გახდებოდნენ, თუმცა დიდი შრომა გასწიეს, სამ თვეს ეძებდნენ. აზერბაიჯანიდანაც ჩამოვიდნენ დასახმარებლად. მაშველებს პქონდათ სპეციალური მოწყობილობა, რომელიც ახვენებს, რა არის წყლის სიღრმეში, მაგრამ როცა ჩაუშვეს, დინებამ წაართვა. ასეთი მასშტაბის ძებნა თითქმის არ ჩატარებულა – სამი თვის განმავლობაში აქ იყვნენ საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტის მაშველები, სახანძრო სამსახური...

ნათიას და თათიას მამა მარტო დარჩა მოსკოვში, კაცს ერთ დღეში ამოუწყდა ოჯახი...

ტრაგედიიდან ხუთი თვის შემდეგ მამაჩემი, ზაქრო კვანჭიანი, ტყუპის მეორე ბაბუა, ენბურის პირას იმ გზაზე და თითქმის იმავე ადგილას ვარდაცვადა. მას გული აწუხებდა და წინადღეს ზუგდიდის საავადმყოფოში წავიყვანეთ, გამოკვლევები ჩაუტარეს და მეორე დღეს გამოწერეს. ტყუბერში მივდიოდით და ენბურის პირას შემაჩერებინა მანქანა, ცოტა ხნით გადმოვიდა და როდესაც მანქანაში ვსხდებოდით, უცებ დამიძახა, ჩამეხუტა და... გული გაუჩერდა... იმ ადგილის ნახვისას, ალბათ, ის ტრაგედია თვალწინ წარმოუდგა და ვეღარ გაუძლო. ხუთ თვეში ექვსი საყვარელი ადამიანი დაკარგეთ...

საწუხარი არს, დიდად საწუხარი!..

6. შიცხელაური

ილორი



სოლიდური ასაკისა, იგი მინც ახალგაზრდული შემართებით აგრძელებს თანამშრომლობას ჩვენს გაზეთთან, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხსენებთ ბატონ ლეონტი!

ცხოვრების ძნელი და საინტერესო გზა განვლო ამ ადამიანმა, წლების განმავლობაში მუშაობდა ხელმძღვანელ სამეურნეო თანამდებობებზე საქართველოსა და რუსეთში და ყველაზე კეთილი კვალი დატოვა. მის მიერ აღზრდილმა სპეციალისტებმა უამრავი ინი-

ციატივებს დაუდეს სათავე და დღესაც წარმატებით საქმიანობენ სხვადასხვა შრომით ფორმებზე. ვულოცავთ სანიმუშო შრომითი წარსულის მქონე პიროვნებას აღნიშნულ იუბილეს, გუსურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ ნაყოფიერ შემოქმედებას!

ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ ბატონ ლეონტი ბიჭაძის წერილს "საქართველოს მთავრობა ხალხში ორბინტირებაშია თუ საპროტარ ჯიბაში".

გაზეთ "ილორი"-ს რედაქცია

ჩვენი მეგობარი, გაზეთ "ილორი"-ს ერთგული ავტორი და სახალხო მოძრაობა "სამშობლოს" აქტიური მხარდამჭერი ლეონტი ბიჭაძე 80 წლის გახდა. მიუხედავად

სერბი ლავროვი: დასავლეთი რუსეთს შორდება მართლმადიდებლობასთან მისი დაბრუნების გამო

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა აღნიშნა, რომ რუსეთი ტრადიციულ სულიერ ფასეულობებს უბრუნდება და ეს მისგან დასავლეთის დაშორების ერთ-ერთი მიზეზია, - იტყობინება „ინტერფაქს-რელიგია“.

„ჩვენდა გასაცრად, ოპერირებენ იმ თეზისითაც, რომ საბჭოთა კავშირი, მისი კომუნისტური დოქტრინით, დასავლეთში შემუშავებულ იდეათა სისტემის ჩარჩოებში მინც ჯდებოდა, მაშინ, როცა ახალი რუსეთი მართლმადიდებლობის ფესვებზე აღმოცენებულ თავის ტრადიციულ ფასეულობებს უბრუნდება და ამის გამო კიდევ

უფრო გაუგებარი ხდება“, - განაცხადა ლავროვმა მოსკოვში საერთაშორისო საქმეებში რუსეთის საბჭოს წევრებთან შეხვედრაზე. მისივე თქმით, ამასთან ერთად, ბოლო ხანებში სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება წინააღმდეგობები „ობიექტურად განმტკიცებულ მრავალპოლარულობასა და აშშ-ისა და ისტორიული დასავლეთის მისწრაფებას შორის, შეინარჩუნონ თავისი ჩვეული დომინანტი პოზიციები, თანამედროვე სამყაროს კულტურულ-ცივილიზაციურ მრავალფეროვნებასა და მცდელობებს შორის, ყველას თავს მოახვიონ ღირებულებების დასავლური სკალა“.

საქინფორმ

აღმავლობითი ტყუილების ტოკ-ათეულები "მოღველირებული ქრონიკა" შვიდი - Time-ს რეიტინგი



„ქართველებმა ცხოვრების ყველაზე დიდი სტრესი მიიღეს, როდესაც 13 მარტს არხმა "იმედმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსული ტანკები ქვეყანას ხელახლა იპყრობდნენ, 2008 წლის ომიდან 18 თვის შემდეგ“, - წერს გამოცემა Time.

როგორც სტატიაში ავტორი გლენ ლევი წერს, შაბათს საღამოს, ტელევიზიები მაყურებელს ჩვეულებისამებრ, სახალისო შოუებს, ფილმებსა და სპორტულ გადაცემებს სთავაზობენ. თუმცა, ქართველებმა შოკი მიიღეს, როდესაც "იმედზე" პრაიმ-ტაიმის დროს შეიტყვეს, რომ რუსული ტანკები მათ ქვეყანას იპყრობენ.

„ალბათ წარმოგიდგენიათ პანიკა, რომელიც საცხებით გასაგებია - ხალხი ქუჩაში გაიქცა და სატელეფონო ხაზების ქსელი ფაქტობრივად მოიშალა. საბედნიეროდ, ომი არ იყო, მაგრამ ტელეარხმა ეთერში გაუშვა დეტალების ამსახველი კადრები, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები, იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის პრეზიდენტს მოკლდნენ“, - წერია სტატიაში.

როგორც შურნალისტი წერს, ტელეარხი მაყურებელს მოვლენების მოდელირებულ ვარიანტს სთავაზობდა, მაგრამ ეს გაფრთხილება ბევრი ადგილობრივისთვის შეუმჩნეველი დარჩა: ადამიანები გამოწვეული სტრესის გამო საავადმყოფოში გადაიყ-

ვანეს. გაგრძელებული ინფორმაციით, ერთი ქალბატონი, რომლის ვაჟიც ჯარში მსახურობდა, გულის შეტევით გარდაიცვალა. როგორც სტატიაში წერია, მოგვიანებით "იმედის" თანამშრომლებმა საჯაროდ ბოდიში მოიხადეს.

Time-ის აღმავლობითი ტყუილების ტოკ-ათეულები ასე გამოიყურება:

1. საქართველო - "იმედის" მოდელირებული სიუჟეტი ომზე;
2. 2008 წლის აშშ-ის საარჩევნო კამპანია: გაგრძელდა ინფორმაცია, რომ 20 წლის ეშლი ტოდს ბასრი დანით თავს დაესხნენ, რადგანაც ჯონ მაკკეინის მხარდამჭერი იყო. ეშლი ამბობდა, რომ თავდასხმელი მოუწოდებდა, "ზარაკი ობამას მხარდამჭერი გამხდარიყო". მას მოგვიანებით ფსიქიკური აშლილობა დაუდგინეს. 2 დღის შემდეგ ეშლიმ დანაშაული აღიარა და განაცხადა, რომ მთელი ამბავი მოიგონა. ის მესხიერებას კარგავდა და ვერ იხსენებდა, რა მოხდა. მართალია პოლიციისთვის ცრუ ინფორმაციის მიწოდებისთვის პატიმრობას გადაურჩა, მაგრამ ფსიქიატრთან კონსულტაციები დაენიშნა;
3. 2009 წელს მსოფლიო შეპრა კოლორადოში მიმდინარე მოვლენებმა. ოჯახი ირწმუნებოდა, რომ 6 წლის ფალკონ ჰენი სამკაერო ბურთშია და ქარმა გაიტაცა. სინამდვილეში, პატარა არსად გაფრენილა და სრულიად უსაფრთხოდ სხვენში იმალებოდა. ოჯახის წევრებმა ეს ისტორია იმისთვის გამოიგონეს, რომ რვალითი შოუს პოპულარობა შეეძინა. გოგონას ძებნაში ჩართულები იყვნენ სამართალდამცველები, დაიხურა აეროპორტი, ზოგიერთი რეისი კი გადაიდო; ყველა ადამიანი კარგად მოფიქრებული, თვალთმაქცური გეგმის მსხვერპლია - მშობლებს პოპულარობა და რვალითი შოუს ფართო მასისთვის გაცნობა სურდათ. საბოლოო ჯამში, რიჩარდ ჰენი და მისი მეუღლე 6 წლით დააპატიმრეს, ხოლო ჯარიმის სახით 500 000 დოლარის გადახდა დააკისრეს;

"ნიუ იორკ თაიმსმა" ობამა, ქერი და კიევი საზიზღარ სიცრუეში დაადანაშაულა - სამხრეთ-აღმოსავლეთში ფედერალიზაციის მომხრეთა ქმედებებში რუსეთის მონაწილეობის კვალი არსად აღმოჩნდა

ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გაზეთის New York Times-ის ჟურნალისტებმა ამხილეს თავისი პრეზიდენტი ბარაკ ობამა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი ჯონ ქერი და გამოაშკარავეს კიევის ხელისუფლების აშკარა ტყუილი - მათ მთელი კვირა დაჰყვეს სამხრეთ-აღმოსავლეთში და ფედერალიზაციის მომხრეთა ქმედებებში რუსეთის მონაწილეობის კვალიც კი ვერ აღმოაჩინეს. ვერც კოორდინატორები, ვერც ინსტრუქტორები, ვერც მატერი-ალური და ტექნიკური დახმარება, რომელსაც, ქერის, ობამასა და ყველა ჯურის ტურნინოვ-ავაკოვების თქმით, თითქოსდა რუსეთი ახორციელებდა.

სტატია-გამოძიებაში ჟურნალისტებმა გულწრფელად აღიარეს - დიას, „დასავლეთის ოფიციალური წარმომადგენლები და უკრაინის ხელისუფლება ირწმუნებიან, რომ ბოვეიკებს ხელმძღვანელობს, აღჭურავს და ორგანიზებას უწევს რუსეთი“. თუმცა, გაბედეს და განაცხადეს - იქ რუსები არ არიან, არც დახმარებაა. „მე-12 რაზმში მომსახურე ამბოხებულები უკრაინელები აღმოჩნდნენ, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ რუსეთთან, მათ შორის, ნათესაურიც, როგორც ბევრს აღმოსავლეთ უკრაინაში. ბევრი მათგანი საბჭოთა, უკრაინული ან რუსული არმიის ვეტერანები არიან“, - წერია სტატიაში. ამასთან, ამერიკელმა ჟურნალისტებმა უკრადლება გაამახვილეს, რომ მუამბოხებს მნიშვნელოვანი საბრძოლო გამოცდილება აქვთ და შეუძლიათ დაუპირისპირდნენ რეგულარულ არმიას ყოველგვარი „რუსეთის დახმარების“ გარეშე.

საქინფორმ

პოეზიის კუთხე

აზრთა გამრიგემ არ გამიგეტოს ვინც სამყაროთა თვალის ჩინია. ადამიანო, შენდა იმედად ღაღადებს სიტყვა "ნუ გეშინია". ზეცამ ძუძუდან არ მოგიკვეთა, ყოველი არსი შენთვის ხში-ანობს, ვაგლახად სასო არ წარიკვე-თო, ვინძლო სული არ დაიზიანო. ფათერაკს მკერდით დაგაუდე-ქი, მოძმეთ იმედი არ წარუხოცო, ადამიანო, იყავ უდრეკი, იყავ უშიში, ვითა უხორცო. სტიქიონების ველურ თარეშში სულის სიმტკიცე გამართებს მალული, რადგან ვაჟკაცურ გზების გარეშე, არ არის ქვეყნად არც სიყვარული. როცა წინასწარ თქმული ახდე-ბა, როცა სამყარო ფაფარს აიშ-ლის, განსაცდელს მშვიდად თუ არ დახვდები, როგორ იწოდო პირმშო ქარიშხლის. ნაჭუჭის კაცად ნუ გადიქცევი, თორემ დინება წაგლეკს, გაგრიყავს, სტიქიის რისხვას თუ გაექცევი, რაღას დააკლებ ცხოვრების გრივალს. უტეხი რწმენით შენ არ წაწყდე-ბი, დააცხრობ დევვას, დათრუნავ ქარებს, სად თანაგრძნობა ვერას გახდე-ბა, იქ თავგანწირვა გაგიდებს კარებს.

მერაბ კოსტავა

4. აშშ-ის შტატ ორგონში 1999 წელს KSJJ Radio-ში გამოაცხადეს, რომ კაშხალი Ochoco გასკდა და თითქოს, კაშხლის დაზიანება ახლომდებარე ტერიტორიას სახიფათო დატბორვით ემუქრებოდა. მოგვიანებით განაცხადეს, რომ ყველაფერი "ზუმრობა" იყო; შედეგად, რადიომ რეიტინგი დაკარგა;
5. 1985 წელს Sports Illustrated-მა გამოგონილი ბეისბოლის მოთამაშის, ვინმე ჰაიდენ ფინჩის ფოტო დაბეჭდა. ფინჩი ფენომენი იყო, რომელიც მარჯვენა ფეხზე წამოცმული ცალი სპორტული ფეხსაცმლით თამაშობდა და შეეძლო ბურთი საათში 168 მილის სიჩქარით ესროლა;
6. რადიოეთერში გამოაცხადეს, რომ უცხოელანტელები შემოიჭრნენ. როგორც ამბობენ, "ექვსმა მილიონმა ადამიანმა ინფორმაცია CBS-ით მოისმინა, 17-მა მილიონმა მსმენელმა იფიქრა, რომ ეს ამბავი სიმართლეა, 12 მილიონს კი გულწრფელად შეეშინდა";
7. ანასტასია რომანოვა რუსეთის ბოლო იმპერატორის, ნიკოლოზ II და მისი მეუღლის, ალექსანდრა ფედოროვნას მეოთხე ქალიშვილია. ანასტასიას რე-ალურობის გარშემო აზრთა სხვადასხვაობა წლებია არსებობდა. არსებული ინფორმაც-იით, ბოლშევიკებმა ოჯახის წევრებთან ერთად ის 17 წლის ასაკში დახვრიტეს. თუმცა, გაგრძელდა ინფორმაცია, რომ პრინცესამ თავს გაქცევით უშველა. ეჭვი 1991 წელს კიდევ უფრო გამძაფრდა, როდესაც მისი საფლავი გათხარეს, მაგრამ ცარიელი აღმოჩნდა. მას შემდეგ 10 ქალი ამტკიცებს, რომ გადარჩენილი პრინცესაა. მათ შორის ყველაზე აქტიური და ცნობილი ანა ანდერსონია, რომელიც სხვადასხვა გამოცემებსა და შოუებში საკუთარ ისტორიებს ყვება;
8. 1983 წელს გერმანული ყოველკვირეული ახალი ამბების სააგენტოს Stern-ის ექსკლუზივის დიდი გამოხმაურება მოჰყვა; Stern ამტკიცებდა, რომ მათ ხელში

გერმანიის ფიურერის, ადოლფ ჰიტლერის დღიურები ჩაუვარდათ. სააგენტომ დოკუმენტები 6 მილიონ დოლარად შეიძინა, თუმცა მალევე კრიტიკული ცდომილების წინაშე აღმოჩნდნენ. 2 კვირის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ჰიტლერის დღიურები ყალბია, გამოყენებულია თანამედროვე ქალაქი და 1980-იან წლებში დამზადებული მეღანი. ამასთან, ტექსტი საესკა ისტორიული უზუსტობებით. შედეგად, თანამშრომლების ნაწილი სამსახურდან დაითხოვეს, ნაწილი კი 42 თვით დააპატიმრეს;

9. როდესაც 1912 წელს ინგლისში Eoan-thropus Dawson-ის, (პილტდაუნის კაცის სახელით ცნობილი), პირველი ფრაგმენტი იპოვეს, მეცნიერებმა დაიჯერეს, რომ მათ მოიპოვეს კაცობრიობის ევოლუციური გან-ვითარების დასტურები: გარდამავალი ჯაჭვი ადამიანსა და მიმიუნს შორის. შემდგომ, 40 წლის განმავლობაში ამ არქეოლოგიურ მონაპოვარზე 500-ზე მეტი სამეცნიერო ესსე დაიწერა. მაგრამ 1953 წელს გაირკვა, რომ ეს განზრახ ორგანიზებული მისტი-ფიკაცია იყო;

10. პაპები ხშირად არასარწმუნო ჭორების გაგრძელების წყაროა ხოლმე. 1814 წელს უნიფორმაში ჩაცმული ოფიცერი, რომელიც თავს პოლკოვნიკ დიუ ბურგად ასაღებდა, ინგლისში, დუერში ჩავიდა და ჩაიტანა ახალი ამბავი, რომ ნაპოლეონ ბონაპარტი მოკლულია. ეს კი იმას ნიშ-ნავდა, რომ ინგლისის ომი ბურბონებთან დასრულდა. როგორც კი ეს ისტორია გაგრძელდა, ლონდონის ბირჟაზე მთავრობის აქციების ფასი ავარდა. სწორედ ეს იყო თადლითობის საფუძველი;

ჟურნალ Time-ს სტატია, სახელწოდებით - "აღმავლობითი ტყუილების ტოკ-ათეული", 2010 წელს დაიბეჭდა.

საპ. იფს.

დია წერილი ბატონ მამანტი ძამამიას!

კუპური ფიფია ვნანობ, რომ მართლაც შეცდომა დავუშვი და გული გატკინე

დიდი ადამიანები მუდამ გამორჩეული პუბლიცისტები და კეთილშობილები არიან. ამიტომ ვერ გამომეტოვებდა გასაწირად და ყველას საკლიკო, რომ არ გაგეხადეთ ჩემი სახელი და გვიარ არ დააფიქსირეთ გახეთქილი, მაგრამ ვხვდები, თქვენი წერილი გამოქვეყნებული „ილორის“ 2014 წლის 267-268 ნომერში უფრო მეტად მეტყუარების, ვიდრე კორკილიას და მისდამი პასუხად, ალბათ, არც გაირჯებოდით. მაგრამ ერთი პიროვნებების ხელის მოცარვა ნაკლებ სახიანოა, ვიდრე მთელი საზოგადოების შეცდომაში შეყვანა და ჯანსაღი და კეთილგანწყობილი წყველა, რამდენად მწვავე არ იყოს იგი, მისაღება თქვენგან, რადგან ჩემთვის ენათმეცნიერის ეტალონი ბრძანდებით და იმხელა საქმე გაქვთ გაკეთებული, რადგან დელ მსოფლიოში არ მეგულება თქვენი დონის მეცნიერი.

ენანობ, რომ მართლაც შეცდომა დავუშვი და გული გატკინე, მაგრამ დამერთა მოწამე, რომ ეს შეგნებულად არ გამიკეთებია, კომპლექსულ პიროვნებებს ასაკი სხვადასხვანაირად მოქმედებს და თხი-ხუთი წლის წინათ დაწერილი წერილები (მხედველობაშია ჟურნალი №2 (17) გამოქვეყნებული წერილები) ჩვენი სატელეფონო საუბრისას არც მახსოვდა, თუ დამიჯერებთ, და მასწავლა ისე მივაწოდე რედაქციას, რომ სერიოზულად არც გამიკონტროლებია, რაც დიდი შეცდომაა. ხოლო ადრე გამოქვეყნებულ წერილებში რომ ვწერ, ძირითადი ფორმების კვლევა ჩემამდგ არავის უწარმოებია-მეთქი, მხედველობაში მქონდა კვლევის ჩემგებური, ორიგინალური მეთოდი და არანაირად არც ვაჩვენებ, რადგან ის მაინც კარგად მახსოვს, რომ შევდგომეულის (მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმოშობა) გამოკვლევამდე გაცანით თქვენი კვლევის ფრაგმენტები და შევდგომეულის უფრო ადრე გამოქვეყნებული, ვიდრე პრესაში გამოქვეყნდებოდა ჩემი ეტიმოლოგიური ძიებანი და, თუნდაც, შეგნებულად, რომ დამეწერა და რამდენიც არ მეყვირა: სიტყვათწარმოშობის კვლევა ჩემამდგ არავის უწარმოებია-მეთქი, ვინ დაიჯერებდა? ხოლო, რაც შეეხება ჩემს წიგნში „ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი“ წარმოებულ ეტიმოლოგიურ ძიებებს, მთლიანად შეცდომაა.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, სათაყვანო და უხადო პიროვნება ბრძანდებით, არ შემიძლია, როგორც ყველა სხვებისგან, თქვენგანაც ბრძანდ მივღო მარგალიტებიც კი, გონებაში გადახარშვის გარეშე.

კი ბატონო, ჩხარტვი გამოსცემს ბეგრათა კომპლექსს **ჯღრრ-ჯღრრ**, ამიტომ მამანტიმ საფუძველზე ამ ფრინველს **ჯღრრჯღრ** ეწოდა. აქედან გამომდინარე, ადამიანის უახრო ლაპარაკი, გადატანითი მნიშვნელობით, **ჯღრრჯღრ**-ით იწოდება; პატარა ნაკადული, დაშრობამდე მისული, გამოსცემს ბეგრათა კომპლექსს **ჭყრრ-ჭყრრ**, ამიტომ იტყვიან მოჭყარჭყარად (მოჭყარჭყარებს). თითქმის ასეთივე ბეგრათა კომპლექსს გავიგონებთ ჭეჩქოპოში გაულისას. აქედან გამომდინარე, გადატანითი მნიშვნელობით, ადამიანის ერთგვარი ხმით ლაპარაკმა მიიღო სახელდება **ჭყრრჭყრ**. **ჭყრ** პარმონიული კომპლექსი გახდა სისუსტის გამოხატველი (მაგ., ჭყინანც [სუსტი]) ფორმა და ა.შ. მისგანც ხმაბაძვით ძირითადი ფორმები ტყრტყრ, ღერღ, ჩხერჩხე, ტყ, ჩხე და ა.შ., როგორც თქვენ განმარტავთ, არანაირად არ იშლება და აბსოლუტურად გეთანხმებით.

ასე თუ ისე ვიცნობ საქართველოს მთასა და ბარს, ჩვენი დედაბუნების მიერ გამოცემულ მრავალხმიანობას და მათი შეცნობით, შეიძლება ითქვას, არანორმალურად ვიყავ ბავშვობის ასაკიდან დაინტერესებული. სულგანაბული ვუსმენდი და ვაკვირდებოდი ჩემს გარშემო არსებულ რეალობებს, წყლის მღორე დინებისას გამოცემულ ბეგრას და მის გამოცემულ ფიზიკურ რეალობასაც კი (ამის გამო ჩემს სოფელში ერთ დროს ფსიქიკურად გადახრილად შემრაცხეს კიდევ, მიუხედავად იმისა, სკოლაში ყველაზე წარმატებული მოსწავლე ვიყავი), მაგრამ ვერ წარმომიდგენია ბუნებაში არსებობდეს რაიმე ფიზიკური რეალობა, რომელიც გამოცემდეს ბუნდ, გუნდ, ღერღ, კეთ, კუნდ, ღერღ, ჰერღ, თერღ, ნერღ, ტყერღ, ჩხერღ, ნეთერღ, თუნუნდ, მხუნუნდ და ა.შ. ძირითადი ფორმებს ასე შეკავში-

რებული სახით. თუმცა, ჩემი წარმოდგენა არაფერს ნიშნავს და არ არის გამოცნობილი არსებობდეს ასეთი ფიზიკური რეალობები, მაგრამ მტკიცებულების წარმოდგენის გარეშე მისი მიღება მიჭირს.

რადგანაც „სიტყვის მნიშვნელობა, როგორც წესი, უკავშირდება სიტყვის ძირს, რომელიც, ჩვეულებრივ, შეიცავს თანხმოვანს ან თანხმოვნებს“ (იხ. შევდტომეული, ტ. I, გვ. 88), რომელიც, მნიშვნელობის მატარებელი არიან, ძირითადი ფორმის მნიშვნელობა განსაზღვრავს სიტყვის მნიშვნელობას. ეს უმარტივესი ლოგიკით ასეა. მაგრამ, როცა „პირველყოფილი მეტყველება – ეს იყო მეტყველება ხმაბაძვითი ძირითადი თანხმოვნური ფორმებით, კერძოდ, ერთი თანხმოვნებით“ (ბე, გე, ღე, რე და ა.შ., რომლებიც მნიშვნელობის მატარებელი არიან, კ.ფ.), თანხმოვან ბეგრათა პარმონიული კომპლექსებითა (ტყ, ტყე, ჩხე, ჭყე და ა.შ., რომლებიც, ასევე, მნიშვნელობის მატარებელი არიან, კ.ფ.), და მათი განხარტვით, როცა ასეთი გვაქვს“ (ტყერღ, ჩხერღ, თერღ, ზღერღ, ბუნდ, ღერღ, ბერტყ, ღერღ, ღერტყ, ნეთერღ, თუნუნდ და ა.შ., კ.ფ.) (იხ. იქვე, გვ. 93), ე.ი. თუ პირველყოფილი ადამიანი ასერხებდა აზრის გამოხატვას, თუ ურთიერთ გაგებინებას ერთმანეთს თანხმოვნით ფორმებით, თანხმოვან ბეგრათა პარმონიული კომპლექსებით, თანხმოვან ფორმათა, პარმონიული კომპლექსითა და თანხმოვან ფორმათა და პარმონიული კომპლექსითა კომბინაციების გამოყენებით, მაშინ, ბედ ძირითადი ხმაბაძვითი ფორმიდან (არასრულყოფილი ადამიანისადა, არასრულყოფილი მოძრაობისას – ბედ-ბედ, ბედ ხმაინობის გადების გამო) ბიდალი და ბადაფი (ბადალიც) კი, მაგრამ რა კავშირშია ხმაბაძვასთან იმავე ბედ ძირითადი ფორმისგან მიღებული ბადე (ბადა, შუა), ბედი და ბუდე, ან კიდევ, კეთ ძირითადი ფორმისგან, რომელიც „ბუნებით წარმოშობისას ჩანს“, კონკრეტულად რის საფუძველზე მიიღო კათა, კათე, კეთი და კუთე მნიშვნელობები, თუ ამ ძირითადი ფორმათა დაშლა არ შეიძლება ისევე, როგორც მათი კომბინირებულად გამოყენება მოახერხა პირველყოფილი ადამიანმა, ჩემთვის, ჯერჯერობით, ბუნდოვანი და გაუგებარი რჩება. ამასთან, თანხმოვნური ფორმები და პარმონიული კომპლექსები კომბინირებული (გაერთიანებული) სახით იშვიათად არსებობს. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის მათი შეკავშირებული სახით მასიური არსებობა. ამიტომ, ჯერჯერობით, ვრჩები ჩემი შეხედულებებისა და ეტიმოლოგიური კვლევის მეთოდის ერთგული და, მიმანია, რომ თავისი განვითარების დონის შესაბამისად, ერთეულ თანხმოვნურ და თანხმოვან ბეგრათა პარმონიული კომპლექსების კომბინირებულად გამოყენებით პირველყოფილი ადამიანი ცდილობდა, არაგამატეხირებულ, მაგრამ იმდროინდელი განვითარების კვალობაზე მარტივი წინადადების შედგენას და რაღაც აზრის გამოხატვას; შემიძღვ ეს არაგამატეხირებული წინადადებების წვერები შეუერთდა ერთმანეთს; სადაც მასვილი ეცემოდა თანხმოვნის თანხმობა ბეგრას, განხმოვანდა, სადაც არ ეცემოდა მახვილი იქ, ხშირად, საერთოდ გაქრა და მივიღეთ ძირითადი ფორმების დაკავშირებული, სრულყოფილი მნიშვნელობის სიტყვები, რომელთა თანხმოვან ძირითადი ფორმები და თანხმოვან ბეგრათა პარმონიული კომპლექსები დაშლა და მათი მნიშვნელობის საფუძველზე შედგენილი თანხმოვნური გრამატიზირებული წინადადება იძლევა ამა თუ იმ სიტყვის განმარტებას, საკმაოდ გასაგებად, თორემ ჩემი სურვილი კი არ არის, როგორც აღნიშნავთ, ეს ასე იყოს.

ბევრი სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენა მიცდია, მაგრამ არაფერი გამომივიდა, რადგან ზოგი გვიანდელი წარმოშობისა აღმოჩნდა, ზოგი კიდევ უცხოურიდან ნახესხები. ე.ი. გვიანდელი წარმოშობის სიტყვების ეტიმოლოგია ჩემიველი მეთოდით არ ირკვევა.

შევდტომეულში თქვენ აღნიშნავთ, რომ „ბედ [ქ] ძირითადი ფორმა ხმაბაძვითია (ბუნა, სხმა, ღერა რაიმე სითხისა ერთგვარი ხმის გადებით)“, მაგრამ ვერანაირად ვერ დასტურდება აღნიშნული ძირითადი ფორ-

მის ასე შეკავშირებული ბეგრადობით ბუნებაში არსებობა, რანაირი სიჩქარით, რა რაოდენობით, რა სიმაღლიდან, რა ჭურჭლიდან და რა წყალგამტარი მილიდან, თუ ღაროდან არ მოხდეს სითხის გადმოღვრა.

სავარაუდოდ, ბე ფორმამ სხმას მნიშვნელობა იმიტომ მიიღო, რომ სითხის გადმოღვრულ რეალობას და სითხის დასხმის ზედაპირს შორის მყისიერი (მომენტალური) ან ხანგრძლივი კავშირი, იგივე, ბე ბმა, სითხის მასით მყარდება. ხოლო თუთონ ბე ბეგრათა კომპლექსმა ბმას (კავშირის) მნიშვნელობა იმიტომ მიიღო, რომ ორ წერტილს, ან ორ საგანს შორის უმოკლესი კავშირის მყისიერი განხორციელების მომენტში (მაგ., სიმაღლეზე ჩამოკიდებულ მკვირვ ბაზარს მიახტე და ჩამოეკიდო: გავიხსენოთ კ/ფ „ტარხანი“, როგორ გადაადგილდება ზევით ჩამოკიდებული თოკით საფრთხისას ტარხანი ხეობის, თუ ქარაფის ერთი ნაპირიდან მეორეზე; იმ უძველეს ხანაში ასეთი ეპიზოდებს, ალბათ, ხშირად ჰქონდა ადგილი), ან განხორციელებული კავშირის (მაგ., გიტარის სიმის) შეფოთებისას გავიგონებთ ბეგრათა კომპლექსს ბე[ქ].

ამრიგად, -ბან-//ბონ-//вань//пань (ბ-ფ-მ) ძირი სიტყვისაა -ბან-ო, ბან-ვა, მეგრული ბონ-უა (ბანვა), რუსული бан-я (бан ван *банна, умы-вань-е, ку-пань-е), პირველყოფილი მეტყველების ხანაში უნდა ჩასახულიყო ბუნდ ფორმით. მაგრამ, რადგანაც ასეთი ბეგრადობის ძირითადი ფორმა ბუნებაში არ შეინიშნება, ის მოგვიანებით კომბინირებული (შეკავშირებული) უნდა იყოს პირველყოფილი ადამიანის მიერ ბე და ნე ხმაბაძვითი ფორმებისგან, სადაც ბე ზოგადი ფორმით ნიშნავს სხმას. (გუნა-ბე გადა-სხმა, ქიგნი-ბე გადა-სხმა); ხოლო ნე უნდა ნიშნავდეს წყალს. ხშირად გამოვლინა ჩველი ბავშვის დედებისგან „ნაი გოკონო“? წყალი ვინდა? მდინარე კოდორის მარცხენა სანაპიროზე, მთის ძირში მდებარეობს სოფელი ნა (ნე-ს განხმოვანებული ფორმა), რომელიც უძველეს ხანაში შეერქვა, ალბათ, ამ სოფელში არსებული მინერალური წყლის გამო, რომელიც მიმდებარე სოფელში ძალზე პოპულარულია და მანქანებით დააქვთ. მეგრულ-ქართულ მეტყველებაში გვაქვს სიტყვები ნერსი//ნი-სლი, ნა-ვი //ნე-ში, ნა-ში, მუ-ნა-ფა, მდი-ნა-რე მალე-ნა-რე, ნე-რა (წყლის მღორე დინება), მნე-ნე (მწუანე მწე-ნე), სადაც წვე წვივას ნიშნავს, წვე ნე, კიდევ მწოვი წყლისას, რომლის გარეშე მწვანე არ იქნება მარადმწვანე მცენარეც. ყველა ეს სიტყვები წყალთანაა დაკავშირებული, ნე//ნა, რომ წყალს ნიშნავს ბევრი სხვა ავტორის მიერაცაა დამოწმებული.

ამდენად, ბუნდ ძირითადი ფორმა ბე და ნე ფორმების შეკავშირებით უნდა იყოს მიღებული და სხმა წყლისას ნიშნავს. აბანოს და ბანვის ფუნქციაც, სწორედ ადამიანის სხეულზე დიდი რაოდენობით წყლის შესხმაა.

ს.ს. ორბელიანს თავის ქართულ ლექსიკონში სიტყვა ფიქრი ასე აქვს განმარტებული: ფიქრი არაბთა ენაა, ქართულად საგონებელი, განზრახვა, გულის-თქმა, წვლილ-მოგონება ჰქვია“ (ტომი II, 1993, გვ. 194).

თუ ფიქრი არაბთა ენაზე აქ ჩამოთვლილი მნიშვნელობების მატარებელია, უთუოდ, არაბულ ენას აქვს ნახესხები იბერიულისგან და არა პირიქით.

მაგრამ ფიქრი არც საგონებელია, არც განზრახვა, არც გულის-თქმა და არც წვლილ-მოგონება. ნორმალური მახსოვრობის მქონე ადამიანს მოგონებისთვის ფიქრი არ სჭირდება; გულის-თქმაც გულის კარნახით მიღებული შედეგია და არა ფიქრი; განზრახვა რაღაც პრობლემის გადაჭრის მიზნად დასახვაა და არა ფიქრი; საგონებელი, ანუ საფიქრალი გონების დაძაბვის, ფიქრის მიხეზია და არა თვით ფიქრი.

ფიქრი ზოგადი მცნებაა და, მეტაფორულად რომ ვთქვათ, ტვინის ჭყლეტვის, გონების დაძაბვის, აზრთა ჭიდილის პროცესია რაიმე ჭეშმარიტების თუ რთული სიტუაციიდან გამოსავლის ძიებისას და არა მიხეზი, ან შედეგი.

გასათვალისწინებელია ერთი ჭეშმარიტებაც: როცა სიტყვაში ერთმანეთის სიახლოვეს ხედებიან ისეთი ბეგრები, რომლებიც

პარმონიული კომპლექსს ქმნიან, ხშირად, მათ შორის არსებული ნეიტრალური ხმოვანი გეა ხმოვანიც კი იკვეცება (იკარგება). ვფიქრობთ, ასეთ რეალობას აქვს ადგილი სიტყვაში ფიქრი ქ-ს და რ-ს შორის (თუმცა, ქრ არ არის ბუნებაში არსებული პარმონიული კომპლექსი), თორემ მისი თავდაპირველი ძირითადი ფორმა ფექე უნდა ყოფილიყო, ხოლო რე ძირითადი ფორმა მოგვიანებით უნდა დაემატებინათ ფექე-ს რეალობის დასადასტურებლად. აქ ფე იღვლავს ნიშნავს, ზოგადად, დუღილს, რომლის შედეგი ამდღებია. ქე ქმნა-ს ნიშნავს. მაგ., იტყვიან მუს-ო-ქე თინკმა რას-ო-ქმნი მაშინ. რე/რე ნიშნავს არის. მაშინ არქაული ხანის ძირითადი ფორმა ფექერე (ადუღე-ბა-ამაღლება, ქმნა, არის) ნიშნავს: ადუღე-ბა-ამაღლება ქმნა არის. და, სწორედ, ფიქრი, ტვინის ჭყლეტვისა და გონების დაძაბვაშია ადამიანის გონებრივი ადუღე-ბა-ამაღლების ქმნა. და აქ ჩემი სურვილი არაფერ შუაშია, ხელგონურად არაფერი გამოკეთებია. ასე გამოდის ფე, ქე და რ-ს მნიშვნელობათა დაკავშირებით.

სიტყვა წოთა უძველეს ხანაში წვეგნე ფორმით უნდა ჩასახულიყო. ასეთი ფორმით მისი დამარცხდა შესაძლებელია, რადგან გნ კომპლექსი არაა პარმონიული ბეგრათა კომპლექსი. ბუნებაში გნ ბეგრადობის შეკავშირებული ფორმა არ არსებობს. ამიტომ, ვფიქრობთ, ის წვე გე და ნე ძირითადი თანხმოვნური ფორმების კომბინირებით უნდა იყოს მიღებული. წვე ფორმა წოვას ნიშნავს, გე-აგო-ს, ზოგადი ფორმით აგება-ს (მაგ., კვალა გემა-გე კვლევი ამო-აგო), ნე, კიდევ წყალს. თუ წვე, გე და ნე ფორმების შესატყვის სიტყვებს წოვა, აგება, წყალი (წყარო) გრამატიკულად დავაკავშირებთ, საკმაოდ სრულყოფილ წინადადებას მივიღებთ: წოვით ნაგები წყარო (ცოდნისა; სიბრძნისა) და არა „წყარო იგი ცოდნისა იმისა“.

ცხადია, წიგნი იქმნება (იგება) გონების ბრძნული ინფორმაციებით მომარაგების საფუძველზე. გონებით ინფორმაციების წოვა აგებს წყაროს (სიბრძნისას) და სიტყვა წიგნის განმარტებისათვის სიტყვების წოვა, აგება და წყარო კომბინირებული ფორმით წარმოდგენა უძველესი ხანის ადამიანისათვის სრულიად საკმარისია.

ახლა წარმოვიდგინო ჩვენს აზრს, თუ რა კავშირშია ბედ ძირითადი ფორმიდან მიღებული აბსოლუტურად სხვადასხვა შინაარსის სიტყვები ბადე (ბადა, შუა), ბედი და ბუდე აღნიშნულ ძირითადი ფორმისგან. ბე ძირითადი ფორმა მიღებულია ბაწრის მყისიერი დაჭიმვისას, თუ დაჭიმული ბაწრის შეფოთების მომენტში გაღებულ ბეგრადობაზე ხმაბაძვით და ნიშნავს ბმას, ღე კიდევ მიღებულია რაიმე საგნის ბრტყელ ზედაპირზე (მაგ., მაგიდაზე დოქის დადგმისას). მშვიდად დადებისას მიღებულ ბეგრადობაზე ხმაბაძვით და ნიშნავს დო-ს, ზოგადად, დებას. ვნახთ რამდენადაა ასახული ბედე (ბმა, დო)-ს მნიშვნელობა მისგან მიღებულ სიტყვებში:

- ა) ბედე ბადე, ანუ ბმად, იგივე, ბიოლოგიური მემკვიდრეობის უწყვეტობისთვის დღე.
 - ბ) ბედე ბედი, ანუ ბმად, განგების ნებით ადამიანის მუდმივ თანამგზავრად მიბმულ უხილავ რეალობად დებულები.
 - გ) ბედე ბუდე, ანუ ბმისთვის, ბიოლოგიური მემკვიდრეობის უზრუნველსაყოფად აგებული (დებულები) ნაგებობა.
- რა თქმა უნდა, ბედე ძირითადი ფორმის ასე კომბინირებული სახით მეტყველებაში დამკვიდრება და მისგან განხმოვანებული სიტყვების წარმოშობა ბე და ღე ფორმების წარმოშობიდან დიდი ხნის შემდეგ მოხდა.
- ახლა კი ვცადოთ დავადგინოთ რამდენადაა დაკავშირებული და ასახული კეთ ძირითადი ფორმის მნიშვნელობა მისგან განხმოვანებულ სიტყვებში.
- ძირითადი ფორმა კეთ ასეთი შეკავშირებული ბეგრადობის სახით ბუნებაში არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის უცნობია რეალობა, რომელიც ასეთ ბეგრადობას გაიღებდა. ამიტომ მივგანია ფორმა კეთ ადამიანის მიერ კე და თე ხმაბაძვითი ფორმებისგან კომბინირებულ ფორმად და, ამდენად, შესაძლებლად მისი ისე დაშლა.

(გაგრძელება მე-7 გვერდზე)

დია ფერილი ბატონ მამანტი პაპამიას!

(გაგრძელება მე-6 გვერდიდან)
კვ ბგერადობას გავიგონებთ ერთი
მკერვი საგნის მეორეზე (მაგ., რკინის რკ-
ინაზე) დარტყმისას. აქედანაა მიღებული
სიტყვა კვერცხი, რომელიც ქართულად ნიშ-
ნავს აწითლ-ს (კვ+რცხ @ კვერცხი @ კვერცხი
კვერცხი). უფრო სწორად, კვ და მოუკიდებლად
ნიშნავს აწითლ-ს, ხოლო რ რე დამატებუ-
ლია ამ რეალობის უკეთ ხაზგასასმელად,
როგორც მაგალითად, მეგრული ჩხე (ცხ-
ელი) და ქართული ცხელი. ჩხე [ცხ-
ელი] ძირისეული ფორმა ხმაბაძებითა და გავ-
იგონებთ გახურებული რკინის ცივ წყალში
ჩაყოფისას, ან გახურებულ ქვაზე წყლის
დასხმისას. ე.ი. ქართული სიტყვა ცხელი
შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:
ჩხე+რე ჩხერე ჩხერე ჩხელე ცხელე
ცხელი.

კვ ფორმას აქვს კავა (კავება)-ს
მნიშვნელობა, მაგ., მი-კვ მოიკავა, მოუ-კვ
მოუკავა, დოუ-კვ და-კავა და ა.შ., მაგრამ
რის საფუძველზე მიიღო აღნიშნულმა
ფორმამ ეს მნიშვნელობა, გაურკვეველია.
ბატონ მამანტისაც არა აქვს დადგენილი.
თუ ძირისეული ფორმა თოვას ნიშნავს
და თოვლის ფიფქის თავზე და მხრებზე
დაცემისას მოსმენილ ბგერადობაზე
ხმაბაძებითაა მიღებული. აქ თუ ნიშნავს
თოვლს, ხოლო რე (არის) დამატებულია
თოვლის მოსვლის მოვლენის უკეთ ხაზ-
გასასმელად:
ა) მეგრულში
თვ+რე თვრე თვრი; ქართულში
თვ+რე თოურე თოულე თოული
თოვლი.

თოვლი ნათელის, სიწმინდისა და სის-
პეტაკის სიმბოლოა ფიზიკურ სამყაროში.
თუ (იგივე, თოვლი) იბერიულში (ე.წ.
მეგრულში) გადატანითი მნიშვნელობით
გამოყენებულია განათებული, გასხივოს-
ნებული გონების და თვით აბსოლუტურად
განათებული (იგივე განათლებული) და
გასხივოსნებული უზენაესი კოსმიური გო-
ნის გამოხატულებად.

თვ-ს აქვს აგრეთვე თავის
მნიშვნელობაც. მაგ., გაა-თვ გაა-თავა, გე-
თვ გა-თავა (გა-სრულ-და). თვ-დანაა
მიღებული სიტყვა თარი (მთავარი, მეთაური,

ლიდერი). თარი სრულყოფილი პიროვნების
გამომხატველია და, რადგანაც თუ (თოვა,
თოვლი) უკვე გასრულებული მოვლენაა,
ვფიქრობთ, ეს ფორმა გადატანითი
მნიშვნელობით იქნა გამოყენებული თარის,
სრულყოფილი, ანუ დასრულებული ადამი-
ანის ხაზგასასმელად. კვთუ ძირისეული
ფორმა ამიტომ ჩაისახა წრთობა-ნათელი,
კავა-თავი და კავა-ნათელი
მნიშვნელობებით და ეს მნიშვნელობები
ასახულია სიტყვებში:

ა) კვთუ-კათა (ხალხი) ნიშნავს წრთო-
ბანათელის-ს და, მართლაც, ადამიანი,
რანაირი პოტენციის არ იყოს, ჯუნგლებში
გაზრდილი, ველურ ცხოველად დარჩება.
ადამიანი, საზოგადოებაში, სხვა ადამიანებ-
თან ურთიერთობაში ვითარდება და
უნათდება გონება, ადამიანებთან ურთიერ-
ობაში იქნის ნათელს, იგივე სიცოცხლეს
(სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი“,
იოან. 1,4), ანუ ხდება წრთობა ნათელისა.
ამიტომ აღნიშნა სიტყვამ კათა ხალხი.

ბ) კვთუ-კათვ, ქა-კათვ (შე-ერია) კათას
(ადამიანთა ჯგუფს), რომ წრთობა თავისა
მოხდეს.

გ) კვთუ-კათვ, გა-კეთვ გაა-კეთა, ანუ
აწრთო ნათელი. ნებისმიერი სასარგებლო
საქმე საკუთარ თავში ნათელის წრთობით
მიიღება.

დ) კვთუ-კითი (თითი), ანუ მომ-კავებ-
ელი თავი-სთვის.

ე) კვთუ-კუთვ, შურქ მა-კუთვ სული
შე-ესუთა, ანუ ნათელის მიღების უნარი
შეუ-კავდა, შური მოუ-კუთ (სული) შე-
ესუთა, ანუ რაღაც ბოროტმა ძალამ ნათე-
ლის წრთობის უნარი შეუ-კავა, შეუხლუ-
და.

მაგრამ კომბინირებული (გაერთიანებუ-
ლი) ფორმით კო აზრის გამოხატვა და
მისი გახმობის გაცხადება მნიშე-
ნელობის სიტყვების ფორმირება პირვე-
ლიყოფილმა ადამიანმა კვ და თვ სრულ-
ნიშვნელოვანი სიტყვების წარმოშობიდან
ხანგრძლივი დროის გავლის შემდეგ შეძ-
ლო.

ხოლო სანამ კვთუ ძირისეული ფორ-
მისგან მიღებულა სხვადასხვა მნიშვნე-

ლობის სიტყვები კათა, კათვ, კეთვ, კითი
და კუთვ, ეს ძირისეული ფორმა გამოიყე-
ნებოდა, ალბათ, როგორც ამ სიტყვების
მნიშვნელობათა მატარებელი ომონიმი.
ომონიმები ადამიანს არ გამოუგონია, ეს
ბუნებრივი მოვლენაა.

გეთანხმებით, არ შეიძლება ამა თუ იმ
ბგერას ყველა სიტყვაში ერთიადიგივე
მნიშვნელობა ჰქონდეს, რადგან ბგერებს,
როგორც აღვნიშნავდით, რამდენიმე მნიშე-
ნელობა გააჩნია და ვინ იცის, რამდენია
კიდევ მიუწვევბული.

თქვენ სვამთ კითხვას: „...აბა, სად ჩანს
„წყალი“ სიტყვებში „მინარე, მცინარე, ნაძ-
ვი“ და სხვა?“, სიტყვებში „მინარე, მცინარე“
და „ნაძვი“, ჩვენი აზრით, „წყალი“ ნამდვი-
ლად ფიგურირებს.

სიტყვა „მინარე“, ვფიქრობთ, უნდა ჩა-
სახულიყო ფორმით „მეგნერე“, რაც სი-
ტყვა-სიტყვით ნიშნავს: „მე ძევს, წყალი
არის“. „წყალი“ კი, ცხადია, პირდაპირი
მნიშვნელობითაც „სიცოცხლის წყარო“,
მოკლედ, „სიცოცხლე“. მაშინ ეს არქაული
ხანის წინადადება უფრო გასაგებად ასე
შეიძლება წარმოითქვას: „მე ძევს, სიცოცხ-
ლე არის“, ანუ „ცოცხალი მე უმძროდაა“.

ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ ძალზე ძნე-
ლია ფხიზელმა კაცმა სრული უძრობა
შეინარჩუნოს რამდენიმე წუთითაც კი, ისე
რომ თვადი მისინჯ არ დაახამხამოს, რო-
გორც ეს „მინარეს“ შეუძლია ხანგრძლივი
დროის განმავლობაში; ასევე, „მცინარე“,
პირველადი ფორმით, სიტყვა-სიტყვით შემ-
დევი მნიშვნელობით უნდა ჩასახულიყო:
„მესგან [გა]ცემა წყალობისა არის“, უფრო
გასაგებად, „მე წყალობის გამცემია“. და,
მართლაც, იშვიათად ხდება, რომ „მცინარე“

– გაღიმებული კაცი კეთილგანწყობილი
და მი-წყალებუ არ იყოს; „ნაძვი“, კიდევ,
„უწყლოდ“ მწვანე არ იქნებოდა. სიტყვის
„ნაძვი“ თავდაპირველი ფორმა ნვწვ უნდა
ყოფილიყო, რაც „წყალი წოვა“-ს ნიშნავს
ნვწვ ნაწვი ნაძვი ნაძვი. ძ-ც-წ ჰარმო-
ნიული ბგერებია და წ-ს შეცვლა ძ-თი
ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენაა. ასევე
ჩვეულებრივი მოვლენაა უ-ს დავიწროება
გ-თი.

თქვენ ბრძანებთ: სიტყვაში „მინარე“ ნ
ბგერა „მინარის“ ნ-ა და არა წყლისა-“ო.
შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ, ჩვენი აზრით,
სიტყვაში „მინარე-დი“ „მინარე წყალი, მინარე“
უნდა იყოს ნათქვამი, რასაც დამდგარ წყ-
ალზე ვერ ვიტყვით. ე.ი. სიტყვაში „მინარე-
დი“ „წყალი“ ფიგურირებს. სხვა თხევადი
ნივთიერებების დასახასიათებლადაც სი-
ტყვა „დენალობა“ წყლის თვისებასთან
მიმსგავსებით უნდა იყოს გამოყენებული
და არა პირიქით. მაგრამ ეს ნამდვილად
არ ნიშნავს, ნვ ბგერა ყველა სიტყვაში წყ-
ალს ნიშნავდეს. ბგერა-სიტყვა ნვ, ცნობი-
ლია, „ვრო“-საც ნიშნავს.

რა თქმა უნდა, აქ წარმოდგენილი მე-
თოდით ძირისეული ფორმების ეტიმო-
ლოგიის კვლევა დოგმა არ არის, ეს ჩემი
აზრია და თავს არავის ვახვევ, მაგრამ
მტკიცედ მჯერა ამ მეთოდის ჭეშმარიტე-
ბისა და სანამ ძირისეული ფორმების
კონკრეტული მაგალითების კვლევის უფრო
სრულყოფილი მეთოდი შემუშავებული არ
არის, ერთი ხელის მოსმით მისი უარყოფა,
არ ვიცი რამდენად მართებულია.

ვიმორებ, მიუხედავად იმისა, ჩემი შეხე-
დულებების მტკიცედ მჯერა, გამორიცხული
არ არის ვცდებოდე, მაგრამ აბსოლუტურად
სწორი, რომ აღმოჩნდეს ეტიმოლოგიური
კვლევის ჩემუელი მეთოდი, ვფიქრობ, თქვენს
ტიტანურ შრომებთან არავითარ წინააღმ-
დეგობაში არ მოდის, პირიქით, პირველყო-
ფილი მეტყველების შესახებ თქვენს მიერ
დადგენილი ზოგადი დებულების კონკრე-
ტული მაგალითებით დადასტურებად მი-
მანია.

ბატონო მამანტი, ფაქტია, რომ თქვენ
დიდი მეცნიერი ბრძანდებით, მე კიდევ პა-
ტარა, მოყვარული მკვლევარი. თქვენ მკლა-
ვიც რომ მომჭრათ, ჩემთვის ღმერთკაცად
დარჩებით და, თუ დროს გამოჩნახავთ, ნუ
მოერიდებთ ჩემს კრიტიკას. ეს ჩემთვისაც
კარგია და საზოგადოებისთვისაც.

გულწრფელი პატივისცემითა და სიყვარ-
ულით,

კუპური ფიფია

რა არის “კახანტიპის” ფესტივალი, რომელიც ყირიმის ნაცვლად საქართველოში ჩატარდება

“კახანტიპი” ელექტრონული მუსიკის ფესტივალია, რომელიც ამ დრომდე ყოველწლიურად ყირიმში იმართებოდა. ამიერიდან ის ყირიმის ნაცვლად, საქართველოში, ანაკლიაში ჩატარდება. ამის შესახებ ტურისტების ეროვნული ადმინისტრაციის უფროსმა, გიორგი სიგუამ განაცხადა. მისი თქმით, ტურისტების ეროვნული ადმინისტრაციის გათვალა, რომ უკრაინელი ტურისტების რაოდენობა 100%-ით გაიზარდოს.

სავარაუდოდ, ერთ კვირაში გაფორმდება ხელშეკრულება სარეკლამო კომპანიასთან, რომელიც გრანდიოზულ კამპანიას გააკეთებს უკრაინაში. შეთანხმება არის ასევე მიღებული უკრაინის საერთაშორისო ავიაციაზე, ახალი რეისების დანიშვნაზე ბათუმის აეროპორტში, კიევის, ხარკოვისა და ლვოვის მიმართულებით, სულ საუბარია II რეისზე კვირაში. ამასთან, საქართველოში გაიმართება “კრიმფესტივალი” და “კახანტიპის” ანალოგი ფესტივალი, რომლებიც აქამომდე ყირიმში ტარდებოდა.

კულუარებში კი სერიოზულად ამბობენ იმის თაობაზე, რომ “კახანტიპი” არის ახალგაზრდებისათვის სპეციალურად შექმნილი ზონა (რადაც გვიანდელის მსგავსი, ოღონდ პეტროსეპსუალებისათვის...), სადაც დაშვებულია ნარკოტიკების მოხმარება და პროსტიტუცია და სამართალდამცავებს არა აქვთ იურიდიული უფლება, რომ ამ ზონაში შეაღწიონ და აღკვეთონ სამართალდარღვევის ფაქტები. ყოველივე აღნიშნული კი ევროპული კულტურის გვერდის ის ნაწილი გახლავთ, რომელიც გულისხმობს თანამედროვე ახალგაზრდობის ვარყვანს და ტრადიციის მიმდევარი ოჯახების გავლენისგან მათ “გამოგლეჯას”. განა სწორედ ამ პროგრამით არ მოქმედებს დღესაც ავადსახსენებელი “თავისუფლების ინსტიტუტი” და მის ბაზაზე აღმოცენებული “ნაციონალური მოძრაობა” (უფრო სწორად – ამ მოძრაობის ნარჩენები: გახ. “ილორი”), რომელთაც ლომის წილი ეკუთვნით თანამედროვე ქართველი ახალგაზრდობის გადავარების საქმეში?!



მოკლედ, მიხეილ სააკაშვილისა და მისი დანაშაულებრივი “ნაციონალური მოძრაობის-აგან” კი დროულად დავიხსენით თავი, მაგრამ მათ მიერ კულტივირებული სიმახინჯეების საბოლოოდ აღ-მოსაფხვრელად ჯიღვე დიდი ძალისხმევა და ბრძოლა დაგვჭირდება!

საპ. ივზ.

“სომხეთის ეს ნაბიჯი ჩემთვის საზსეპით მოსალოდნელი იყო” – რატომ გვიბანა სომხეთმა ბაქოში

ინტენსივობის დასაწყისში ბაქოში კენჭი ეყარა რეზოლუციას “აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ”. რეზოლუციას მხარი შეიძმა ქვეყანამ არ დაუჭირა, მათ შორის სომხეთიც. ამ თემაზე კომენტარი ვთხოვეთ არასამთავრობო ორგანიზაცია – სამოქალაქო მოძრაობა “მრავალეროვანი საქართველო“-ს ხელმძღვანელს არნოლდ სტუმანიანს:

– ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც სომხეთმა მსგავსი პოზიცია დაიკავა. ჩემთვის სამწუხარო იყო ეს ფაქტი, რადგან მე, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მოქალაქე ვარ. ძალიან ხშირად სომხეთის პოლიტიკა ისეთ საერთაშორისო ტრიბუნაზე, როგორიცაა მაგ. ბამარო, ხელს უწყობს რუსეთის ინტერესების გატარებას. სომხეთის მხრიდან ეს სიურპრიზი არაა, მათი მხრიდან სიურპრიზი იქნებოდა სხვა გადაწყვეტილება რომ მიეღოთ.

– როდესაც ეთნიკური სომხების უფლებები ირღვევა, საქართველოში მცხოვრები სომხები ამას აპროტესტებენ, რატომ არ გამოხატავენ იგივე ადამიანები პროტესტს სომხეთის ამ გადაწყვეტილებაზე?

– ეს უფრო იმათ უნდა ჰკითხოთ ვინც საპროტესტო აქციებზე დადის. თუ ეს კითხვა ირიბად მეც მეხება, ვეტყვით რომ ყოველთვის ვაფიქსირებ ჩემ პოზიციას – ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ უფრო მეტად დავახლოვოთ ეს ორი ქვეყანა ერთმანეთს და ერთად ვიფიქროთ ერთიან ევროპულ მომავალზე. დარწმუნებული ვარ სომხურ მოსახლეობაში ძნელად მოიძებნება ადამიანი რომელსაც სომხეთის გუშინდელი გადაწყვეტილება მოეწონებოდა.

– თუ ეს ყველაფერი ასე ელემენტარულია, რატომ არ ფიქრობენ სომხები, რომ ამ გადაწყვეტილებამ შესაძლოა შეუშალოს ხელი ჩვენს სამომავლო ურთიერთობას?

– მათ, რა თქმა უნდა, იციან, რომ ეს ნაბიჯი ურთიერთობის გაღმავლებას არ უწყობს ხელს, თუმცა ამ შემთხვევაში სომხეთისათვის უაღტერნატიყო იყო ეს გადაწყვეტილება, რადგან ქვეყანას აქვს ყარაბაღის პრობლემა, სადაც ძალიან მწვავედ

დგას აზერბაიჯანელი ლტოლვილების დაბრუნება და თუ ამ რეზოლუციას დაუჭერს მხარს, გამოვა, რომ სომხეთი ირიბად უჭერს მხარს აზერბაიჯანელი ლტოლვილების დაბრუნებასაც. კიდევ ერთხელ გავიმორებ, რომ მე ძალიან დამწყდა გული გუშინდელ გადაწყვეტილებაზე. ამას ვამბობ, როგორც საქართველოს მოქალაქე, რომელსაც უნდა, რომ ჩვენი დევნილი მოსახლეობა დაბრუნდეს აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში. სომხეთის ეს ნაბიჯი ჩემთვის სავსებით მოსალოდნელი იყო, რადგან სომხეთი საერთაშორისო არენაზე ხშირად ყარაბაღის მძევალია და ამავე დროს ითვალისწინებს რუსეთის ინტერესებსაც, რადგან სწორედ რუსეთი არის მისი უსაფრთხოების გარანტი.

ლადო გობოლაძე

გაზეთ “ილორი“-ს კომენტარი: ძნელია დაუჯერო არნოლდ სტუმანიანს იმაში, რომ სომხები გმობენ სომხეთის მთავრობის გადაწყვეტილებას, მხარი არ დაეჭირა ბამაროს დადგენილებისათვის. გარდა ყარაბაღის პრობლემისა, არის კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც დიდად აღეგულებს სომხებს: დღეს ქართველების ნამოსახლარებზე აფხაზეთში რამენიმე ათეული ათასი სომეხია ჩასული და დამკვიდრებული და თუ ქართველები აფხაზეთში ღირსეულად დაბრუნდებიან, ეს თავისთავად ნიშნავს, რომ სომხები იქნადა უნდა აიყარონ!

სწორედ ამგვარი ყალბი გულშემატკივრობით “გვიტყვენ მხარს” სომხები ბაქოში თუ სხვა სამშვიდობო სტრუქტურებში, სინამდვილეში კი წამს არ კარგავენ იმისათვის, რომ შექმნილი სიტუაცია თავისდა სასარგებლოდ და ჩვენდა საზიანოდ გამოიყენონ.

სამწუხაროა, რომ ქართველებმა ჭკუა მანინ ვერ ვისწავლეთ და გულწრფელად ვიჯერებთ ჩვენ საწინააღმდეგოდ ქსელების ხლართვის დიდოსტატი სომეხი დაშნაკების ნებისმიერ ნაბოღვარს.

საკითხავია, როდემდე?

ჩვენი კომენტარი ბატონ ბურამ კორკელიას წერილზე „ცოტა რამ კოლხეთსა და კოლხურ დამწერლობას“

მორიგ წიგნში გამოვაცხადეთ, რომ მეგრულ ენაში, სავარაუდოდ, 10 მილიონამდე სიტყვა დაითვლებოდა, თუმცა მაშინ ხელთ გვკონდა 16,3 მილიონი სიტყვის მომცველი სალექსიკონო მასალა. მორიგ ნაშრომში, შეიდგომეულში, კერძოდ, მის დახლოებით 4 ტომში, მეგრული ზმნურ ფუძეთა ერთგვარი (ჩვენშიერი) ლექსიკონის სახით განვითავეთ ზმნური ფონდი, რომელიც მოიცავდა 294 მილიონამდე სიტყვას, მაგრამ განვაცხადეთ, რომ წგნში დაფიქსირებული იყო (იკითხებოდა) 103 მილიონამდე სიტყვა, პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ. აქედან კი, სავარაუდოდ, თანამედროვე მეგრულში ხმარებადი გამოვაცხადეთ 20 მილიონამდე სიტყვა. ამასთან, იქვე შევნიშნეთ, რომ ეს მონაცემები არ ამოწურავდა მეგრულის ლექსიკას.

საბედნიეროდ, ჭეშმარიტმა ენათმეცნიერებმა ნათლად დაინახეს, რომ ჩვენი მონაცემები სინამდვილეს გამოსატყვევდა და აღიარეს კიდევ. ასე გადავრჩით მეხოტბახას.

საბოლოოდ, მორიგ ნაშრომში, ოცტომეულში – „მეგრული ენა – ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი მატრიცა“, როგორც ზემოთ აღნიშნა, მოვეხმარე მეგრული ენის მთელ ლექსიკას, რაც მასში განვითავებულ წარმოვადგინეთ ზმნური ფონდი (ზმნები და სახელზმნები) ზმნურ ფუძეთა ლექსიკონის სახით. ის განთავსდა II-XVIII ტომებში და მასში დაფიქსირებულია (იკითხება) ერთნახევარ მილიარდამდე სიტყვა პარალელური იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ. მის ყოველ ერთ გვერდზე საშუალოდ იკითხება 160000-ზე მეტი სიტყვა. ოცტომეულის მეორე ნაწილში (XIX ტ.) მოცემულია მეგრულის სახელებისა და სხვა მეტყველების ნაწილების ლექსიკა, სულ 26000-მდე სიტყვა. ოცტომეულშივე გამოცხადებულია, რომ მეგრულის აღნიშნული ლექსიკიდან (1,5 მილიონი სიტყვა) თანამედროვე მეგრულში მეტნაკლები სიხშირით ხმარებადი, ან შეიძლება ხმარებულ იქნას 500 მილიონი (თუ არა მეტი) სიტყვა.

ყველაფრის გათვალისწინებით, ოცტომეულის ზემოაღნიშნული მონაცემები მეგრული ენის ლექსიკის სიმდიდრის შესახებ, პრესაში მხოლოდ მას შემდეგ გამოვაცხადეთ, რაც ჩვენს კომპიუტერულ ლექსიკონში შევიტანეთ მეგრული ენის კომპიუტერული ლექსიკონის მრავალათასტომეულის პირველი 1000 ტომი და ელემენტარული ეჭვის შეტანაც კი არ შეიძლება.

ძლებოდა მეგრული ენის ლექსიკის აღნიშნულ კოლოსალურ სიმდიდრეში. ზემოთ ვთქვით და ვაიმეორებთ: ჭეშმარიტი და კეთილსინდისიერი მეცნიერებისა და სხვებისაგან შეფასება და დაფასება არ დაგვეკლებია. ზოგიერთებისგან ნაშრომების გამოცემაში დახმარებაც მივიღეთ. მაგალითად: აკადემიკოსმა და მეცნიერმა ვლადიმერ ვახანიამ 2007 წელს გამოსცა ჩვენი შეიდგომეული „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმოშობა“.

შეადარებისათვის: ამას წინათ ოთხმა ახალგაზრდამ 20 შეკერა საბეჭდი ქაღალდი შეგვაწია (უარი არ გავვიფიქრებ) პერსონალური კომპიუტერიდან ჩვენი ოცტომეულის „მეგრული ენა – ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი მატრიცა“ ამოსაბეჭდად. ეს, წვრილმანი როდია, გნებავთ, მორალური თანადგომის თვალსაზრისით, მაშინ, როდესაც სახელმწიფოსაგან არანაირი ხელშეწყობა არ მივიღეთ. ამიტომაც, ამ უკანასკნელად, ჯერ კანადიდან, შემდეგ ლიტვიიდან მოსული სპეციალისტების დანიშნულებითა-შეკითხვაზე, ალბათ სახელმწიფო ჯეროვნად გეხმარებათო, ტყუილს აბა როგორ ვიტყვითო, და, ჩვენი უარყოფითი პასუხით ისინი დიდად გაკვირვებულნი დარჩნენ (ეს სხვათა შორის).

ასეა თუ ისე, კეთილი ნების ადამიანებს ქვეყნად აბა რა გამოვლევს და ჩვენც არ ვკარგავთ იმედს, რომ მომავალში გვექნება შესაძლებლობა საყოველთაო კუთვნილებად გავხადოთ ჩვენი ნაშრომები, რისთვისაც საჭიროა მათი უცხო ენებზე თარგმანა და გამოცემა.

ასე, რომ, არც მხოლოდ აქამდე მიღწეული არ დამთავრებულა ყველაფერი. მიღწეულთაგან კი, გარდა ზემოაღნიშნულისა, დიდმნიშვნელოვნად მიგვანია შემდეგი ფაქტი: ამერიიდან დადგენილ იქნა, რომ სრულად უსაფუძვლოა ცალკეული მეგრულთმომკლვე ცრუპატრიოტი, კვაზინათმეცნიერების შეგნებული, მიზანმიმართული მტკიცება რომ თითქოსდა მეგრული, ლაზური და სვანური წარმოადგენდნენ დილაექტებს ანუ კილოს და არა ენებს. აი, ჩვენშიერი მტკიცებულებაც ობიექტური რეალობის შესახებ.

მეგრული, ლაზური და სვანური რომ ენები არ იყვნენ და ქართულის ისეთივე დილაექტები ანუ კილოები იყვნენ, როგორცაა კახური, იმერული, გურული და სხვა:

1) შეუძლებელი იქნებოდა მეგრულ-ქართული, სვანურ-ქართული, ლაზურ-ქართული, სვანურ-მეგრული და მისთანა

ლექსიკონების შედგენა, ისევე როგორც შეუძლებელია ქართულ-ქართული, ქართულ-კახური, კახურ-გურული, იმერულ-კახური და მისთანა ლექსიკონების შედგენა;

2) შეუძლებელი იქნებოდა მეგრულის, ლაზურისა და სვანურის ქართულად და ურთიერთ თარგმანა, ისევე როგორც შეუძლებელია ქართულის, კახურის, გურულის და სხვათა ქართულად და ურთიერთ თარგმანა;

3) შეუძლებელი იქნებოდა დაგვეწერა ლექსები და გვემდგრა მეგრულად, ლაზურად და სვანურად, ისევე როგორც შეუძლებელია დაწერა ლექსებისა და მღერა კახურად, გურულად, ქართულად, ფშაურად და ა. შ.

4) ქართული ენის შესწავლა არ დასჭირდებოდა მეგრულს, ლაზსა და სვანს, ისევე როგორც არ სჭირდება იგი ქართულს, კახელს, გურულს, სხვას;

5) არასოდეს, არსად არავის უთქვამს, გაუგონია და წაუკითხავს სიტყვები: კახური ენა, იმერული ენა, გურული ენა და მისთანანი, მაშინ როდესაც საუკუნეების განმავლობაში არსებობენ სახელწოდებანი: მეგრული ენა, ლაზური (ჭანური) ენა, სვანური ენა;

6) შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ ენების ძალზე დიდ ნაწილში, საუკუნეების მანძილზე უმთავრეს სამეტყველო ორგანოს – ენას და მეტყველების საშუალებას – ენას, ერთი და იგივე სახელები ჰქვია. მაგ.: ქართული ენა, ენა; მარგალური ნინა, ნინა; ლაზური ნენა, ნენა. საკითხავია, რას დარქმევდნენ, მათ, – კახურად, გურულად, ფშაურად და ასე შემდეგ, ისინი, ვინც მეგრულს, ლაზურსა და სვანურს ამათთან ათანაბრებენ?

7) სხვა რომ არა იყოს რა, განა შეიძლება ასეულობით მილიონი სიტყვის მქონე მეგრული ენა იყოს დილაექტი რომელიმე ათობით (გნებავთ ასობით) ათასი სიტყვის მქონე ენისა?

განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან მიღწევად მიგვანია შემდეგი ფაქტი:

მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანია ჩვენს მიერ სახელებით დამტკიცებულია, რომ მეგრული მეტყველება წარმოადგენს ენას, და არა დილაექტს ანუ კილოს, ამ ფაქტს არავითარი უარყოფითი შედეგი არ მოჰყოლია. იგი არ გამხდარა მეგრული სეპარატიზმის რაიმე ელემენტარული ნიშნის გამოვლინების მიზეზი, რის შესახებაც ზოგიერთები შეგნებულად გამოხატავდნენ შიშს. მით უმეტეს, არ გამართლდა და არც შეიძლება გამართლდებულყოფი, ასევე ზოგიერთების მიერ შეგნებულად და სახელებით უსაფუძვლოდ ჩამოგდებული

შიში იმის შესახებ, რომ თითქოსდა მეგრული მეტყველების ენად გამოცხადების შემდეგ ერთი ნაბიჯი იქნებოდა დარჩენილი საქართველოს დასაშლელად.

მოკლედ რომ ვთქვათ, ცალკეული ფსევდოპატრიოტი კვაზი-მეცნიერების მიერ სპეციალურად შემოგდებული ზემოაღნიშნული და ანალოგიური მოსაზრებანი არაფრით არ დადასტურდა; მეგრულთმომკლევებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ახლა უკვე, თითქმის არავის (გარდა ერთი-ორი არც თუ ისე ჯანსაღი გონების ადამიანებისა) სჯერა ბოროტგანზრახული ზღაპრებისა და მრავალნი სირცხვილის ზღაპრებისა კი განიცდიან იმის გამო, რომ მავანთა მოსაზრებებს აქამდე მეტ-ნაკლებად იზიარებდნენ.

ამჯერად, საჭიროა დავაკონკრეტოთ, ჩვენს დროში თუ ვინ ეწეოდნენ და ეწევიან დღემდე (თუმცა ისინი უკვე ბოლომდე მხილებულნი და ხერხემალში გადამტვრეულნიც არიან) ბრძოლას მეგრული ენის წინააღმდეგ, ასევე, ამ ენის მეცნიერულად შესწავლელთა წინააღმდეგ. ესენია აშკარად მეგრულთმომკლვე ადამიანები ენათმეცნიერ ტარიელ ფუტყარაძისა და მისი მასავით ბოროტგანზრახველი ამფსონების სახით, რომელთაც თავიანთი „მოღვაწეობის“ მიზნად გაუხდიათ ბრძოლა ქართველური ენების დისკრედიტაციისა და ამ ენების მატარებელი ხალხების დისკრიმინაციისათვის, მათი მიწის პირისაგან აღვეისათვის, პატრიოტის ცრუ მანტიის მოსხმის მიზნით. სამისოდ ისინი ყველაფერს კადრულობენ: ცილისწამებას, დაშინებას, შანტაჟს, არაფრად აგდებენ მეცნიერულ და ადამიანურ სინდისს; უსაზღვროა მათი თავხედობა, თავიანთი მიზნების მისაღწევად.

მაგრამ, მაღლობა ღმერთს, ისინი უკვე ყოველნაირად გამოშვლებულნი და ყოველი ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანის მიერ ჯეროვნად შეფასებულნიც არიან. სხვა საკითხია, რომ ისტობარს ბოლომდე მაინც არ იტყვენ, თუმცა ამით ვერაფერს აღწევენ, გარდა იმისა, რომ საკუთარ სახეს კიდევ უფრო სრულად წარმოაჩენენ. ესაა მათი სტიქია.

გაზეთ „ილორის“ რედაქციისა და მკითხველებისადმი დრმა პატივისცემით.

მამანტი ძაბაძია,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია,
„აია“-ს პრეზიდენტი, კოლხური კულტურული მემკვიდრეების შესწავლისა და დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, 8 მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ხუთი უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი

შსს-ს საბანკო ბანცხადება: პაატა ქარდავას მკვლელობის დეტალები ბასაჯაროვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავდაცვის სამინისტროს დახვედრის ოფიცის პაატა ქარდავას გაუჩინარებისა და მკვლელობის საქმე გახსნილად გამოაცხადა. აღნიშნულის შესახებ დღეს შსს-ში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე გახდა ცნობილი.

პაატა ქარდავა საქმე უკავშირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის მთავარი სამმართველოს მაშინდელ უფროსს რომან შამათავას, რომელიც ე.წ. ხურჩის ტერაქტის საქმეზე უკვე დაკავებულია.

შსს-ს განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

“შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს და საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამშრომლების მიერ ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დადგინდა:

2008 წლის აგვისტოს ბოლოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის მთავარი სამმართველოს უფროსმა რომან შამათავამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს დააავალა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დახვედრის დეპარტამენტის ოფიცის, პაატა ქარდავას თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა და ქაბათში ჩაყვანა.

მიღებული დავალების შესაბამისად, 2008 წლის 27 აგვისტოს, ქ. ზუგდიდში არსე-

ბული ფოსტის შენობის მიმდებარედ, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს პაატა ქარდავას, რომელიც გადაადგილდებოდა პირად სატრანსპორტო საშუალებაში არსებული “მერსედის” მარკის ავტომანქანით და წაიყვანეს ქ. ფოთის მიმართულებით.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშის მიმდებარედ, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა ხელბორკილდადებული და თვალბრახველი პაატა ქარდავა გადასვეს „ნივოს“ მარკის ავტომანქანაში, რომლითაც გადაიყვანეს ოზურგეთის რაიონის სოფელ შეგვეთილში, სადაც გადასცეს რომან შამათავას და მის თანამზრახველებს, ხოლო პაატა ქარდავას სარკებლობაში არსებული ავტომანქანა, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, შს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა კვადის არევის მიზნით დატოვეს ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში.

რომან შამათავამ და მისმა თანამზრახველებმა პაატა ქარდავა გადაიყვანეს ბათუმში და მიიყვანეს შავი ზღვის ნავისადგომთან, სადაც რომან შამათავა პაატა ქარდავას აფხაზ სეპარატისტებთან თანამშრომლობაში ადანაშაულებდა, რის შემდეგაც მან ფიზიკური შეურაცხყოფა მიყენა პაატა ქარდავას, რომელიც თავის მხრივ კატეგორიულად უარყოფდა აღნიშნულს.

რომან შამათავას დავალებით, მას და მისი ჯგუფის წევრებს ნავისადგომთან ელოდებოდა აჭარის ავტონომიური რე-

სპუბლიკის კოშკის მთავარი სამმართველოს მოტორიანი ნავი, რომელსაც მართავდა ამავე დანაყოფის თანამშრომელი. ბორჯილდადებული და თვალბრახველი პაატა ქარდავა ჩასვეს აღნიშნულ ნავში, რომან შამათავამ მას ფეხზე მოაბა ბეტონის ნატეხი და შევიდნენ შავი ზღვის სიდრემში, დაახლოებით 10 კილომეტრის მანძილზე, რა დროსაც რომან შამათავამ ცეცხლსასროლი იარაღიდან თავის არეში ერთი გასროლით მოკლა პაატა ქარდავა და ცხედარი ზღვაში გადააგდო.

ჩადენილი დანაშაულისთვის რომან შამათავა მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა და განზრახ მკვლელობის ბრალდებით.

საქმეზე გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს საგამოძიებო მთავარი სამმართველო”, – აღნიშნულია შს სამინისტროს განცხადებაში.

საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის ა ქვეპუნქტით და 109 მუხლის მე-2 ნაწილის ბ ქვეპუნქტით.

ამასთან, რომან შამათავა უკვე დაკავებულია ე.წ. ხურჩის ტერაქტის საქმესთან დაკავშირებით. შსს-ს ინფორმაციით, 2008 წლის 21 მაისს საპარლამენტო არჩევნების დღეს, ხურჩაში ორი სამეზობლო ავტობუსის აფეთქება რომან შამათავას ორგანიზებით მოხდა. მასალების მიხედვით, აფეთქების ის სატრანსპორტო საშუალებები, რომელსაც სოფელ ნაბაკეის მოსახლეობა არჩევნებში მონაწილეობისთვის ზუგდიდში უნდა

გადაეყვანა. აფეთქებამ მოსახლეობაში გამოიწვია პანიკა და დაიჭრა ერთ-ერთი ადგილობრივი. სწორედ აღნიშნულთან დაკავშირებით, რომან შამათავას და მალხაზ მურდულიას ბრალი წარედგინათ სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს 15-დან 20 წლამდე ან სამუდამოდ თავისუფლების აღკვეთას.

აღნიშნულ ფაქტს გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელმაც რომან შამათავასთვის ბრალის დამძიმების საკითხის კომენტარებისას განაცხადა:

“ეს ძალიან სამწუხაროა, ამ საქმის გამოძიება ჯერ კიდევ ჩემი შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს დაიწყო. საუბედუროდ, ასეთი საქმე ბევრია, რომლებსაც ჩვენ გავხსნივთ და ბოლომდე მივიყვანთ. აღმაშფოთებელია, რომ ამ საქმეში ფიგურირებს სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორი და ამჟამად გამგებლობის კანდიდატი ბატონი გუნაგა. ძალიან მძიმე მოსახსენია, რომ საკუთარ მოქალაქეებს კლავდნენ. მინდა დაგვირდეთ მოსახლეობას, რომ ყველა დანაშაულზე სამართლიანად დაისჯება”.

ამ რამდენიმე დღის წინ თბილისის საქალაქო სასამართლომ დაამტკიცა რომან შამათავას ბრალეულობა აღნიშნულ დანაშაულში და წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა მას.

ნაადრევედ შეწყვეტილი სიცოცხლე და უღონო თითები შექმნილი შედეგები



პურნალისტებს ისეთი პროფესია გვაქვს, რომ თითქმის არაფერი გვაოცებს, რადგან ჩვენი ცხოვრების წესიდან გამომდინარე...

მაგრამ არაფერმა უშველა. მატერიალურად არ გვიჭირდა და ვეპატორიაშიც გვყავდა წაყვანილი ექიმთან. სწორედ იმ ქალმა გვითხრა, - დააკვირდით, ასეთი დაავადების მქონე ბავშვები განსაკუთრებული ნიჭით არიან ხოლმე დაჯილდოებული. ჩავსვამდი სავარძელში, აქეთ-იქიდან ბალიშებს შემოვუწყობდი, რომ წონასწორობა შეენარჩუნებინა, ფანქარს გავეუთლიდი, ფურცელს მოხერხებულად და ვუდებდი, ფანქარს დავაჭერინებდი სუსტ თითებში და იწყებდა ხატვას...

გოგონა სამყაროს ეთიშებოდა ხატვის დროს. ნახატს ნახატზე ისე ქმნიდა, რომ საშლელს არ იყენებდა, რადგან მის სუსტ კლავებს ძალა არ ერჩოდა საიმისოდ, რომ გაეღებოდა ხაზი წაქეზება. მისწონდა მუსიკა "რომეო და ჯულიეტა" და ამ მელოდის ფონზე ხატავდა ოჯახის წევრებს, საყვარელ კატას, ბანოვან მანდილოსნებს, დემონებს... რა აზრს დებდა თითოეულ ნახატში, მხოლოდ თვითონ იცოდა, რადგან ამის შესახებ არავის ელაპარაკებოდა. თავის გულსინდელს მხოლოდ დღიურებს ანდობდა, რომელსაც ყველასგან მალულად წერდა. დედამ მისი ჩანაწერები მხოლოდ შეიღის გარდაცვალების შემდეგ, გოგონას ქვეშაუბნის ქვეშ აღმოაჩინა.

ოჯახს საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს და მზია გამუდმებით კითხულობდა. თავის აზრს კი დღიურებში გადმოსცემდა: "დღეს ვნახე, რომ ჩემს პატარა უბის წიგნაკში თითქმის ნახევარზე მეტი შემთხვევით ნეტავ, თუ მოვა დრო და ვინმე ჩემ გარდა წაიკითხავს? თუ შეძლებს, რასაკვირველია, ჩემი ჭიანი კბილებით დაღრცელებული ასოები გაჩვენებს. საინტერესოა, რას იფიქრებს? ვინც ამას წაიკითხავს, ან სულელად ჩამთვლის, ან - ჭკვიანად".

ვინაიდან წერა უჭირდა, სახვენ ნიშნებს არ სვამდა. ცდილობდა, ხელის ერთი მოსმით გადმოეცა აზრი, სიტყვებს ერთმანეთს აბამდა, მაგრამ მაინც წერდა...

მისი ჩანაწერებიდან ჩანს, რომ გოგონა მარტოსული იყო: "ყოველთვის მიჭირდა, ვყოფილიყავი ადამიანებთან გულწრფელი. მასხოვს უბრალო მსხლის ხე, რომელიც აივნის წინ იდგა. ეს ხე ჩემთვის ბევრს ნიშნავდა, მაგრამ საბრალო ხე მოჭრეს. ვერ მოვახერხე, რომ ეს ხე არ მოეჭრათ... რომ მეკითხებოდნენ, - რად გინდა ეს ხეო, ვერ ვეუბნებოდი, რადგან დარწმუნებული არ ვიყავი, - გამიგებდნენ კი? იქნებ გიუადაც ჩამთვლიდნენ".

"არც ერთი სულდემულისგან არ მისწავლია ამდენი რამ, რაც ჩემმა კატამ მასწავლა. მასზე ჭკვიანი არსება არ შემხვედრია. მისი გონიერება ფარული

იყო... მასზე უფრო არც ერთი ცოცხალი არსება არ მყვარებია. რა თქმა უნდა, ახლობლებისა და დემონის შემდეგ. სულ მალე ჩემი გონიერი კატა დაიკარგა. არ ვიცი, ცოცხალია თუ მკვდარი. არ ვიცი, რატომ წავიდა, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, - ძნელია წარმოიდგინო ისეთი დამოკიდებულება ცხოველსა და ადამიანს შორის, როგორც ჩვენ გვექონდა".

გარემოს მიმართ აგრესია იგრძნობა მზიას ნაწერებში. ეს არცაა გასაკვირი. შინ გამოკეტილი გოგონა თავის წილ ბედნიერებას ელოდა... ვერ იღებდა და ალბათ ეს ხდოდა აგრესიულს: "დღეს ჩემს წითელ ბლოკნოტს გადავავლე თვალი, სწრაფადაა ნაწერი, არც მძიმე, არც წერტილი არსადაა დასმული. აზრებიც მგონი მეტად აგრესიულია. იქნებ ეს იმის ბრალია, რომ მე ვარ მძიმე და აგრესიული? დაე, ეს სხეებმა განსაჯონ, მაგრამ ვატყობ, რომ ჩემს ტვინში ყველაფერი ვერაა კარგად".

მისი თვალთ დანახული ბედნიერება კი ასეთი იყო: "მე მგონი, ბედნიერება არის ის, რასაც ვწოდებ სახელად ჯანმრთელობა და რასაც ვერ აფასებენ ადამიანები მანამ, სანამ ხელიდან არ გამოეცლება".

ლილი მხამალაშვილი: - საოცარი ბუნების ბავშვი იყო, ჰქონდა დიდი მოთმინების უნარი. ძნელად გაიგებდი, რა უნდოდა, რა უხაროდა, რა სწყინდა. მას თავისი სამყარო ჰქონდა. არ უყვარდა საკუთარ თავზე ლაპარაკი, არასოდეს უთქვამს დანაწილებით, - სხვა ბავშვებზე რატომ არ დავდივარო. არც სხვას მისცემდა იმის უფლებას, რომ შეჭრებოდა. ეტლზე უარი თქვა, - ინვალიდი არ ვარო... გამუდმებით ფიქრობდა სიკვდილზე: "ბავშვობაში ძალიან მაინტერესებდა, ადამიანი რომ კვდება, სად მიდის და მისი სული? თუ ვინმეს ვკითხავდი, მეუბნებოდნენ - არ ვიცი. იმ სხვამ არც ის იცოდა, რატომ მარხავენ მკვდარს... არის მეორე სამყარო, სადაც მიდიან დახოცილი სულები. შიში სიკვდილის წინაშე უაზრობაა, რადგან მას თავიდან ვერც ერთი სულდემული ვერ აიცილენს. შევაზნინე, რომ როცა ვინმე კვდება, არავითარ სინანულს არ ვგრძობ".

ძალიან გახიცავდა, როდესაც შუათანა და, ლელა გარდაიცვალა. უფრო ჩაიკეცა. ისედაც სიტყვაძუნწი იყო და კარგა ხანს ხმას აღარავის სცემდა... ისე გავიდა წლები, რომ სახელი - "ლელა" ხმამაღლა არ უთქვამს.



დღეა ხშირად საყვედურობდა, - დემონებს რომ ხატავ, ეშმაკები გვაკლიაო? - წინასწარ არ ვფიქრობ, რა უნდა დაეხატო, ფანქარს რომ ვიჭერ ხელში, მერე თავისით მოდის აზრებით...

უზომოდ პატრიოტი იყო... - ფეხები რომ მქონდეს, აფხაზეთის დასაცავად წავიდოდი, - ამბობდა, როცა იქ ომი მიმდინარეობდა.

ლილი მხამალაშვილი: - ერთხელ ერთი უსახური და მზიას ხმა შემომესმა, მეძახდა განწირული ხმით. გულგახეთქილი შემოვვარდი ოთახში, მეგონა, საწოლიდან გადმოვარდა ან რაღაც უჭირ და... - რა დაგემართა-მეთქი? - აფხაზეთი დაეკარგეთო, - ტიროდა. ტელევიზორს უყურებდა გამუდმებით და ყველანაირ ინფორმაციას იგებდა. - დაეკარგეთ და დაეკარგეთ, რა გული გამიხეთქეთქი? - ვუსაყვედურე. გამეუბნა. საღამოს მამას გაუხიარა ტკივილი ამ ამბის გამო, მამამ თანაუგრძნო, დაამშვიდა და მისი გული მოეკი კიდევ. მე კი 2 კვირა ხმას არ მცემდა ჩემი დაუფიქრებელი სიტყვების გამო. საქართველოს რუკა დახატა ვარდებით და გვერდით ვაშლები მიუხატა - სამოთხის ვაშლებიაო...

ოჯახის ყველა წევრი დახატა, მამის გარდა. მამა განსაკუთრებულად უყვარდა და ვერ შეგედა დახატვა თურმე... სურათის გადაღება არ უყვარდა. ერთხელ მისცა ახლობელს გადაღების უფლება და არ მოეწონა. დედას სარკე მოატანინა და საკუთარი პორტრეტი შექმნა.

გოგონას გარდაცვალების შემდეგ, კეთილი ადამიანების დახმარებითა და თანადგომით მისი ნახატების გამოფენა რამდენჯერმე მოეწყო. უამრავი დამთვალიერებელი ჰყავდა. მათ შორის თამაზ კვაჭანტირაძეც ყოფილა, რომელსაც შთაბეჭდილების წიგნში ჩანაწერიც დაუტოვებია...

მზია 21 წლის გარდაიცვალა... მშვიდად წავიდა სამარადისო სამყოფელში... სიკვდილის წინ მამა მოითხოვა, მაგრამ მან შეიღის ცოცხალს ვერ მოუსწრო...

"დასრულდა ჩემი ბლოკნოტი, ეს უკვე ბოლო ფურცელია... დასასრული, რაც უნდა იყოს, სევდის მომგვრელია. როცა წერას ამთავრებენ, წერტილს სვამენ, ხოლო როცა სიცოცხლეს ამთავრებს ადამიანი, - საფლავს უკეთებენ და ქვას უდგამენ. რატომ ხდება ასე? ადამიანს ისედაც ბევრი ქვა ხვდება გულში ცხოვრებაში. ჩემი ნება რომ იყოს, საფლავებზე ქვას არ დავდგამდი, გარდაცვლილის საყვარელ ხეს დავტყავდი ან მის საყვარელ ყვავილებს. მე ვისურვებდი, ჩემს საფლავზე იასამნის ხე ყოფილიყო, კიდევ ვისურვებდი, საფლავი სადმე, მდგომარე ყოფილიყო, სადაც ადამიანის ჭაჭანება არ იქნებოდა და ირგვლივ მხოლოდ ტყე და ბუნება იქნებოდა. თან, - არავითარი სასაფლაო. რა თქმა უნდა, ჟრუანტელის მომგვრელია, რომ 20 წლის ადამიანი თავის საფლავზე ფიქრობს, მაგრამ მე მგონია, როცა ისედაც კარგად იცი, რაც გეგლის, რატომ არ უნდა იყო მზად? ასე კი სჯობს... ნაკლებად იწვალებ".

მ. ჯაშარიძე პურნალი "მზა"

დავით ქითანავა კომედიკოსი ჩიქოვანზე

რახან გვანჯი ვერ ჩაიგდეს, კონიას ჩაავლეს ხელი, მოუჭირეს ბატონიშვილს, დღე ანახეს საშინელი. შინაურნი აიშალნენ: გვანჯისთან აქვთ სათხოვნელი - თუ მთავრობას ჩაბარდები, კონის ექნება საშველი.

თავი გაჰყო ხიფათში და კონიას კი დაეხმარა, "რაც მომივა, კიდევ მე და ჩემი თავის ანაბარა!.." ამ სიტყვებით ჩაბარდა და მტერი ასე გაახარა და ცხოვრების კარგი წლები ციმბირს იქით გაატარა.

ყველაფერი თავზე იდო, მტერს გონება აურია. არც ციმბირი აშინებდა, აღარც უცხო მანჯურია. არ დაზოგეს, გაასახლეს ბიჭი თვალნარბ-ხანტურია. გიდისათვის იტანჯოდა, ვისთან ჰქონდა სამდურია.

მაშინ კონია დაღონდა, ფერი ედო მეტად ბაცი, სურდა, რომ გადაერჩინა მისთვის განწირული კაცი, ხალხი ფეხზე დააყენა, ინყეს სჯა და ფუცი-ფაცი, მაგრამ გვანჯი ვერ დაიხსნეს, ბედისგან შორს განატაცი.

ირკუტსკ-ქალაქს გადახვეწეს, საქმე უქნეს არსაქნელი, სიძნელე არ აშინებდა, ჯანზე იყო მეტად მრთელი, მომშვილდულს და ბეჭვანიერს ლერწამივით ჰქონდა წელი, კაცი, ნახვით ვერ ძღებოდა, ქალი იყო „დასაბმელი“.

ქუჩაში რომ სეირნობდა, მზეთუნახავს ჰკიდა თვალი, გულმა უგრძნო, წინ რომ ედგა მისი ბედის მომავალი. სიყვარულმა აგრძნობინა მისი ჯადოსნური ძალი, ასე გახდა გვანჯის ცოლი ნადიუშა - რუსის ქალი.

შეიყვარეს ერთმანეთი, შეუღლდნენ და გაიხარეს, ვინც ნახავდა, აღარებდა ცის ბინადარ მზეს და მთვარეს, მართლაც, ისე ანათებდა, ვით მნათობნი არემარეს, ნათესავებს მოეწონათ და ავდარი გაიდარეს.

ერთმანეთს რომ უხდებოდნენ, მონძე მეც ვარ, დამიძახეთ! ამის დამწერს თუ იკითხავთ, არ მოვანერ ჯერ მე სახელს. ყველაფერი მსურს დავეწერო მასზე, რახან ვანვიზრახე, ისტორიას უნდა დარჩეს, სრულყოფილი მისი სახე.

მანჯურიის ომში გვანჯი გაიწვიეს, როგორც ყველა, მეთაურად აირჩიეს, თუმცა იყო პირტიტველა,

მათში ისევე მოსჩანდა, ბუჩქნარ ტყეში როგორც თელა, დიდკაცობას გვერდში ედგა, მათი საქმეც ასახელა.

გასახლების სასჯელი რომ ომში წასვლას ანაცვალეს, უფროსებმა დაუმადლეს, ეძახოდნენ „ვენაცვალეს“. ჩინ-მედლებით რომ დაბრუნდა, არ უჯერის ხალხი თვალებს, შინ ბრუნდება ბედნიერი, თუმცა ბევრჯერ გაანვალეს.

გვერდით უზის პრინცესას და გვანჯი უცხო ამბებს ყვება, ნაპოს დიად გამარჯვებას სიხარულით ეუბნება. მერე სუფრა გაიშალა და თამადა გვანჯი ხდება. საეჭვოა, სხვა თუ ვინმე სუფრას ასე მოუხდება.

სხვა თამადას მისებრ სუფრა ჯერ არ დაუმშვენებია, ძველი კოლხის სისხლი უდულს, აიეტის გენებია, რომ მოაჯდა სიტყვის მერანს, ჯერ არ შეუყვებია, ისე მიათოხარიკებს, ვით იორლა ცხენებია.

ტანად საროს შესადარი, მხარ-ბეჭი აქვს ვანიერი, პირისახე დიდებული, თვალბრიალა ვით მოზვერი, სიტყვას იტყვის - გაჯადოებს! ვინ თქვას მისი შესაფერი. ყველაფერი ემონება - უსულო და სულიერი.

(გაკრძელება შემდეგ ნომერში)

კალაპის თუ, ზვიადის ჭკუაზე?



გაზეთ "ილორის" მკითხველებს შევახსენოთ ზვიადის ლექსი დიდი ჰესების მანებლობაზე. ლექსში ხუდონქვისი ცაა ნახსენები და ამ თემაზე პატარა წერილს გიგზავნით ლექსიანად.

წლების წინ, ჩემი "მეგლის მეგობარი"-ს მცირე რჩეულის წინამთქმელობა, მამუკა ზ. ჯანაშიამ, პოეტური წიგნი "მთვარის ნიშნობა" გადაიშალა: "კრებულში ზვიადის წიგნი" გაქვს, წინათქმა კი მისივე მეორე ლექსით დამამთავრებინო".

და, აი ნაწევრები წინათქმისა, ლექსიანად. "იმ საუკუნეში ღვინო ურწმუნოება თუ აბოსელებდა, აყაზარმებდა, ათეატრებდა ძეგლებს, სტალინური სარწმუნოება ნეცხურცხულ (კულტურულ) მონაპოვრად აცხადებდა, ამუხეუმებდა, რიგი ძეგლების მონახულებას სავალდებულოდ ახდინებდა, უცხოეთში გაზიდულ განმს მცველიანად შინ აბრუნებდა, ხელნაწერთა შემსწავლელ კადრებს ზრდიდა და შრომებს გამოუცემდა, არქეატრებიც ფინანსდებოდა, აღმოსავლელი ნივთები კი პოეტურ ლექსებსაც გეჩქენიდა".

საუკუნე უახლესი

ამ ენგურჭვისით და ჟინვალჭვისით სურთ საქართველოს აუგონ წესი, ჩვენს ბრგე ციხეებს, ტანკენარ ტაძრებს ეს საუკუნე სპობს უახლესი. მალე გვექნება მინაძე-ჭესი.

დაშლის ვარძიას, ზარზმას და ხერთვისს, გმინვა-გოდება ჯავახის, მესხის აბობოქრებულ ტალღებს შეერთვის ამ ხუდონ-ჭვისით, ნამოხვანჭვისით სვანეთს და ლეჩხუმს სურთ დასცენ მეხი,

რომ სამუდამოდ ჩვენს მთიანეთში ამოუკვეთონ ქართველ კაცს ფეხი. ამ ენგურჭვისით და ჟინვალჭვისით სურთ საქართველოს აუგონ წესი. თან გვარწმუნებენ: იცავსო ძეგლებს ეს საუკუნე უდიადესი.

(ამ ლექსის ბოლო ორი სტრიქონის გამო "მეგლის მეგობარი"-ს შემდგენელი შენიშნავს: გალაკტიონს ლექსი "ქებათა ქება ნიკორწმინდას" "შემოკვეთით" შემატებული ბოლო სტროფის წყალობით დაუბეჭდეს და, ამაზე დასცდაო საყვედური ზვიადს. ლექსის შექმნამდე ნიკორწმინდა, ახლომდებარე სკოლის სეირანად (ნენმად) ყოფილა ქცეული, თავად პოეტს უნახავს, მცველისთვის უთქვამს: აქ, ან რა გაძღვინებს, ან რა გათმენინებს? მცველს მოუჭრია: დაწერე ლექსი და გვეშველე-ბო ლექსი გახმაურდა და შეურაცხმყოფელიც გაქრენო საყდრიდან.)

ზემორე გაცნობილი ლექსის შინაარსი, ხელნაწერად მაინც იქნებოდა იმ ჟამებში ცნობილი სამთავროთათვის: კოკო ზ. გამსახურდია, და სახელით სეხნიები: ბათი-აშვილი და წერეთელისთვის, რომლებიც იყვნენ ჩემთან, ოდიშში. მათ ეწადათ; დაგვეცივებინა ხუდონელები იმაზე, რაც იქ თქმულა მაშინ: "ცოცხლები აქედან არ ავიყრებთ, ჩაგვიძირებთ". ამგვარი დაფიცების ყაბულს დიხხაც ვიყავი, მაგრამ ზვიადის სიტყვას ვერ გადავაბიჯე: მამანქმის მღივნობაში და მერმეც, შენ არ უნდა აგვეყო. "სარწმუნებულოს" ხუმტურებს კი ერთად მოვუაროთო.

დღეს, ბურჯანაძის გვერდით დგომაში ხელს თუ არ შეუშლის, სამთავრეს სიტყვა წონიანი იქნებოდა დ მთიელთათვის საიმედო, დიდი ჰესების სხვა მრავალი გაგებით დამღუპველობაზე ბუნებაც გვაფრთხილებს დარიადის ხეობიდან. (ბურჯანაძისთვის ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსიც იქმარებდა, ძღვნად რომ მიუღია ქალიშვილობისას).

ხოლო, კახი კალაპის ოცნების: ხუდონელოთათვის ახალი სოფლის აშენების, ძველიდან მიცვლილთა გადასვენების და კომლთა ნაწილის ფულით მოსყიდვის მცდელობის ეთერში გაშვება, დიდი დანაშაული იყო.

მაშ, კალაპის თუ, ზვიად გამსახურდიას ჭკუაზე?

ნანინა – 2014. მესეფიში 29

გიგზავნი 29 მაისს, მეგრული ენის დღეს, ზუგდიდში წარმოთქმულ სიტყვას, მშობლიურ ენათა ერთგულები ბეჭდურადაც გვთხოვენ.

ამუდლა, მაურაშა აკობშაყარეს ჭარუევი, თანგუევი დო მენცარ-მაკინტორევი, მას-საწკუმა ართო, ნანინაში დლაქ, ამუდლა თანაფაში "ამაღლება" ხოლო რე დო, ქირსე დო მუში მეუფე მარგალურო მიგახვამანთ სუმხოლო დლახს.

– ქირსე გეთანე!
– მარდი მახარებულს!

"გეთანე ომურეთიშე, ღურუს გერებე დურათი: – ა, ქირსე, საფულეფიშე, შურდგმაში მონიჭებათი".

ათე „ქირსტე აღსდგა“ საგალობელი მარგალონაშა რე ჩუქებული ჩქიმდე დო გაზეთ „ილორი“-ში რედაქციაშე (ნომერი: 270).

ძაძამიეფიში "შქეთი ტომეულს, გიშუ-ლაშე შქეთი წანაქ მუკულ დო ჟიროშე მეტი რეცენზიაქ დაჭარ. არძოშე უჯგუში რეცენზია – შეფასებათ, რინოსი კვარაცხელიაქ ლადო ქირიაქ დო მა, მიბრჩქინით ზურაბ კვარაცხელიაში ართი "მოფირქება": ოზეიმებელო, მარგალური ნინაში დლაქ იშენ დო იშენ 29 მესის ოკო იტუკონი. დასურთ თაშირდ საჭირო დო მა თეშა თქვანი გოწონერი დო ამუდლარი "ტაშის" იმობწამუა. ამუდლა ხომ მამანტი ძაძამიაში დაბადება დლა რე: მილიარდი დო გვერდი მარგალური სიტყვა ოჯახწკმა ართო ეუკოროცხ დო, წიგნო თეში მიშულას 25 ანთასი ტომი ნოკობუენი. ათე ფენომენო დაბადებული, მარგალურიში მოხვარათ, ქვანეფიში ერეფს დაგურუნას, მუჭო ეურჩქინდეს ნინეფქ დო მუნერო დიჭყეს ჩიებანი.

ჟიროში ქიანას ჟირო ანთასი აკადემიკოსი ხომ ქაყვენუ დო, ნამთინს ქარჩქენუნო მუს ნიშნენს დო სოლე ედირთ თე სიტყვეფქუნი: "აკადემია" "აკადემიკოსი". ქორთუსი უჩქ, მარა ვეკატახე, ვეკარაგადე ჩქინი ცოროფა. თენა, ასო "ც"-ანი ვაუდუნი თიშ გამო რენო?" "აკადემი კოჩი". ათე

სუმი კოლხური სიტყვაში ენარჩქინა რე "აკადემია" დო „აკადემიკოსი“ დო, რუსული ნინაქ უდუმახინჯებუო გეგნიდ: "აკადემიკი".

მარგალეფი ოქროში ასოეფით ნოჭარუენა დო, თეში ჟირო ანთასი წანაში დუდი ქირსეში დაბადება დლას ცოფე, იმობწამუა "ფესტოში დისკოსს", გაი კვაშილაშე გათელეულს.

ხისხირით შხვა ეთნოსეფწკუმა ვაკიბ-წუორათი დო ვეგნიბჯიშუთ. ლადო ჭანიაში მოწოდებაშა (აგენტიკური თანადრევა უჯგუნია) გომფურტინაფ. შონქი – ონო, მარგალქ – მარგალო, ქორთუქი – ქორთუთ ოკო დოსქიდას. თენა რე ბუნებაში უმ-შუწიკვე ნება.

საპატრიარქოს "დედისერთა" სქუალეფი ვეძებნათ გაბერებელო, ვარა, ბერო, დუდ ცოთამილიში დიდა დო მუშაში ოჯახეფს კომლო ეშადინაფა მეღ. დვა გეგ-მეტყაბარეთ დიდალეფქი დო აშო დირთინეთ. უაზროთ ხომ ვაკითხულენდით "გეფხისტყაოსანს" დო "განდგვილს"? თავარი გვალო შხვა რე: პაპა, პაფლე რაზიკაშვილს ბერო მიდურთუმუდუკონი, ვაჟა-ფშაველა დო მუში ჯიმალეფი ქუმაგვენუდესო? თეშმა ოხვალახეფი (მონასტრები) მეჩეთეფიში უმოსი ზიანს მომდანა.

ნანინაში დლა რე დო ღერსი "ნანინა ონწობაშე" გეშებკითხე ჩქიმ წიგნიშენი, ხე მეძიოლ.

ნანინა ონწობაშე

გიშელი ცურუობაშე, ვა ურუ რჩქილას ცუჯეფი: ნანინა, – ონწობაშე, შხვა ნინა, – აშნაკუჭეფი. ამშე ვითიც ქიდიგურუე, გაკვირე მარც-ც ნიკონი, იშენით კირტე ცურუე, თინა უჯგე, მერჩამ ჯიშონი. ჯიშო დო, ართი ქორდეს-და დიეფი დო ბებიეფი, ზისხირშხვა ვემშეწორეს-და, მიცუნა ჩხონაფილეფი. ჯიშეფს უღ ნინა მუშ-მუში, მარგალურს მობსახელენტ ჩქი, ნამ თქუა შხვაშ რე უჯგუში, მარგალო ონწეთ ეშნარქევი? მარა დო, ამარ-ამარი ძუძინას იტყლიდუა, ნანინათ გილეჯეგამარი, შხვაშის ნუმი იტყლიდუა. შხვანინა ჯიბეს მუშმაცუნს, გელეთებ, იშო მირტებუ, ოლო რენ, ზისხირს გიშმარწუნს, სი გიტენს, დუს ემინჯებუ. შხვანინა ჩქინი უჯგუშო ჯიშო ნამს, დოგურაფუნე, ურგებუაფუნა მუშ-მუშო, ჩქინნ ვაგურაფლენს, ვაშუნი? რშუდანი გამსახურდია კოწია, მიჭარუნანი: სუმარეფქ გეგნმებრელეს-და, მენძელო გინმართუნანი. ნანინას გაღუაფუდა, შხვანინა ვაგეპატონა, კინ თის ურგებე, გიჩქუდა, მარგალონაშო ვამკონა. ონჯლორე მუშენ ვაჩქუ, მუდა რე აბა უკუნი, მონეწკმა გური ვაჩქიჩქუ, შურო დუს ვამწოუკუნი. გიშელი ცურუობაშე, ვაჯურუ რჩქილას ცუჯეფი: ნანინა ონწობაშე, შხვანინა აშნაკუჭეფი.

(წიგნიდან: "ნანინა". 2012 წ.)

დიდაშე მუჭოში ართგურალა ოკო ნინასუნი, ა, მირჩქილეთ:

„ერთხელ, თბილისში, ვერის უბანში გაზრდილ 12 წლის ბიჭს (დედაშ) გამომიცხადა: „ჩემი სირცხვილი იქნება, მამაშენი რომ დაბრუნდება და შეიტყობს – მეგრული არ იცი, ამიტომ, ყველა საზაფხულო არდადეგებს სამეგრელოში გაატარებო“. ასე ვისწავლე მეგრული. იმდენი მეგრული მაინც ვიცი, რომ სხვების საუბრის არსი გავიგო, რაც თბილისში დაბადებული და გაზრდილი ადამიანისათვის მთლად ურიგო საქმე არ უნდა იყოს! სწორედ ეს გახლავთ, ჩემი მხრიდან, მშობლების ელენოვრას და შადვას სსოვნისადმი ღრმა პატივისცემა.“ (რ)ლანდ ჯალაღანი. „იდეგ ერთხელ დედაზე“ „ილორი“. № 268).

ათეცალი დიდალეფქ ვეირდუ და, ღორონთქ აში ვაფუასი დო, ა, ჩქიმი ამდლარი გიშულაში დუმათებელი ღერსი:

ჩილ ხაზით გეძორთუასი?

ქართისუ მუს არიგენა თი მოლა ხომ ვეთელეებუ? მეჩეთეფს თემ აშენენა, თეც იგი უგუკვირებუ. მოლაშ მეტ მონეთ ვორწყევი, ქორთუქი თიცალ მიგონუ, მი ვარწყე, სითი ორწყევი, დუდიშ მოხვარეთ ილონუ? ეგება, ართ მიშ სიჭკვერე ცუჯეშა ქალეგონუდა, დო მა, მუშ გურშენ, მოხვერე ემოციეფი მორუდა? „რშუდანი გამსახურდია კოწია, მიჭარუნანი: სუმარეფქ გეგნმებრელეს-და, მენძელო გინმართუნანი?“ ვარი დო ეში, მარდობა, – მაურაშა ვეგნოჭუნდანი. ქორთუქ „შეგება“ მიფირქუ, უმოსო, მარგალეფითი, გაქორთუება, იფირქუ, ათაშით მაყი ეფითი, სიბრელაც მუშმაძინუ დო, ვებტოფუნს შხვა ჯიშეფითი? (ქართი გენურთო გახილუდ, მიოცოთ ართ პოეტითი. – ირო ბერიას ვათხილუდ, ის თხულენდ დიდ რუსეთითი. კვირკველიაში ამზე მაფ, ვერგუდ ტერენტი უქართეთ, ნაშურობაშე აციდუ მუშ გვარს დო, გენშა ვემდართენდ? დურამ უკულით თექ ოკოდ, – ქართმა მი ოსვანჯუანდუ? თაქი, თე ამზე მუშ მოკოდ ფიოშის, ა, ნამ თქუნდუ?) მა ათექ დუმიშქურინუ, – ვაღორებენა ფალონი, გარემო თიშნერ გურინუ, ჯიშ გუჭყოლიდუ გვალონი. „შეგებათ მეუღირეფშო რენია ირფელ ფვასი, ირნერ სამუშა მუშეფშო, ოლონდა, მუშიქ გურთასი. ოლო, უკული მუ ოხვარ, ჩილ ხაზით გექორთუასი? ჩქიჩქუ, დიაში ნინათ რე, მუშაშით ვეღიშასი? მარგალს, მარგალურს ატყორუ, თის ოცად, დუსამარასი, მარა ზისხირით იწყორუ, ვეგარანს დაჩილებასი. ჟიშეფს ვემეჩანს შეგელასი. გაქორთუება, გემინწყით, მუთ უჯგუ გათურქებასი?

ბეჯიტი ჯალაღონია

“სიკვდილს თვალებში ჩაგხედეთ...” – რას ქვებთან მორევში ქვაზე ბარჩენილები



“შევრით მორევს შუა 2-მეტრიან ქვაზე 15 კაცი, – 11 მოსწავლე, ორი მასწავლებელი, ერთი მშობელი და ერთიც მენავე...”

“ღამით ვიღვიძებ და ვფიქრობ ყველა მათგანზე, ვინც იმ ქვაზე სიკვდილს ველოდებოდათ”

“გოგონა, რომელიც უკან იყურებოდა, ამ წყალმა წააქცია და წაიღო...”

ის, რაც ზაფხულის უწყინარ სადამოს მარტვილის პატარა სოფელ ინხირში მოხდა, აქაურებს არასოდეს დაავიწყდებათ – რამდენიმე წამში უწყინარი აბაშისწყალი აქაფებულ 4 მეტრის სიმაღლის მორევად გადაიქცა და ხეობა უფსკრულად აქცია. შავი ტალღები რამდენიმე მეტრიან ხეებს მოაქანებდნენ და კლდეებს ღმუილით ახეთქებდნენ.

თუმცა სიკვდილი გაცილებით შემზარავი ჩანდა იმ ადამიანების თვალში, რომლებიც მორევში ამოჩრდილი ქვის წვერზე იდგნენ მაშინ, როცა წყალი ამ წვერის დაფარვასაც ღამობდა. სულ რამდენიმე მეტრის ფართობზე მდგარი 15 კაცი 4 საათის განმავლობაში გაუნძრევლად ელოდა სიკვდილს.

მანანა წარმოშლი, რუსთავის მე-20 სკოლის მასწავლებელი: – ამ ამბის გადმოსაცემა შეიძლება ყოველმა ჩვენგანმა სხვადასხვა სიტყვებით სცადოს, მაგრამ არსი ერთია, – ჩვენ სიკვდილმა დაგვიჩინა და რატომღაც გაგვეცალა. ამ ამბის შემდეგ ღამით ვიღვიძებ და ვფიქრობ ყველა მათგანზე, ვინც იმ ქვაზე სიკვდილს ველოდებოდათ და ერთი რამის თქმა შემიძლია, – აქ ჩემი მოსწავლეები იყვნენ, მათთან ერთად ჩემი შვილიც და არაფერ არ ჩავარდნილა ისტერიკაში. ეს არავის დაავიწყდეს, – ჩვენ შიშით დანიავებული ახალგაზრდობა არ გვეყავს...

– აქამდე როგორ მიხვედით, რა მოხდა იმ დღეს?
– ექსკურსიაზე წავედით რუსთავიდან. მოვიარეთ იმერეთი და ჩავედით სამეგრელოში. იქ მდინარე აბაშისწყლის ხეობაში შევედით ნავებით. რომ არა ეს დღე, ღირს იმ სილამაზის ნახვა... მდინარეში წყალი დაბალზე იყო, ზოგან ნავი მიწასაც ეხებოდა. ამიტომ ნავებიდან გადმოვედით და ფეხშიშველები წავედით ნაპირამდე. უცებ ზურგს უკან მენავეების ღრიალი მოგვესმა, – ჩქარა, ქვაზე ადითო. ჩვენ წინ კლდიდან ქვა იყო გადმოშვებული, იმაზე გვეუბნებოდნენ, ადითო... პირველად ვერ მივხვდით, რა ხდებოდა... უცებ გუგუნის გაისმა და დავინახეთ, რომ ხეობაში აქაფებული შავი წყალი მოეხეთქებოდა. ერთი გოგონა, რომელიც უკან იყურებოდა, ამ წყალმა წააქცია და წაიღო... წამით თვალთ დამიბნეულა... მერე დავინახე,

როგორ დაიჭირეს ბიჭებმა და ქვამდე მიიყვანეს. ეს ქვა და მის ზემოთ წამომდგარი კლდის ნაჭერი ჩვენ გარშემო ერთადერთი ადგილი იყო, რომელზეც ხელის მოკიდება შეიძლებოდა. როცა ამ ქვაზე ყველა ავედით, რამდენიმე წამში მივხვდი, რომ, უფრო მაღლა თუ არ ავიწვევდით, წყალი მოგვწვდებოდა და დაგვახრხობდა. ჩვენს მაღლა კიდევ იყო ერთი ქვა, სადაც დადგომა შეიძლებოდა, მაგრამ თუ წყალი იქაც ამოვიდოდა, უკვე ვერსად წავიდოდით. არ ვიცი, როგორ მოვახერხეთ მასზე ასვლა ისე, რომ რომელიმე ჩვენგანს ფეხი არ დაუცდა. ამასობაში ის ადგილი, სადაც ვიდექით, უკვე წყალმა დაფარა. ასე შევრით მორევს შუა 2-მეტრიან ქვაზე 15 კაცი, – 11 მოსწავლე, ორი მასწავლებელი, ერთი მშობელი და ერთიც მენავე... აქ თითოეულმა სულ რამდენიმე სანტიმეტრის საყრდენზე 4 ჯოჯოხეთური საათი გავეძლიეთ. ბავშვებმა გაგვაძღვებინეს...

– როგორ გაძლიეთ?
– არც ვიცი. მასხოვს მოპირდაპირე ნაპირზე თვალთ მოვნიშნე კლდის წვერი, რომელსაც წყალი თანდათან ფარავდა. გულში ვთქვი, – თუ ეს წვერი დაფარა წყალმა, მაშინ, ჩვენ წყალი მუხლებამდე მოგვწვდება, შეიძლება გავძლიოთ, ვიდრე წყალი მხრებამდე მოვა... მაგრამ მერე ვეღარ გავძლიეთ...

– მაშველი რატომ არ მოდიოდა?..
– მივხვდი, რატომ ვერ გვეშველებოდნენ, – თავზე რომ კლდე გვეკონდა წამოხურული, როგორც კი მაშველებმა იქ თოკების ჩამოშვება დაიწყეს, მაშინვე ქვებმა დაიწყო ცვენა. ის ქვები ჩვენ გვაცვიოდა თავზე. შეიძლება რომელიმე ჩვენგანი ამ ქვებს მორევში გადაეყოლოდა. მივხვდი რომ სანტიმეტრობით ითვლიდნენ, სად უნდა დაემაგრებინათ თოკი და ჩამოშვებულიყვნენ... ესეც უნდა ვთქვა, – ერთი მაშველი ნახევარი საათი ქანაობდა ჰაერში და ვერ გვეწვდებოდა. ბოლოს, “ჩვენს” ქვას ფეხი მოახვედრა, ჩვენი სანტიმეტრები გაინაწილა და საათ-ნახევარი ცალ ფეხზე იდგა ჩვენ გვერდით... მან თითქოს ხელი ჰკრა სიკვდილს. ბავშვებმაც, – თავით ფეხებამდე გალუმპულები გაუთავებლად ხუმრობდნენ... არადა, ერთის ხელი მეც მეჭირა ხელში და ვხვდებოდი, როგორ კანკალებდა შიშით. მაგრამ როგორც კი თვალეში შევხედავდი, – არაფერია მციავო, მეუბნებოდა. ყელაზე მეტად ჩემი შვილის მეშინოდა, – ჩემ უკან იდგა და ხშირად ჩუმად იყო. იმ წამებში მისი სიწუმის ყველაზე მეტად მეშინოდა, – თავს მივატრიალებდი და შევხებულობდი ხოლმე, – ანა, ხმა ამოიღე დედა-მეთქი.

– ძალიან საშიშია სიკვდილის პირისპირ დგომა?
– ამაზე სხვა პასუხი არ არის, – ჰო. თუმცა მაინც გაანჩია, ვინ გიდვას გვერდით. ვუყურებდი ბავშვებს და ვფიქრობდი, – ამით ხომ ყველაფერი წინ ჰქონდათ, სკოლა ახლა დაამთავრეს, სულ სამი დღის წინ ჰქონდათ ბანკეტი, იყვნენ ბედნიერები და ღამაზე და ახლა ასე რატომ უნდა დამთავრდეს ყველაფერი, ეს ხომ უაზრობაა-მეთქი! უცებ დავინახე, რომ ჩემი მონიშნული კლდის წვერი წყალში გამოჩნდა და მივხვდი, რომ გადავრჩებოდი...

– მაშინ რაღა გაიფიქრეთ?
– ყველა რომ გაიფანეს, მე იმ ქვაზე ვიდექი. ვუყურებდი უკვე ნაპირისაკენ გაყვანილ ბავშვებს და და გულში მათი დედების ნაცვლად ახლა მე ვტიროდი... ოღონდ, მარტო გულში, თვალეშიდან ცრემლი აღარ მომიდოდა.

p.s. ყველა იმ ბავშვს, ვინც აბაშისწყლის “კანიონში” გადრჩა, რუსთავის ეკლესიაში ჯანმრთელობის პარაკლისი გადაუხადეს...

ამბები სამეგრელოდან სახალხო დღესასწაული „იონაობა“

ზუგდიდში, ქართველი პუბლიცისტის, საზოგადო მოღვაწის, კრიტიკოსის – იონა მეუნარგიას სახლ-მუზეუმში „იონაობა“ გაიმართა.

იონა მეუნარგია 1852 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშიში, დეკანოზის ოჯახში დაიბადა.

XIX საუკუნის ქართველ მწერალთა ბიოგრაფიის მემორიალური სახლ-მუზეუმი 1966 წელს მწერლის მშობლიურ სოფელში გაიხსნა და საფუძველი დაედო საერთო სახალხო დღესასწაულს „იონაობას“.

მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონფერენციო დარბაზში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის დროებით შემსრულებელმა გიზო სართანამ, კულტურის მინისტრის მოადგილემ მანანა ბერიკაშვილმა, ბიზნესმენმა დავით ბერძენიშვილმა და კორეულმა კომპანია „TDA“-მ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის დრამატული თეატრის რეკონსტრუქციაზე იმსჯელეს.

კომპანიამ წარმოადგინა მის მიერ რესტავრირებული ტოკოს, მოსკოვის, სხვადასხვა ქვეყნების დიდი თეატრებისა და ფილარმონიების რეკონსტრუქციის ამსახველი კადრები.

როგორც ბიზნესმენი დავით ბერძენიშვილი იუწყება, შალვა დადიანის სახელობის თეატრის რეკონსტრუქციაში 10–დან 20 მლნ. ლარამდე გაიხარჯება.

კომპანიის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს თეატრი. სამი თვის მანძილზე მომზადდება პროექტი.

დაწერილებით ანგარიშს აღნიშნული ღონისძიების თაობაზე გამოვაქვეყნებთ ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომრებში.

სტუდენტური დღეები-2014 დასრულდა

სტუდენტური დღეები 2014 დასრულდა. პროექტის ფარგლებში საქართველოს მაშტაბით სპორტული, კულტურულ-შემოქმედებითი და ინტელექტუალური შეჯიბრები ჩატარდა. სტუდენტურ დღეებში მონაწილეობა საქართველოს 47 უმაღლესი სასწავლებლის 5000 სტუდენტმა მიიღო. პროექტში გამარჯვებულები სპეციალურმა ვიზიტით გამოავლინა. წელს გრანპრის მფლობელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი გახდა. ფინალურ კონცერტზე მიწვეულნი იყვნენ ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

პროექტის ორგანიზებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობას, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს სიგელი „სტუდენტური დღეები 2014 ევროპული მომავლისათვის“ გადასცა. სტუდენტურ დღეებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო ყოველწლიურად ჩაატარებს.

საპ. 068

ბურიაში მომხდარი ნამღვილი ამბავი, ანუ სიცხილი “ტირილუის” შეიქმნა...

(თუ გინდა რომ დღემდე იყო, დღეში რამდენჯერმე მოკვდი სიცხილით...)



1994 წელი, ლანჩხუთი. სოფელი გვიმბალაური. დამე. ერთ-ერთ ოჯახში მოხუცი მამის დაკრძალვის წინა მზადებაა.
დედა: – მეიტანე იგიც, მაკ პალტო უყვარდა და უნდა ჩავატნიო კუბოში.
რეზო (შვილი): – კაი დედა, არ გინდა ახლა, გეიტენება კუბო – (მაინც მოაქვს).
დედა: – იგი კაშნიც მეიტა, ხო, ლურჯი ჯემპრეც. ის სპორტული შარვალი მომწოდე, ლევენა, რო დგახარ მაღენე სტოლბასავით, აგი ჟაკეტი არ დამიტოთ, ჩაუტნიე გვერდში, იგი საროქკაც...
რეზო: – წვეული მე!
დედა: – სა მიხვალ ამ შუადამისას?
რეზო: – მეორე კუბო უნდა მევიტანო, ამაში აღარ ეტევა და დავმარხოთ ორი კუბოთი.
დედა: – მიუწეკი მამაშენს გვერდში!!! რაია ბიჭო, რაცხა უყვარდა ამ უბედურს და რაცხას ხმარობდა მთელი ცხოვრება იგი არ უნდა ჩავატნიოთ?!
რეზო: – ხოდა ჩავატნევე დედაჩემო შით.

დედა (სერიოზული, დაბალი ხმით, მაგრამ გურული ეშმაკური დიმილით ტუნის კუთხეში): – რა ვიცი ვუყვარდი? ისე უგულოდ ხმარება კი იცოდა.
(შემოდის მეზობელი ციური, პარკში რაღაც დიდი საგანი უჭირავს).
ციური: რეზო, ნათელა, ერთი სათხუარი მაქ და არ მიკრათ წიხლი.
რეზო: – რაია?
ციური: აგი სკრიპკაა. ჩემს ალიკას (ერთი წლის წინ გარდაცვლილი ქმარი) ათწლეუდი ქონდა დამთავრებული ოხურკეთში. ხომ იცით რამფერ უყვარდა სკრიპკაზე დაკვრა. ჩამატნევიეთ შალვაზა, წოუდებს ალიკას...
რეზო: – რაია??
დედა: – ხო რა იყო რა?! სულ გადაჯიშდით ეს ახალგაზრდები. გოგუმართოთ მეზობელს ხელი, შე უჯიშო! რაცხა რო დაგვავიწყდეს ახლა, გატნიება სხვა მეზობელს ვერ უნდა ვთხოვო?! მეიტა, ციური, მაგი სკრიპკა. ლევანა, მაგი უჯიშო არ

იზამს ახლა მაგას და შენ ჩაუტნიე, შენ გენაცვალოს ნათელა დეიდა. გვერდში ჩოუტნიე. ხო იცი, შენ ქორწილში ქონორზე ვიტრიალებ, შენ გენაცვალე. მარა, ისე ჩოუტნიე, რომ არ გამოითეს, სირცხვილია მაინც.
ლევენა: – გვერდში არ ეტევა ნათელა დეიდა, რა ვქნა?
რეზო: – მაშინ “იქანე” ჩოუდე! კაი, მე გასაგებია, გადამღაგვენ, მარა შენ მაინც რამ გამოგაშტერა.
(ჩატუნეს მაინც ფეხებშუა, როგორღაც).
სიწუმე.
ციური (შეცხადებით): – ნენა!!
დედა: – რაია, რას დაგვიხეთქე გულები?
ციური: – სმინოკი დამავიწყდა!!!
რეზო: – ციური დეიდა, თუ ჩემი საყვარელი დეიდა ხარ, არ გინდა მაგი! აღარ ეტევა ავერი. ავერ ზევე დათიკო მოკვებმა, ჩვენი მეზობელი, კიბოთი რომაა ავედ, და იმას რომ გავატანოთ, არ შეიძლება...
დ. მებრელიშვილი

ევროპის ჩემპიონატი: "გორჯღალღოსნი" პირველად პირდაპირ ელიტაში



წლამდელთა ნაკრებთან. ორივე შეხვედრა გუნდისთვის სასარგებლო იყო, ვინაიდან ამ შემადგენლობაში ერთად პირველად მათი იტალიაში.

უკანასკნელ შეხვედრაში უმნიშვნელოვანესი მატჩები გაემართეთ "კლერმონის" 18-წლამდელთა გუნდთან. ამ შეხვედრაში გუნდი უფრო შეთანხმდა და

მანაკაძე (აია), გიორგი ხუროშვილი (არმაზი), თორნიკე ზომბე, თორნიკე ახობაძე, სანდრო ილურიძე (აკადემია), ბექა გორგაძე, გიორგი კოშაძე (ხარები), ლაშა საჯავია, ირაკლი სვანიძე (ჯიქები), გიორგი მელაძე (ყონები), ბექა ნონიაშვილი (ხულიანა).

ევროპის ჩემპიონატი

საქართველო-ირლანდია, საფრანგეთი-იტალია, შოტლანდია-უელსი, ინგლისი-პორტუგალია.

გია გუგუშაძე: 16-გუნდიანი ჩემპიონატი დამლუპველი იქნება

"ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი გია გუგუშაძე უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდის წინააღმდეგაა. მის აზრით, ეს იდეა ქართულ ფეხბურთს არაფერს წაადგება, არამედ – დაასამარებს: – სიმართლე გითხრათ, ზოგადად, მიმანია, რომ 16-გუნდიანი ჩემპიონატი იდეალური ვარიანტია.

– ანუ ლიგის გაზრდის იდეა მოგეწონათ?

– მე ამას არ ვამბობ. ეს იქნებოდა იდეალური ვარიანტი, ჩვენ რომ დალაგებული ქვეყანა ვიყოთ. მაგრამ ჩვენს პირობებში ეს ძალიან დიდი უაზრობა იქნება, რადგან მის განხორციელებას ქართული რეალობა ხელს ვერ შეუწყობს.

მართალია, "ზესტაფონის" პრეზიდენტი ილია კოკია 16-გუნდიანი ჩემპიონატის გამართვას რომ არ ეთანხმება. კლუბის მთავარი მწვრთნელი და ხელმძღვანელი ისედაც ერთ პოზიციაზე უნდა ვიყოთ. მეორე მხრივ, კოკიას მართლაც ვეთანხმები. ჩემთვის ერთი რამ არის გაუგებარი – პროექტი გამოაქვეყნეს, მაგრამ არაფერია თქმული, როდის შედის ის ძალაში. გარდა ამისა, ამ პროექტთან დაკავშირებით არაერთი ინტერვიუ წამიკითხავს, ბევრმა სპეციალისტმა გამოთქვა უარყოფითი აზრი და ჩემი აზრით, 16-გუნდიანი ჩემპიონატზე გადასვლა ქართული ფეხბურთისთვის დამლუპველი იქნება.

– თუ სახელმწიფო კლუბებს დააფინანსებს, დამლუპველი რატომ იქნება?

– აქ არ უნდა იყოს მასობრიობაზე აქ-

ცენტი, ჩვენ ყურადღება ხარისხზე უნდა გადავიტანოთ. უმაღლესი ლიგაც გამოკვეთილად ხარისხიანი უნდა იყოს – გუნდებით, მოთამაშეებით, თამაშებით, სტადიონებისა და მოედნების მდგომარეობით. თავისთავად ცხადია, სხვაგვარად ქართული ფეხბურთი ბიზნესი არ ინტერესდება და არც დაინტერესდება.

მეორე საკითხია – ბოლოს და ბოლოს, უფრო ვეროვანი ფეხბურთის დონე მოთხოვნების გამკაცრებით გაზარდა და არა წაყრუებით. ბევრი გუნდი აკმაყოფილებს საქართველოში უფასო დიკონსორტიუმის პირობებს? რომელს გააჩნია საკუთარი სტადიონი, ბაზა და მთლიანობაში, მოწვევრივებული ინფრასტრუქტურა? ან ფინანსური გამჭვირვალობის მოთხოვნებს აკმაყოფილებენ?

ამიტომ ვამბობ: ახლა არის იმედი, რომ სახელმწიფო ფეხბურთს დაეხმარება და ამით უნდა ვისარგებლოთ, მაგრამ რაოდენობის კი არა, ხარისხის გაზრდაზე უნდა ვიზრუნოთ.

– თქვენ აზრით, საქართველოსთვის ოპტიმალური როგორი ფორმატი იქნება?

– მიმანია, რომ დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, საუკეთესო მოდელია 10-გუნდიანი ჩემპიონატის ოთხ წრედ ჩატარება. ეს სეზონში 36 თამაშია. გუნდების რაოდენობიდან გამომდინარე, იქნება ბევრი დაძაბული მატჩი, რაც მოთამაშეთა გაზრდის წინაპირობა არის. ჩვენ თუ ხარისხი არ მივიღებთ, არაფერი გამოვა.

– მეორე მხრივ, ლიგის გაფართოების მომხრეთა არგუმენტებიც გასათვალისწინებელია – ქართულ ფეხბურთს მასობრიობა მართლაც წაადგება, მეტი გუნდი და მეტი მოთამაშე დასაქმდება, მეტი ნიჭიერი მენეჯერი და მმართველი გამოჩნდება...

– კი ბატონო, ამას რა სჯობს, მასობრიობას მეც ვემხრობი, ოღონდ ქვედა ლიგებსა და ბაჟეტით ფეხბურთში. უმაღლესი ლიგა საფრთხილო თემაა, მეტი დაფიქრება გეჭირდება, იმდენად ის ქვეყნის ფეხბურთის სახეა და იმდენად გამოჩნეული უნდა იყოს, რომ მაყურებელიც მიიხილოს და სპონსორებიც.

უმაღლესი ლიგის გუნდებში კი უნდა მოდიოდნენ უკვე დაოსტატებული ფეხბურთელები. ახლა მათი დეფიციტია და გუნდებს როგორ დავაკომპლექტებთ? ასეთ ვითარებაში უმაღლესი ლიგის გაფართოება ჩვენს კრიზისს კიდევ უფრო მძაფრად გამოაჩენს.

სახელმწიფო ფეხბურთში ფულს რომ ჩაღებდეს, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი პრობლემები უცებ გაქრება.

– რამდენად სერიოზულად ეკიდებით მოსაზრებას, რომ 16-გუნდიანი ჩემპიონატის იდეა არჩევნების მოახლოების გამო გახდა აქტუალური?

– შესაძლოა, ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყოს, მაგრამ მე ზუსტად არ ვიცი, ეს ინიციატივა რატომ წამოსწიეს.

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები პოლონეთში გაემგზავრა, სადაც 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის ელიტური დივიზიონის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

2012-13 წლებში 18-წლამდელთა "გორჯღალღალღოსნი" ორჯერ დაამარცხეს იტალიის თანატოლთა ნაკრები და მე-9 ადგილი დაიკავეს.

აქედან გამომდინარე, ტურნირის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს ჩვენი გუნდის ელიტურ დივიზიონში საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე დატოვება.

წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ელიტური დივიზიონის მატჩები პოლონეთში, პოზნანში 11-19 სექტემბერს გაიმართება. შარშანდელი გათამაშების მსგავსად, ტურნირის პირველ ტურში ქართველი 18-წლამდელთა პირველ მატჩს ირლანდიასთან გამართავენ. მატჩი ოპალენცას სტადიონზე, თბილისის დროით 16:00 საათზე დაიწყება.

მეორე ტური მოგვიანებით გაიმართება. პირველ ტურში დაფიქსირებული შედეგის მიხედვით, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები საფრანგეთი-იტალიის წყვილიდან ერთ-ერთს შეხვდება.

ტურნირის ფინალურ რაუნდში, რომელიც 19 სექტემბერს შედგება, ჩვენი ნაკრების მეტოქე ტურნირის მსვლელობისას გაირკვევა.

დავით ჩავლეიშვილი, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

"საფუძვლიანი მოსამზადებელი პერიოდი გავიარეთ. საბედნიეროდ, საბოლოო შემადგენლობაში ტრავმების გამო არავინ დაგვაკლდა და ბიჭების ფიზიკური ფორმითაც კმაყოფილი ვარ.

აქამდე ორი საწვრთნელი შეკრება გაემართეთ. რამდენიმე თვის წინ ორი საკონტროლო მატჩი ვითამაშეთ უკრაინის 20-

გამოიკვთა ძლიერი თუ სუსტი მხარეები. დარჩენილი დრო ხარვეზების გამოსწორებას დავუთმეთ.

პირველი შეხვედრა ირლანდიის 18-წლამდელთა ნაკრებთან გაგაქვს. ირლანდია შარშანდელით საკმაოდ ძლიერი გუნდია. ჩვენ ვეცდებით, შერკინების და ხაზის დაბლანსებული თამაში დაგუპირისპიროთ მათ. "კლერმონთან" თამაშებში გამოჩნდა, რომ მოძრავი მოთამაშეები გვყავს მეორედ და მესამე ხაზში, რომლებიც შესაბამისად, დიდ პრობლემებს შეუქმნიან მოწინააღმდეგეს და უკანა ხაზს მნიშვნელოვნად დაეხმარებიან".

საქართველოს ნაკრები

ნიკა ნეფარიძე, ლუკა გოგინავა, ლაშა მამუჩარაშვილი (ორივე-ლოკომოტივი), ვანო მარგალიტაძე, ბესიკ გოგოლაძე, კახა ელბაძე (თბილისი), ლაშა ტაბიძე, ვასილ ლობჯანიძე, თორნიკე ხუროცილია, დავით ლობჯანიძე (არმაზი), შაქრო ლომსიანიძე, მიხეილ ბაბუნაშვილი, გიორგი ჯავახია, ოთარ გიორგაძე, მიხეილ გორგასლიძე, თორნიკე

თენგიზ ხარჩილავა – 60

სახალხო მოძრაობა „სამშობლოს“ მეგობარს და იდეურ მხარდამჭერს, ეროვნულ-ტრადიციული ცნობიერების საზოგადო მოღვაწეს, ბატონ თენგიზ ხარჩილავას ა.წ. 10 ივნისს 60 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ მას ამ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ხანგრძლივ, ბედნიერ სიცოცხლეს! აგრეთვე, წარმატებებს საზოგადოებრივ საქმიანობაში!

სახალხო მოძრაობა „სამშობლოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის სახელით
ზურაბ კვარაცხელია

გამოვიდა ლავრენტი ბერიას თარბმანის მეორე ტომი



გამოვიდა მეორე ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერიას – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამშობლოს" მხარდაჭერით. წიგნის შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა "სამშობლოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322

იუმორი

რა კარგი ტანი დაგიყენებია, როგორ მოახერხებ?

– კარტოფილი, კომბოსტო, სტაფილო...

– ხარ შავ თუ შემწვარს მიირთმევ?

– ეთონი!

* * *

მოსუცი ქალი დგას აივანზე და ამბობს:

– რა თაობა მოდის, რა კარგი ბიჭები არიან, ეკონომიურები, ხუთნი ეწვევიან ერთ სივარეტს და მაინც იციან!

* * *

კახელი შეიღეს მოძღვრავს:

– პირველათა, შვილო იმერელი ქალი შეირთე, ლამაზი და ზრდილობიანია, მეორეთა კახელი – შრომისმოყვარეა, მესამეთა გურული, გაგამხიარულებს ხოლმე დაღლილობის დროს, ბოლოს კი მეგრელი.

– მეგრელი რაღად მინდა, მამი?

– კარგი დატირება იცინა.

მასთან სიცოცხლეში ხელჩაქმნულები მიღიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

სახალხო მკურნალთა მოუბო მთიანეთის მკურნალთა ნაწილობრივ ფარმაცევტიკის, რომელიც მის დაპირებს სილიოზად და კვლავ ჩაღვა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალბობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუახისლს, ნერვის ანთებას, ნევროსს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰეპრნავს გაფანტულ სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქვენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს (კეროს I და II სტადიები), ცვკპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატები: თბილისი, სოფელი შალაში, ბაბინძე ბიჭიძე (ლომინტი).

ტელ: 893-22-66-51

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან") ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

ISSN 1987-8966 ilori

აგროტებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე, ხელნაწერები აგროტებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6, საბჭო. №01018002930, 234-32-95

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლახერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია

მისამართი რედაქტორი: მიხეილ ჩოლოყაშვილი

გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

სარედაქციო საბჭო: ზაურ ბახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კვარაცხელი, ზვიად მიტოპია, ბივი სომხიშვილი, ვიტორ ცაავა, ბიორბი სიჭინავა, ნუზუარ სალაყაია (ბალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე

WWW.saqinform.ge